



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური  
ზიანისათვის**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

ირაკლი სვანაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2022

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია შედარებით-სამართლებრივი კვლევა წმინდა ეკონომიკური ზიანის შესახებ. წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა შეუსწავლელია არა მხოლოდ ქართულ რეალობაში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით და რჩება ერთ-ერთ ბუფერულ სივრცედ სამართალში დღემდე.

წმინდა ეკონომიკური ზიანის შესახებ მსჯელობას ქართველი მოსამართლეები და მეცნიერები მუდმივად თავს არიდებენ, თუმცა, ეს არ არის განპირობებული იმ ფაქტით, რომ საკითხი ან არ არის აქტუალური, ან მსგავსი ზიანი ქართულ რეალობაში არ დგება. ნაშრომში სწორედ ამ საკითხზე მექნება მსჯელობა და მოყვანილი მაქვს რამდენიმე მაგალითი, თუ რა შედეგით სრულდებოდა როდესაც კანონმდებლები, მოსამართლეები და მეცნიერები თვალს ხუჭავდნენ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხის დარეგულირებაზე.

საქართველომ თავი დააღწია იმ უტოპიურ ეკონომიკურ რეალობას, რომელშიც ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ათწლეულების მანძილზე ვიმყოფებოდით. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება მიისწრაფის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ, ეს კი ეკონომიკის და უსაფრთხოების კუთხით სტაბილურობასა და განვითარებასთან ერთად ნიშნავს დღის წესრიგში იმ მეტად განვითარებული სამართლისათვის დამახასიათებელი საკითხების წამოწევას, როგორცაა წმინდა ეკონომიკური ზიანი.

ნაშრომში განხილული მაქვს 10-მდე სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით. გასაოცარი კი სწორედ ის არის, რომ არსებობს, სახელმწიფოებისგან შემდგარი, სულ მცირე ოთხი ამ საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომის ჯგუფი. ნაშრომში განხილულია ინგლისური, ამერიკული, ფრანგული, გერმანული და სხვა სახელმწიფოების მიდგომები.

განსაკუთრებით საინტერესო კი ის ფაქტია, რომ საკითხთან მიმართებით არ არსებობს სწორი და არასწორი პოზიცია. თითოეულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი არგუმენტი

თუ რა უფრო ლოგიკური არის მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლის რეალობისათვის.

იმ ზიანის ანაზღაურება, რომელსაც უწოდებენ Pure Economic Loss ანუ წმინდა ეკონომიკური ზიანი არის საკმაოდ პრობლემური, რადგან აღნიშნული ზიანის დროს როგორც მისი სახელწოდებიდან იკვეთება ზიანი არ ადგება პირის ქონებას ან სხვა სამართლებრივ სიკეთეს, არამედ გვაქვს წმინდა ფინანსური/ეკონომიკური ზიანი.

ნაშრომის ფარგლებში მკითხველი გაიცნობს აღნიშნული ზიანის მიმართ არსებულ მიდგომებს მსოფლიოს მასშტაბით. საინტერესოა, რომ მიდგომები წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით იყოფა არა მხოლოდ ტრადიციული სამართლის ჯგუფების დაყოფის კუთხით (კონტინენტურ ევროპული და ანგლო-ამერიკული), არამედ თავად ამ სამართლის ჯგუფებში შემავალ სახელმწიფოებსაც კი განსხვავებული მიდგომები აქვთ ამ მეტად რთული და კომპლექსური საკითხის მიმართ.

სადოქტორო ნაშრომში განხილულია საკითხები, თუ რამდენად არეულია ქართულ და არა მხოლოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში მიდგომები ზიანის მიმართ. განხილულია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანის მსგავსება და განსხვავებები. აგრეთვე, უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხები შეპირისპირებულია დელიქტურ სამართლის ნორმებთან.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი და მისი შედარება ქართული კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკასთან. როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, ვინაიდან საკითხთან მიმართებით არ არსებობს სწორი ან არასწორი პოზიცია, ფაქტობრივად ამ ნაშრომით იდგმება პირველი ნაბიჯები, რომელიც უნდა გახდეს მომავალში მოსამართლეების მხრიდან უფრო მეტად გაბედული გადაწყვეტილებებისა, ხოლო, კანონმდებლის მხრიდან შესაძლო ცვლილებების შესახებ კანონპროექტების შემუშავების საწინდარი.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში ნათლად გამოჩნდა, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა დამახასიათებელია ეკონომიკურად მეტად ლიბერალური და განვითარებული სახელმწიფოებისათვის, ამიტომ ვისურვებდი რომ საქართველოც აღნიშნული სახელმწიფოების რიგს შეუერთდეს.

აქვე უნდა ხაზი გაესვას, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ არის ცალსახად მხოლოდ დადებითი, მისი არასწორად დარეგულირება, შესაძლოა საკმაოდ დიდი პრობლემის მომტანი იყოს. ნაშრომში განხილული მაქვს მაგალითები, თუ რას იწვევს წმინდა ეკონომიკური ზიანის არასწორი რეგულაცია, ან მისი უკონტროლოდ დატოვება.

საბოლოოდ კი ნაშრომს ვასრულებ შეჯამებითა და რეკომენდაციებით ქართველი მეცნიერების, მოსამართლეებისა და კანონმდებლის მიმართ. რომელთა გათვალისწინების შემთხვევაშიც მიმაჩნია, რომ საბოლოოდ დარეგულირდება ეს საკითხი და აღარ მოხდება აღნიშნული ზიანის სხვა დანაკლისებთან აღრევა მოსამართლეთა და მეცნიერთა მხრიდან, რისი უამრავი მაგალითიც განხილული მაქვს ნაშრომში.

*ირაკლი სვანაძე*

## Abstract

The doctoral thesis presents a comparative-legal research on Pure Economic Loss. The possibility of compensating Pure Economic Loss is unexplored not only in the Georgian reality, but also worldwide and remains as the buffer space in law.

Georgian judges and scientists constantly avoid discussing Pure Economic damage, however, this is not because the issue is not relevant, or similar damage does not occur in Georgian context. In the paper, I provide several examples of the implications when legislators, judges and scientists have ignored the settlement of the issue of compensation for economic damages.

Georgia got rid of the utopian economic reality in which we were against our will for decades. Today, we can confidently say that Georgian society is striving for the Euro-Atlantic integration, and this, along with stability and development in terms of economy and security, means raising issues characteristic of highly developed law on the agenda.

In the paper, I have discussed the approaches of dozens of states in relation to this issue. Surprisingly enough, there are at least four groups of states with different approaches to this issue. The paper outlines and discusses the approaches of English, American, French, German and other states.

Quite interestingly, there is no right or wrong position regarding the issue. Each state has its own argument as to what is more logical for their socio-economic and legal situation.

Pure Economic Loss is quite problematic as in the case of the mentioned damage, as its name suggests, the damage is not to a person's property or other legal good, but rather is a pure financial/economic damage.

Reader will get to know the existing approaches to the mentioned damage worldwide. The approaches to Pure Economic Loss are divided in terms of not only the division of traditional law groups, but even the states included in these law groups are known to have different approaches to this extremely difficult and complex issue.

The doctoral thesis demonstrates how complicated the issues related to the approaches to damage are in Georgian scientific literature and court decisions. Additionally, the issues of compensation for Pure Economic Damages within the framework of unjust enrichment are contrasted with the norms of tort law.

The aim of the research is international legal analysis and its comparison with the Georgian legislation and judicial practice. Due to the lack of right or wrong position regarding the issue, in fact, this paper takes the first steps, which will serve as the basis for more daring decisions by the judges in the future, and the development of draft laws on possible changes by the legislators.

Within the framework of the research carried out within the framework of the work, it was clearly seen that the possibility of compensating Pure Economic damages is characteristic of economically more liberal and developed states, therefore I would like Georgia to join the ranks of the mentioned states.

It should be emphasized that the issue of compensation for Pure Economic Damages is not unequivocally only positive, its incorrect regulation may cause quite a big problem. In the paper, I have discussed examples of the consequences for the wrong regulation of Pure Economic Damage, or leaving it uncontrolled.

Finally, I conclude the work with a summary and recommendations for scientists, judges and legislators in Georgia. If these are taken into account, I believe that this issue will be finally settled and the mentioned damage will not be confused with other losses by judges and scientists, of which I have discussed numerous examples in the work.

*Irakli Svanadze*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

აბრევიატურები.....	X
დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის.....	1
I. შესავალი .....	1
II. ზიანი - მისი სამართლებრივი არსი და სახეები .....	8
1. ზიანისა და ზარალის დეფინიციების ეტიმოლოგიურ-სამართლებრივი კვლევა ..	8
2. ზიანის ანაზღაურების არსი და მიზანი.....	10
3. ზიანის სახეთა კლასიფიკაცია და ანალიზი.....	15
3. 1. არამატერიალური და მატერიალური ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....	17
3. 2. არასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი .....	22
3. 3. ზიანის სხვა სახეების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი .....	25
3. 3. 1. არაპირდაპირი და პირდაპირი ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი .....	25
3. 3. 2. მიუღებელი შემოსავლისა და საკომპენსაციო (რეალური) ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი .....	26
3. 3. 3. მორატორიული და საკომპენსაციო ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი .....	27
III. დელიქტის ცნება და დელიქტური გენერალური დათქმა .....	28
1. დელიქტი და მისი სამართლებრივი არსი.....	29
2. სამართლებრივ ელემენტთა სისტემა დელიქტურ გენერალურ დათქმაში .....	36
2. 1. ზიანის ფაქტობრივი არსებობა, როგორც სამართლებრივი პროცესის დაწყების წინაპირობა.....	40

2. 2. აქტიურ და პასიურ ქმედებაში გამოხატული მოქმედება .....	41
2. 3. მართლწინააღმდეგობის ელემენტი - ქართული დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშანი .....	42
2. 4. ბრალეულობა გამოხატული განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში .....	45
2. 5. ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი .....	50
3. სამართლებრივი მიდგომების შეპირისპირება დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით .....	53
3. 1. პრეცედენტული სამართლის მიდგომა დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით .....	54
3. 1. 1. ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით (პრეცედენტული და კონტინენტურ ევროპული სამართლის მიდგომების შერწყმა?!) .....	55
3. 1. 2. ინგლისის სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით პრეცედენტული სამართლის პირობებში .....	56
3. 2. კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემის მიდგომა დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით .....	60
3. 2. 1. საფრანგეთის სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით - დაზარალებულის, როგორც სუსტი მხარის, დაცვის აბსოლუტური იდეა .....	61
3. 2. 2. გერმანიის სამართლის მიდგომა დელიქტის მიმართ - აბსოლუტური სიკეთეების/დამცავი ნორმის ხელყოფის წინაპირობით დელიქტური პასუხისმგებლობის შემოფარგვლა .....	65
4. შუალედური შეჯამება .....	69
IV. უსაფუძვლო გამდიდრება .....	72
1. უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და მიზანი .....	72
2. კონდიქციური მოთხოვნები და გენერალური დათქმა .....	75
2. 1. შესრულების კონდიქცია .....	75



2. 2. ხელყოფის კონდიქცია.....	77
2. 3. გაწეული ხარჯების (დანახარჯებისა და რეგრესის) კონდიქცია.....	79
2. 4. გენერალური დათქმა.....	80
V. უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური სამართლის შეპირისპირება.....	82
1. უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური სამართლის მიდგომების შეპირისპირება წმინდა ეკონომიკური ზიანის ჭრილში.....	83
2. შუალედური შეჯამება .....	85
VI. წმინდა ეკონომიკური ზიანის ცნება და მისი სახეები.....	89
1. Pure Economic Loss-ის ქართული შესატყვისი.....	89
2. წმინდა ეკონომიკური ზიანის ცნება.....	92
3. ქონების განადგურებით გამოწვეული დანაკლისისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევა.....	95
4. მიუღებელი შემოსავლისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევით გამოწვეული სამართლებრივი პრობლემა.....	96
5. არაპირდაპირი ქონებრივი დანაკლისისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის შედარება .....	98
6. წმინდა ეკონომიკური ზიანის სახეები.....	99
VII. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით.....	100
1. პრაგმატული მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ...102	
1. 1. ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიდგომა - ბალანსი სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებს შორის .....	102
1. 2. ინგლისური სამართლის მიდგომა - მხარეთა შორის ზრუნვის ვალდებულების არსებობა.....	104
2. კონსერვატიული მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ .....	107

2. 1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფი – <i>ან სხვა უფლება</i> (ein sonstiges Recht).....	109
2. 2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი – <i>განზრახი „უზნეო“ ქმედება</i> (Sittenwidrigkeit) .....	109
2. 3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.2 პარაგრაფი – <i>დამცავი დებულება</i> (Protective statutes, Schutzgesetz) .....	110
2. 4. გერმანიის სამოქალაქო კოდექსით დაუფარავი სივრცეების სახელშეკრულებო ურთიერთობებით შევსება.....	111
3. ლიბერალური მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ.	113
4. შუალედური მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ ...	115
5. შუალედური შეჯამება .....	116
VIII. ქართული დელიქტური სამართლისა და სასამართლოს მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით.....	118
IX. რეკომენდაციები ქართულ რეალობაში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ.....	122
1. წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში.....	123
2. წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა საკანონმდებლო ბაზის დახვეწის შემთხვევაში .....	127
3. წმინდა ეკონომიკური ზიანის დაანგარიშებისას წარმოშობილი პრობლემები და მისი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ეფექტები .....	128
X. მსჯელობის შეჯამება და დასკვნა .....	133
ბიბლიოგრაფია.....	142

## აბრევიატურები

სხვ.	სხვა
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
შდრ.	შეადარეთ
ე. ი.	ესე იგი
ა. შ.	ასე შემდეგ
მუხ.	მუხლი
ე. წ.	ეგრეთ წოდებული
წ.	წელი
ტ.	ტომი
ქ.	ქალაქი
რედ.	რედაქტორი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
წწ.	წლები
p.	page
pp.	pages
no.	Number
v.	versus
vol.	volume
ed.	editor

eds.	editors
Art.	Article
Ltd	Limited Liability Company
UKHL	United Kingdom House of Lords
BGH	Bundesgerichtshof
EWCA	England and Wales Court of Appeal
OGH	Oberster Gerichtshof
S.C.R.	Supreme court reports
WASC	Supreme Court of Western Australia

# დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის

## I. შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარება, მისი ევროპულ ოჯახში აქტიური რეინტეგრაცია ცალსახად ხელს უწყობს ისეთი სამართლებრივი დარგების წინსვლას, რომლებიც მე-20 საუკუნის მიწურულს ქართული სამართლისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. საუბარია ისეთ სამართალზე, რომელიც ერთი შეხედვით სახელს ძველი რომიდან იღებს, რაზეც საუბარი თავად ნაშრომში უფრო დეტალურად მექნება, თუმცა, მეორე მხრივ რადიკალურად განსხვავდება მისი 20-25 საუკუნოვანი „წინამორბედისაგან“.

თანამედროვე მსოფლიოში, ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოყოლებული, ცნობილია ვალდებულების წარმოშობის 2 გზა. პირველი ხელშეკრულებიდან, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ex contractu) და მეორე არასახელშეკრულებო ე. წ. „სამართალდარღვევიდან“ წარმოშობილი ვალდებულება (ex delicta). აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ორგვაროვანი ბუნება ვალდებულების წარმოშობის დაყოფის, საბოლოოდ შეიცვალა ოთხწევრიანი დაყოფით, შესაბამისად სამართლისთვის ნაცნობი გახდა კვაზი ხელშეკრულებები და კვაზი დელიქტები, თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა კანონმდებელმა უარი განაცხადა ამგვარ მიდგომაზე და მათი გაერთიანება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სახით გადაწყვიტა.<sup>1</sup>

სამოქალაქო სამართლის მიხედვით ვალდებულებასა და ზიანს შესაძლოა ჰქონდეს ერთნაირი წარმოშობის ორი საფუძველი. იგი შეიძლება მომდინარეობდეს ერთის მხრივ მხარეთა შეთანხმებიდან ან აგრეთვე სახელმწიფოში დამტკიცებული

---

<sup>1</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, & ლ. ჯანაშია, (შემდგომში - გ. ცერცვაძე) სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 49-50;

ნორმატიული აქტებისა და სხვა წესების დარღვევიდან. აღნიშნულ მეორე შემთხვევას კი სწორედ მოიხსენიებენ, როგორც დელიქტიდან წამომავალი ვალდებულებას<sup>2</sup>, რომელიც სამართლისათვის ნაცნობია, როგორც კანონისმიერი ზიანი. ანტიკურ ხანაში, რომელი იურისტები უკვე განასხვავებდნენ ზემოხსენებულ ორ საფუძველს ერთმანეთისაგან.<sup>3</sup> მაგალითისთვის გაიუსის განმარტებითაც ვალდებულება პირს წარმოეშვება სწორედ რომ 1. სამართლის დარღვევისა და 2. მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.<sup>4</sup> საწყის ეტაპზე სამართლისათვის ცნობილი ვალდებულების წარმოშობის ორი მთავარი საფუძველი გაიზარდა ოთხ წევრამდე<sup>5</sup> და ზემოხსენებულ ორბუნებოვან დაყოფას შემდგომში ასევე დაამატეს და გააჩინეს კვაზი დელიქტები და კვაზი ხელშეკრულებები, რომელთა მსგავს ფორმულირებაზეც ქართველმა კანონმდებელმა უარი თქვა და მათი გაერთიანება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში შეძლო.<sup>6</sup>

მოცემულ ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქართული ცივილისტური სამართლის კერძოდ, დელიქტური სამართლისათვის აქტუალური საკითხი - დელიქტური გენერალური დათქმა და ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემების მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით.

მოცემულ თემასთან დაკავშირებით არსებობს შეკითხვები, რომლებზეც მსჯელობასაც და პასუხის გაცემასაც შევეცდები ნაშრომში: არსებობს თუ არა ერთიანი მიდგომა როგორც ანგლო-ამერიკულ ასევე კონტინენტურ ევროპულ სამართლის სისტემებში დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით? რა კავშირშია დელიქტური გენერალური დათქმა და ე. წ. „წმინდა ეკონომიკური ზიანი“? და რა გზა უნდა გამონახოს თანამედროვე სამართალმა აღნიშნული დელიქტიდან წარმოშობილი

---

<sup>2</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, ქ. თბილისი, 2001, მუხ. 992, 378;

<sup>3</sup> G. Mousourakis, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 127;

<sup>4</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp 1-2;

<sup>5</sup> G. Mousourakis, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 128;

<sup>6</sup> გ. ცერცვაძე სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 48-51;

პრობლემის გადასაჭრელად? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი განმარტება, არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზს კი წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რიგ ქვეყნებში სამართალი არ აღიარებს წმინდა ეკონომიკურ ზიანს, ან სულაც მიაჩნია, რომ არ უნდა გაიმიჯნოს იგი სხვა დანაკლისებისაგან. არ არსებობს არც თავად დელიქტური გენერალური დათქმისადმი ერთიანი მიდგომა არა მხოლოდ ორ სამართლებრივ სისტემას შორის (საუბარია ანგლო-ამერიკულ და კონტინენტური სამართლის სისტემებზე), არამედ თავად ამ სამართლებრივი სისტემების შიგნითაც. ნაშრომში ძირითადად განვიხილავ გერმანული და ფრანგული სამართლის მიდგომებს გენერალური დელიქტური დათქმის მიმართ და ვიმსჯელებ, თუ რომელს მიეკუთვნება ქართული დელიქტური სამართლის მიდგომა. სადოქტორო ნაშრომში შევხები ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებულ დელიქტურ ნორმებს.<sup>7</sup>

ჩემი დაინტერესება მოცემული თემით გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საკითხი, რომელიც ერთი შეხედვით უმარტივესია და ჯერ კიდევ 20-25 საუკუნის წინ რომაულმა სამართალმა მარტივად დაარეგულირა, კვლავაც მნიშვნელოვნად შეუსწავლელი რჩება ქართული სამართლისათვის. ნაშრომზე მუშაობისას დავრწმუნდი, რომ დელიქტური გენერალური დათქმისადმი მიდგომები გამომდინარეობს არა მხოლოდ ქვეყნის სამართლებრივი წარსულიდან, არამედ მათი ისტორიული, სოციალური თუ რელიგიური შეხედულებებიდანაც, რასაც აღნიშნული ნაშრომი ნათლად დაგვანახებს.

საინტერესოა, რომ დელიქტური გენერალური დათქმა არსებითად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ თავად ამ სამართლისათვის, არამედ იგი არსებით ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სამართლის დარგების განვითარებაზე, რაზეც თავად ნაშრომში უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

---

<sup>7</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-1008 მუხლები და მისი კომენტარებიშ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, ქ. თბილისი, 2001, მუხ. 992-1008, გვ. 378-429;

ის რაც, ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ ევროპული სამართლისათვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა პერიოდიდან იყო აქტუალური, საწუხაროდ, კვლავაც არ არის სრულყოფილად განხილული ქართული სამართლის კონტექსტში. არ არსებობს, ან უკვე საკმაოდ მოძველებულია ქართული სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. თემის დამუშავებისას შევეცადე განმეხილა ანგლო-ამერიკული, ევროპული, შორეული აღმოსავლეთისა და სხვა სახელმწიფოების სასამართლოების პრაქტიკა, რაც უნდა დაეხმაროს მკითხველს წმინდა ეკონომიკური ზიანის საკითხის აქტუალობისა და მისი ანაზღაურების პრობლემურობის არსის სწორად დანახვაში.

სამწუხაროდ წმინდა ეკონომიკურ ზიანში მოაზრებული დანაკლისი წარმოადგენს დელიქტური სამართლის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ საკითხს. აღნიშნული სახის ზიანს ხშირად ვხვდებით სამშენებლო სამართალში. წმინდა ეკონომიკური ზიანის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ იშვიათად წერენ.<sup>8</sup> აგრეთვე ხშირია თავად ტერმინოლოგიური აღრევა, რადგან ქართულ იურიდულ ლიტერატურაში Pure Economic Loss იხსენიებენ, როგორც მიუღებელ შემოსავალს, რაც წარმოადგენს ცალსახა ცდომილებას და ნაშრომში განხილული მაქვს აღნიშნულ ორ დანაკლისს შორის არსებული სხვაობა.

სავსებით მისაღებია უშუალოდ ამ ზიანის ქართულად თარგმნის სხვადასხვა ვარიაციის არსებობა, თუმცა, მისთვის მიუღებელი შემოსავლის წოდება, სრულიად უცვლის მას შინაარს და ნივთის ან სხეულის დაზიანებიდან, შესაბამისად, აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით გამოწვეულ მიუღებელ შემოსავლამდე

---

<sup>8</sup> სამწუხაროდ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურასა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში წმინდა ეკონომიკურ ზიანზე მსჯელობას და აღნიშნული საკითხის განხილვას საკმაოდ იშვიათად ვხვდებით. აღნიშნული განპირობებულია არა ამ საკითხის არააქტუალობით, არამედ იმ ფაქტით, რომ იგი ჯერ კიდევ შეუსწავლელი რჩება ქართული რეალობისათვის და ამიტომ მეცნიერები და მოსამართლეები თავს არიდებენ მასზე მსჯელობას. თუმცა, ნაშრომები თუ მსჯელობები აღნიშნულ საკითხზე მაინც არსებობს, მაგალითისთვის იხ. გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 249-253.



მიყვარს.<sup>9</sup> წმინდა ეკონომიკური ზიანი, ან სუფთა სახის ქონებრივი ზიანი, კი წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაკლისი არ არის გამოწვეული პირის სხეულის, ჯანმრთელობის ან მისი ნივთის განადგურებითა და ხელყოფით, თუმცა, დაზარალებულს ფინანსური დანაკლისი მაინც ადგება. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ზიანს, როგორც „ჯიბის ზიანს“ ისე მოიხსენიებენ.<sup>10</sup>

აღნიშნულ ნაშრომში აგრეთვე განხილულია და შედარებულია წმინდა ეკონომიკური ზიანის კონტექსტში უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტური სამართალი. როგორც აღვნიშნე მოცემული საკითხები ქართული სამართლისათვის აქტუალური, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნისას გახდა.<sup>11</sup> თუმცა, საბჭოთა კავშირის ნგრევიდან 31 წელი, ხოლო ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნიდან კი - 25 წელი გავიდა და ამიტომ მიმაჩნია, რომ უკვე შესაძლებელია მსჯელობა აქტიურად წარიმართოს, ქართულ რეალობაში, ჯერ კიდევ შეუსწავლელ საკითხებთან მიმართებით.

ის რაც, კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისათვის ჩვეული, შესწავლილი და მოგვიანებით სასამართლო პრაქტიკით დახვეწილი საკითხია, სამწუხაროდ მხოლოდ ახლა, თანამედროვე საქართველოში იდგამს ფეხს. საინტერესოა ქართული სასამართლო პრაქტიკა უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტების შეპირისპირებასთან მიმართებით, ვინაიდან ხშირად განსხვავდება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიდგომები. თემაში განხილულია ქართული თუ უცხოური სასამართლო პრაქტიკა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული წარმოაჩენს საკითხის მნიშვნელობასა და პრობლემის არსს. ცალსახაა, რომ სამართლის

---

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ არსებობს აბსოლუტური სიკეთეების (ქონება, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა) ხელყოფა, საქმე გვაქვს არა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან. შდრ. გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 653. სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად ხდება წმინდა ეკონომიკური ზიანისა და მიუღებელი შემოსავლისა, თუ დელიქტით გამოწვეული სხვა სახის დანაკლისის აღრევა.

<sup>10</sup> C. Elliott & F. Quinn, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>11</sup> ჰ. შნიტგერი, ლ. შატერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 976, ველი 3;

მიზნად რჩება, სუსტი მხარის დაცვა და შესაბამისად მისთვის იმ დანაკლისების ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა, ან იმ მოგების დაბრუნება, რომელიც მის ნაცვლად სხვა არაუფლებამოსილმა პირმა მიიღო უსაფუძვლოდ. ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოყოლებული მოქმედებს მიდგომა, რომელიც საფუძველს უყრის უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს და შესაბამის მოთხოვნებს (*condictio*). უსამართლოა, ნებისმიერი პირის გამდიდრება სხვისთვის ზიანის მიყენებით.<sup>12</sup>

ყოველივე ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომელთა პასუხის გაცემაც წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანს:

- რა არის წმინდა ეკონომიკური ზიანი?
- შესაძლებელია თუ არა გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება ქართულ რეალობაში?
- როგორია წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებში შემავალი სახელმწიფოების მიდგომა?
- არსებობს თუ არა საერთო ხელყოფის კონდიქციასა და დელიქტურ სამართალს შორის?
- შესაძლებელია თუ არა დელიქტური გენერალური დათქმის გავრცელება ხელყოფით გამოწვეულ ყველა სახის ზიანზე?
- როგორ უნდა მიუდგეს თანამედროვე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი მოცემული საკითხის გადაჭრას?

მნიშვნელოვანია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ განსხვავდება მიდგომა, არათუ სამართლებრივ სისტემებს შორის, არამედ თავად გერმანულ და ქართულ სამართალს შორისაც. ერთი შეხედვით ქართული სამოქალაქო კოდექსი, რომელიც გერმანულის სამართლებრივი ასლია, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს. აღნიშნული, სხვა უამრავ მიზეზთან ერთად,

---

<sup>12</sup> P. Birks, *The Roman Law of Obligations*, Oxford University Press, 2014, 259;

გამოწვეულია ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნისას გერმანული ხარვეზებისა და გამოცდილების გაზიარებით.

ქართული მიდგომა უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სხვადასხვა სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკასა თუ კანონმდებლობაზე. ნაშრომზე მუშაობისას შევეცადე გამემიჯნა ერთმანეთისაგან უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური სამართლის მიდგომები სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურების მიმართ. სწორედ აღნიშნული სრულიად განსხვავებული წმინდა ეკონომიკური ზიანის კვლევა წარმოადგენს ჩემი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს. შევეცდები განვიხილო სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიდგომები წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავ ქართულ რეალობაში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

აღნიშნული ნაშრომი დაგვეხმარება დავადგინოთ, ქართულ სამართლებრივ კონტექსტში წმინდა ეკონომიკური ზიანის შემთხვევაში, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, უნდა გვექონდეს ყოველთვის ბმა აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეებთან,<sup>13</sup> თუ საჭიროა მისი ცალსახად დაშორება აღნიშნული სამართლებრივი სიკეთეებისაგან, რომელსაც თან არ უნდა ახლდეს პირის ჯანმრთელობის, სხეულის ან/და ქონების დაზიანება?!<sup>14</sup>

---

<sup>13</sup> ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 628, ველი 5;

<sup>14</sup> C. Elliott & F. Quinn, Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

## II. ზიანი - მისი სამართლებრივი არსი და სახეები

აღსანიშნავია, რომ თავად ზიანი საკმაოდ ფართო ცნებაა. აღნიშნულ ტერმინს ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქალაქეები საკმაოდ ხშირად ვიყენებთ და შეიძლება არც კი ვუფიქრდებით მის ლინგვისტურ თუ სამართლებრივ განმარტებას. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სადოქტორო ნაშრომის ძირითად თემაზე მსჯელობამდე მნიშვნელოვანია თავად ზიანის ცნების განმარტება. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ნორმატიულ აქტებში მატერიალური დანაკლისი როგორც წესი 2 ტერმინით მოიხსენიება: ზიანი და ზარალი. ცხადია, რომ ტერმინოლოგიურ განმარტებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში ზიანი საკმაოდ ფართო ცნებაა და ხშირად ხდება მისი აღრევა და გაიგივება სხვადასხვა ტერმინთან, სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს ტერმინოლოგიური განმარტება და შესაბამისი ერთიანი ცნების დამკვიდრება.

### 1. ზიანისა და ზარალის დეფინიციების ეტიმოლოგიურ-სამართლებრივი კვლევა

სამწუხაროა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს განმარტება, თუ რა განსხვავება შესაძლოა არსებობდეს ქართულ ეტიმოლოგიაში ზიანისა და ზარალის ცნებებს შორის. თუმცა მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ნაშრომის მკითხველმა დაინახოს სხვაობა, ან თუნდაც კავშირი ზიანისა და ზარალის ცნებებს შორის. აღნიშნული საკითხი ჩემი ნაშრომისთვის აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად ვიმსჯელებ თავად Pure Economic Loss-ის ქართულ შესატყვისზე. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ეტიმოლოგიურად ზარალი და ზიანი სინონიმები არიან. ორივე მათგანის განმარტებას დანაკლისთან ან მიუღებელ შემოსავალთან მივყავართ<sup>15</sup> და ორივე სიტყვა ქართულ ენაში თურქულ-არაბული ენების ზეგავლენით მოხვდა, რის შედეგადაც ისინი შინაარსობრივად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა, ჩვენთვის

<sup>15</sup> ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ქ. თბილისი, 1978 წ., 181-182;

მოცემულ შემთხვევაში მთავარს არა მათი ეტიმოლოგიური განსხვავება, არამედ სამართლებრივი სხვაობა წარმოადგენს, შესაბამისად, გასაზიარებელია იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებაც,<sup>16</sup> რომლის თანახმადაც ზიანი უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, მაშინ როდესაც ზარალი მხოლოდ ქონებრივ და მატერიალურ დანაკლისს აღნიშნავს. ზიანი შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი დანაკლისის დროს.<sup>17</sup>

აქვე მნიშვნელოვანია განვიხილოთ უცხო ქვეყნის მაგალითებიც. საბერძნეთის კანონმდებელი სიტყვა „ზიანს“ მხოლოდ ქონების განადგურებისა ან დაზიანებისას იყენებს, მაშინ როდესაც, არამატერიალური/მორალური ზიანისას გამოიყენება არა ტერმინი „ზიანი“, არამედ „დანაკლისი“,<sup>18</sup> თუმცა, ამ საკითხზე ნაშრომში ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული 2017-2018 წლების ცვლილება, რომლის ფარგლებშიც სხვა რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეტანილ იქნა ერთი მცირედი, თუმცა, ჩემი ნაშრომისთვის მეტად აქტუალური ცვლილება, რომლითაც ტერმინი „ზარალი“ ჩანაცვლდა ტერმინით „ზიანი“.<sup>19</sup>

აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია, თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მსჯელობაც აღნიშნული საკითხის ჭრილში. ქართული სამოქალაქო კოდექსი აიგივებს ზარალსა და ზიანს ერთიმეორესთან.<sup>20</sup> აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს

---

<sup>16</sup> ს. ჩხაიძე, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N2(41), 2014 წ., 6;

<sup>17</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-413 მუხლები;

<sup>18</sup> C. Deliyanni-Dimitrakou, Pure Economic Loss under Greek Law, Hellenic Review of International Law, 59, 2006, 90.

<sup>19</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995; საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში დღესდღეობით მოცემულია ტერმინი „ზიანი“, თუმცა იგი კონსტიტუციაში მხოლოდ 2017-2018 წწ. ცვლილებების შემდგომ აღმოჩნდა, როდესაც 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში არსებული ტერმინი „ზარალი“ ჩანაცვლდა. მუხლი შინაარსობრივად ძველი და ახალი რედაქციით ერთიდაიმავეს გადმოსცემს;

<sup>20</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის შემდეგი სიტყვები: „პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც.“;

მე-20 საუკუნის მიწურულს სამოქალაქო კოდექსის დაჩქარებული მიღების საჭიროებით.

შესაბამისად სამწუხაროდ ცხადია, რომ ქართველ კანონმდებლებს მიაჩნდათ და კვლავაც მიაჩნიათ, რომ ზემოხსენებული ტერმინები რეალურად წარმოადგენენ სინონიმებს და მათ შორის განსხვავებების არსებობის მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე ერთმნიშვნელოვნად იყენებს ორივე ტერმინს. კანონმდებლის აღნიშნულ მიდგომას ვხვდებით როგორც სახელმწიფოს მთავარ კანონში - კონსტიტუციაში, აგრეთვე სამოქალაქო სამართლის კოდექსში. სამწუხაროა, თავად კანონმდებლობაში არსებული ასეთი აღრევა და გაიგივება ტერმინოლოგიაში, რადგან ეს პრობლემას უქმნიდა და კვლავაც შეუქმნის ერთიანი ტერმინოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბებას. მიმაჩნია, რომ სასურველი ქართულ კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეჯამება, დახვეწა, ეტიმოლოგიურად შესწავლა და საბოლოო ფორმის ჩამოყალიბება, რათა არ გვხვდებოდეს აღრევა ქვეყნის უზენაეს კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს შორის.

## 2. ზიანის ანაზღაურების არსი და მიზანი

მას შემდეგ რაც ეტიმოლოგიურად გავარჩიეთ ზიანსა და ზარალს შორის სხვაობა თუ მსგავსება, საინტერესოა თავად ზიანის შინაარსზე, აგრეთვე, მის მნიშვნელობაზე მსჯელობა სამართლებრივი კუთხით. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ზიანი არის პირისათვის, იქნება ეს იურიდიული თუ ფიზიკური, მიყენებული დანაკლისი, რაც გამოიხატება მათი სიკეთის ან უფლებების ხელყოფაში. შესაბამისად, იმ კეთილდღეობის განადგურება ან/და შემცირება, რაც მათთვის ღირებულია და რაიმე დანაკლისის მომტანია.<sup>21</sup> გარდა იმ ფაქტორისა, რომ ეს დანაკლისი უნდა ეხებოდეს ამ პირისათვის ღირებულ საკითხს, იგი ობიექტურადაც უნდა მიიჩნეოდეს სამართლებრივად და ეკონომიკურად მნიშვნელოვნად და ღირებულად. სამწუხაროდ ქართული სამოქალაქო

---

<sup>21</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., 378;

კანონმდებლობა არ იძლევა ზიანის ერთიან დეფინიციას, თუმცა, აღნიშნული კომპენსირდება სასამართლო პრაქტიკით<sup>22</sup> თუ სამეცნიერო ნაშრომებით.<sup>23</sup>

ზიანის ერთიანი დეფინიციის არ არსებობა სამწუხაროდ, აისახება აგრეთვე საერთაშორისო სასამართლო გადაწყვეტილებებზეც, სამართლებრივ დოკუმენტებსა და იურიდიულ ლიტერატურაზეც, რისი ნათელი მაგალითიცაა კერძო სამართალში უნიფიცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი - „ევროპული მოდელური კოდექსი“, სადაც ვხვდებით ზიანის განმარტებასა და მისი ცნების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ტერმინის შემუშავების დროს ინგლისურ ენაზე სიტყვა damage - ზიანი განმარტებულია შემდეგნაირად: „ზიანი შეიძლება იყოს ნებისმიერი უარყოფითი შედეგი. იგი თავის თავში მოიაზრებს და მოიცავს როგორც დანაკარგებს, ასევე, დაზიანებასაც.“ დოკუმენტის შემუშავების დასრულებისას, საბოლოო ვარიანტში მსგავსი შინაარსის განმარტებიდან ამოიღეს სიტყვები დაზიანება და დანაკარგი, ვინაიდან ჩაითვალა, რომ სიტყვები „ნებისმიერი უარყოფითი შედეგი“ თავის მხრივ უკვე მოიცავს მეორე წინადადებით გადმოცემულ დანაკარგს (Loss) და დაზიანებას (Injury).<sup>24</sup>

საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზიანის სამართლებრივი არსის გასაგებად უნდა ვეძიოთ მისი ანაზღაურების მიზნები. შესაბამისად, ზიანის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იმ გარემოებას, თუ რამდენად გვაქვს იურიდიული თუ ფიზიკური პირის ქონების თუ სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სახეზე, არამედ უმთავრეს პრინციპს, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს, თუ რა არის ზიანის ანაზღაურების მიზანი და ხომ არ აყენებს ზიანის ანაზღაურება

---

<sup>22</sup> მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-507-481-2011, 2012 წლის 30 იანვარი და საქმეზე № ას-155-145-2017, 2018 წლის 26 ოქტომბერი;

<sup>23</sup> მაგ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., 366;

<sup>24</sup> გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 646;

„დაზარალებულ“ პირს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა ზიანის მიყენების ფაქტი საერთოდ რომ არ დამდგარიყო.<sup>25</sup>

მიუხედავად ზიანის ცნების განმარტების საკითხის პრობლემურობისა, სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ზიანი არის ის უმთავრესი ელემენტი, რომელიც უნდა არსებობდეს ნებისმიერ შემთხვევაში, რის გარეშეც ცხადია, რომ ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობის გაგრძელებაც კი წარმოუდგენელი ხდება.<sup>26</sup>

პირის პასუხისმგებლობაზე მსჯელობა ვერ გვექნება, თუ არ მოხდება თავად ზიანის ფაქტი, შესაბამისად ლოგიკურია, რომ მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება იყოს საუბარი, ასეთად კი, როგორც უკვე ვახსენე მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ზიანი გვევლინება რომლის სამართლებრივად დაცვასაც კანონი მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიიჩნევს. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საკმაოდ მკაფიო და მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უმნიშვნელო ზიანი, შესაბამისად რომლის დაცვასაც კანონი „ღირსად“ არ მიიჩნევს არ ექვემდებარება ანაზღაურებას, რადგან თავად მონაწილეებიც არიან ვალდებული ატარონ სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკი, მსგავსი მიდგომით გამოირჩევა გერმანული სამართალი და აღნიშნულ მიდგომას აგრეთვე იყენებს გერმანელი კანონმდებელი დელიქტურ სამართალში, როდესაც ცალსახად ჩამოთვლის სამართლებრივი სიკეთეებს, რომელთა დაცვაც მას მიაჩნია მიზანშეწონილად და აუცილებლად.<sup>27</sup>

საბოლოოდ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზიანი ეს არის ნებისმიერი მსხვერპლი, რომელიც არ გამომდინარეობდა დაზარალებული პირის ნებიდან. მას ახასიათებს პასივების ზრდა და აქტივების შემცირება. ზიანი თავის მხრივ მოიაზრებს იმ დანახარჯებსაც, რაც დაზარალებულმა გასწია სხვა

---

<sup>25</sup> C. V. Dam , European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 336.

<sup>26</sup> ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., 366;

<sup>27</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123.



სამართლებრივად მეტად ღირებული სიკეთისათვის მიყენებული დანაკლისის შესამცირებლად ან, თუნდაც, სრულად თავიდან ასარიდებლად. ლოგიკურია, რომ იმისათვის, რომ დანახარჯები ჩავთვალოთ დანაკლისად იგი უნდა შეფასდეს ობიექტური ფაქტორებით და დადგინდეს რამდენად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის მხრიდან ხარჯების გაწევა, რათა ზიანის შემცირება, ან მისი თავიდან აცილება მომხდარიყო.<sup>28</sup>

ზიანის არსზე მსჯელობისას როგორც უკვე ვახსენე მნიშვნელოვანია მისი ანაზღაურების მიზნების განხილვა. ზიანის ანაზღაურების საკითხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ე. წ. „სამართლიანობის გამოსწორების/აღდგენის“ (corrective justice) იდეაზე. აღნიშნული იდეის თანახმად მთავარ მიზანს ზიანის ანაზღაურებისა წარმოადგენს დაზარალებული პირისათვის იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც იარსებებდა ზიანის მიყენების ფაქტს ადგილი რომ არ ჰქონოდა, შესაბამისად უნდა აღდგეს მისი პირვანდელი მდგომარეობა.<sup>29</sup>

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზიანის ანაზღაურებისადმი სხვადასხვა სახელმწიფოს და შესაბამისად სამართლის მიდგომა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ სახელმწიფოს წყობილებაზე, მასში მცხოვრები საზოგადოების რელიგიურ და მოქალაქეობრივ ტრადიციებზე. ასე მაგალითისთვის, ფრანგული სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ძირითად მიზანს წარმოადგენს თავად დანაკლისის ანაზღაურება და არა ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დასჯა.<sup>30</sup> ფრანგული ქრისტიანული და რევოლუციურ-სოციალისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მის კანონმდებელს უპირველეს მიზნად აქვს აღებული დაჩაგრული მხარის დაცვა და არა თავად მჩაგვრელის დასჯა, დაჩაგვრა და მისთვის ჭკუის სწავლება, იმ გზით, რომ თავად ამ მჩაგვრელმა იგრძნოს თავი დაჩაგრულის ადგილას.

---

<sup>28</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 8;

<sup>29</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, Романов А. К, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 80.

<sup>30</sup> შდრ. C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 352;

ეს ყველაფერი მოგვიანებით უფრო ნათლად იქნება გადმოცემული ძირითადი საკითხის ნაწილში.

სწორედ მსგავსი ფუნქციის მატარებელია ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ კი სსკ-ის 408-415 მუხლები. ზიანის ანაზღაურებას საქართველოში ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებს, პირველი ეს არის შელახული სამართლებრივი სიკეთის აღდგენა/გამოსწორება (გამოსწორების ფუნქცია) ანუ უკვე მიყენებული დანაკლისის აღდგენა ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში, ან მისი ჩანაცვლება და მეორე პრევენციის ფუნქცია, რაც თავის თავში გულისხმობს, რომ ზიანის ანაზღაურების ფაქტმა უნდა მოახდინოს პოტენციური ზიანის მიმყენებლის გაფრთხილება, რათა მან იცოდეს, რომ მის მიერ მიყენებული ზიანი გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს და მას მოუწევს მისი ანაზღაურება.<sup>31</sup>

ანალოგიურ მიდგომას გვთავაზობს აგრეთვე უცხო ქვეყნის სამართალიც. ზიანის ანაზღაურება უნდა ატარებდეს სამართლიანობის აღდგენის, ზიანის მიმყენებლის გამოსწორებისა და მომავალი პოტენციური დამზარალებლის შემაფერხებელ მიზანს.<sup>32</sup>

მეტად საინტერესო და საყურადღებოა ძველი რომაელების მიდგომა დელიქტების მიმართ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რომში ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ გამიჯნული დანაშაული და დელიქტი. უფრო მეტიც ისინი იმდენად იყვნენ გადაჯაჭვულნი, რომ დელიქტური ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული იყო, თუ რამდენად დაუმტკიცდებოდა პირს სისხლისსამართლებრივი ბრალი.<sup>33</sup> რომაელები და მათ შორის ცნობილი იურისტი გაიუსი ცდილობდა, რომ ვალდებულების ორგვაროვან დაყოფაზე უარი ეთქვა და ტრადიციული გარიგებიდან წარმოშობილი (ex contractu) და ე. წ. „სამართალდარღვევიდან“ წარმოშობილი (ex delicta)<sup>34</sup> ვალდებულების გარდა

---

<sup>31</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 3;

<sup>32</sup> M. S. Madden, EXPLORING TORT LAW, *TORT LAW THROUGH TIME AND CULTURE: THEMES OF ECONOMIC EFFICIENCY*, Cambridge University Press, 2005, p. 12;

<sup>33</sup> გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 67;

<sup>34</sup> G. Mousourakis, *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Springer, Cham, 2015, 127;

შემოიტანა უსაფუძვლო გამდიდრება, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა სახელშეკრულებო და დელიქტური ვალდებულებებისაგან.<sup>35</sup>

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზიანის ერთიანი ლეგალური დეფინიცია და ცნება ქართული კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. სსკ-ის 408-ე მუხლი ერთგვარ საკანონმდებლო ასლად გვევლინება გსკ-ის 249-ე პარაგრაფის. სამწუხაროდ არც სხვა ქვეყნებში გვამოგვს კანონმდებელი ზიანის სრულ სამართლებრივ განმარტებას. სწორედ ამიტომ სანამ დელიქტური სამართლისა და დელიქტური გენერალური დათქმის განხილვაზე გადავალთ უმჯობესი იქნება, რომ მიმოვიხილოთ ზიანის სხვადასხვა სახე და ვიმსჯელოთ თუ რა განსხვავებული და საერთო ნიშნები ახასიათებთ მათ.

### 3. ზიანთა სახეების კლასიფიკაცია და ანალიზი

ზიანის ძირითადი სახეები ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და შემდგომ მუხლებში. იურიდიულ ლიტერატურასა და საკანონმდებლო ნორმებში ვხვდებით ზიანის რამდენიმე სახეს. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისინი და გამოვკვეთოთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის წევრ სახელმწიფოებს მაქსიმალურად იდენტური მიდგომა აქვთ ზიანის მიმართ, ასე მაგალითისთვის კანადაში, სადაც ქვეყნის ძირითად ნაწილზე ანგლო-ამერიკული სამართლის ზეგავლენა ცალსახად იგრძნობა განსხვავდება კვებეკური სამართალი, რომელიც, ფრანგული სამართლიდან მომდინარეობს და შესაბამისად, ახასიათებს ევროპულ კონტინენტური სამართლის ნიშნები. იგი გამოყოფს ზიანის სამ ძირითად შემთხვევას: სხეულისადმი მიყენებული, საკუთრებისადმი მიყენებული და მორალური (არამატერიალური) ზიანი, თუმცა, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ იგი არ გამორიცხავს ზიანის სხვა სახეებსაც.<sup>36</sup>

---

<sup>35</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 49.

<sup>36</sup> M. Bussani, V. Palmer, Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law, Routledge Cavendish, London, 2008, 115.

ქართული სამოქალაქო კოდექსი და მისი 408-ე მუხლი, მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის გერმანული ანალოგისაგან და იგი ფაქტობრივად გვევლინება სამართლებრივ ასლად გსკ-ის 249-ე პარაგრაფის. აღნიშნული ცალსახაა, რომ გამოწვეული ქართულ სამოქალაქო კოდექსის შექმნაში გერმანელი მეცნიერების აქტიური ჩართულობით. აღნიშნული მუხლით ჩამოყალიბებულია ნატურით ანაზღაურების შემთხვევა.<sup>37</sup>

როგორც უკვე ვახსენეთ, ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება ის, გარემოება, რომ დაზარალებულ და დაზარალებულ მხარეს აღუდგეს შელახული უფლებები. ცხადია, რომ იმ შემთხვევაში თუ მისი ნივთი განადგურდა ან მისი უკანონოდ განკარგვა მოხდა, დაზარალებულს სურს, რომ აღნიშნული ნივთი დაიბრუნოს, ან სხვით ჩაანაცვლოს (გვაროვნული ნივთის შემთხვევაში). შესაბამისად ნატურით ანაზღაურების მთავარ მიზანს დაზარალებულის შელახული უფლებების აღდგენა წარმოადგენს. ამასთან ერთად, კანონმდებლობა ტოვებს გამონაკლის შემთხვევას სსკ-ის 409-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მართალია შესაძლებელია, თუმცა მხოლოდ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით.<sup>38</sup>

ხშირად ნატურით ანაზღაურების საკითხი, აგრეთვე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაძლოა დაზარალებულს არ ჰქონდეს მოლოდინი, რომ ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ იგი შეძლებს სადავო ნივთის შეძენას, ამიტომ მას ნატურით ანაზღაურება ურჩევნია. ძლიერი და წარმატებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში კი მეტია მოლოდინი, რომ დაზარალებული მხარე არა ნატურით ანაზღაურებას, არამედ ფულად კომპენსაციას მოითხოვს.<sup>39</sup>

---

<sup>37</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §249, 132, ველი 1;

<sup>38</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 16;

<sup>39</sup> ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 408, 452-453;

კვებეკური სამართლის მსგავსი მიდგომებით გამოირჩევა აგრეთვე სხვა სახელმწიფოების, შტატების თუ ტერიტორიების სამართალი, სადაც ცალსახად იგრძნობა ფრანგული კოლონიური ზეგავლენა. ლუიზიანას შტატის სამართალშიც კვებეკურის მსგავსად, რომელზეც უკვე ვისაუბრე, გამოყოფილია ზიანის სამი ძირითადი სახე: სხეულისადმი/ჯანმრთელობისადმი, ქონებისადმი და მორალური ზიანი, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ გამოირიცხება ზიანის სხვა სახეები.<sup>40</sup>

### 3.1. არამატერიალური და მატერიალური ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 408-ე მუხლი არეგულირებს როგორც მატერიალურ ისე არამატერიალურ ზიანს, შესაბამისად გულისხმობს, როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ დანაკლისს. ცხადია ორივე მათგანი რეგულირდება 1 ნორმით, თუმცა, თითოეულ მათგანს მაინც აქვს განმასხვავებელი მახასიათებლები. მათი გამიჯვნისთვის მთავარი კრიტერიუმია, მიყენებული დანაკლისის ფინანსურად შეფასების შესაძლებლობა და ნივთის სამოქალაქო ბრუნვაში არსებობა.<sup>41</sup>

პიროვნების ჯანმრთელობის დაზიანება არ იწვევს მხოლოდ ქონებრივ ზიანს, რომელიც თავის მხრივ მკურნალობის ხარჯებში გამოიხატება ან/და დროებით შრომისუუნარობის შედეგად გამოწვეულ მიუღებელ შემოსავალში, არამედ იგი გამოიხატება არამატერიალური/მორალური ზიანის სახითაც, რაც მოიაზრებს დაზარალებულის ტანჯვას, ტკივილსა და დისკომფორტს.<sup>42</sup> არამატერიალური, შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დამოკიდებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაზე. აღნიშნული მიდგომა ქართულ სამართალში განპირობებულია გერმანული სამართლის მიდგომით, სადაც ნათლად არის გადმოცემული მორალური ზიანის არსი ტერმინით - *Schmerzensgeld*

---

<sup>40</sup> *M. Bussani, V. Palmer, Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law*, Routledge Cavendish, London, 2008, 115.

<sup>41</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 12;

<sup>42</sup> *C. V. Dam*, *European tort law*, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 346;

(კომპენსაცია ტკივილისა და ტანჯვისთვის).<sup>43</sup> შესაბამისად, ცალსახად, რომ მორალური ზიანის დასადგენად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ტანჯვისა და ტკივილის არსებობა, რომელიც დაზარალებულს დამზარალებლის ქმედებამ მიაყენა.

მაშინ, როცა მატერიალური დანაკლისი გამოწვეულია რაიმე არსებული ქონებრივი სიკეთეების ხელყოფით, მორალური დანაკლისის დროს სახეზე გვაქვს არაქონებრივი სიკეთეების ხელყოფა, როგორც შეიძლება იყოს, ადამიანის ღირსება, პატივი, აგრეთვე მისი ჯანმრთელობა და ზოგადად ყველაფერი, რისი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად მიჩნევაც შეუძლებელია.

ცხადია, რომ ადამიანის ჯანმრთელობა, ღირსება, პატივი ვერ იქნება ქონებრივი სიკეთე, თუმცა, მათი ხელყოფით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებას მაინც ექვემდებარება. ამ ასპექტში კი სპეციფიკურია ზიანის გამოთვლის საკითხი. ქონებრივი/მატერიალური დანაკლისის დროს ზიანის გამოთვლის საკითხი მეტწილად მარტივია. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის 408-ე მუხლი პირველ ნაწილში განმარტავს, რომ დამზარალებელმა კვლავ უნდა ადადგინოს ის პირვანდელი მდგომარეობა, რაც არსებობდა ზიანის დადგომამდე. შესაბამისად, ქონებრივი ზიანის გამოთვლის დროს სავარაუდო, ანდა არსებულ პირვანდელ ქონებრივ მდგომარეობას უნდა შევადაროთ დაზარალებულის ამჟამად არსებული მდგომარეობა. სწორედაც რომ ამ ერთეულებს შორის გამოვლენილი სხვაობა განეკუთვნება რეალურ ქონებრივ ზიანს.<sup>44</sup> აღნიშნული გამოთვლის წესი დოქტრინაში „დიფერენციაციის ჰიპოთეზით“ არის მოხსენებული, რომლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ქონებრივი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც.<sup>45</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა განსხვავებულად რეგულირდება თავად კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც. საფრანგეთის კანონმდებლობა ცალსახად არ მიჯნავს დანაკლისის სახეებს და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების საზღვრებს.

---

<sup>43</sup> იხ. *B. S. Markesinis & H. Unberath, The German Law of Torts: A Comparative Treatise*, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 915;

<sup>44</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 10;

<sup>45</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

შესაბამისად, ფრანგმა მოსამართლემ შესაძლოა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება „მოღალატე“ მეუღლეზეც გაავრცელოს. საქართველოს კანონმდებლობა თავის მხრივ იზიარებს გერმანულ მიდგომებს, რომლის მიხედვითაც მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.<sup>46</sup>

როგორც უკვე აღვნიშნე, ბერძნულ სამართალში ტერმინ „ზიანს“ იყენებენ მხოლოდ მატერიალური დანაკლისის აღსანიშნავად, არაქონებრივი დანაკლისთან კი ბერძნები იყენებენ სიტყვებს - „მორალური დანაკლისი“, რაც თავის მხრივ პირის მიერ განცდილ ტკივილსა და ვნებას მოიაზრებს.<sup>47</sup>

განსხვავებული მიდგომაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი გამოირჩევა მორალური ზიანის მიმართ სადამსჯელო ხასიათით, როდესაც დამზარალბელს სასამართლო ხშირად ათიათასობით დოლარსაც კი აკისრებს, რადგან ამერიკული სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის „სამაგალითო დასჯა“ სხვა პოტენციურ ზიანის მომყენებლებზე, გაფრთხილებისა და პრევენციის ფუნქციას იქონიებს.<sup>48</sup>

ზემოხსენებული მიდგომებისგან ცალსახად განსხვავდება გერმანული და შესაბამისად ქართული მიდგომა, რადგან მორალური ზიანის ანაზღაურებას ამ ორი ქვეყნის კანონმდებლობა მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში უშვებს.<sup>49</sup> მორალური ზიანის მიმართ ფრანგული კანონმდებლის ასეთი და ფართო მიდგომა გამომდინარეობს, ზოგადად ფრანგული სამოქალაქო სამართლის ლიბერალური მიდგომიდან ზიანის ანაზღაურების ჭრილში. ზიანთან მიმართებით ევროპული და არა მხოლოდ ევროპული სამართლის მიდგომებზე ნაშრომში ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

---

<sup>46</sup> გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 663.

<sup>47</sup> C. Deliyanni-Dimitrakou, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 90.

<sup>48</sup> Dam, C. V., *European tort law*, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 350;

<sup>49</sup> გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 663.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სულიერი ტანჯვისას.<sup>50</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეგულაცია პირდაპირ არ ადგენს, რომ პირის გარდაცვალებისას მის ახლობლებს განცდილი სულიერი ტკივილისათვის მორალური ზიანის სახით უნდა აუნაზღაურდეს დამდგარი დანაკლისი, თუმცა, ქართული საკასაციო სასამართლო 2015 წლის მნიშვნელოვან და შეიძლება ითქვას პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში განმარტავს,<sup>51</sup> რომ დელიქტორს ეკისრება დალუპული პირის ოჯახის წევრებისათვის მიყენებული მორალური და სულიერი ტანჯვისათვის არამატერიალური დანაკლისის ანაზღაურება. სწორედ ამ გადაწყვეტილებაშივე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მორალურ ზიანს ახასიათებს ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნებისადმი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც თავის მხრივ შემდგომ შეიძლება აისახოს სულიერ და ფიზიკურ ტანჯვაში.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიმართ, შემდგომ საკმაოდ ბევრი კითხვა გაჩნდა და იგი საკამათო გახდა სამართლებრივ დოქტრინაშიც.<sup>52</sup> განსხვავებული პოზიცია ფიქსირდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც, პირის გარდაცვალებით გამოწვეულ არამატერიალურ დანაკლისთან მიმართებით. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითად პრობლემურ საკითხს და დილემას წარმოადგენს სწორედ ის თემა, უნდა მოხდეს თუ არა ზიანის მიმყენებელი პირისათვის მხოლოდ მატერიალური ზიანის დაკისრება, თუ აგრეთვე მორალური ზიანის დაკისრებაც, რაც ოჯახის წევრების სულიერ ტანჯვაში გამოიხატა.<sup>53</sup>

არამატერიალური, არაქონებრივი ზიანის გამოთვლა, ქონებრივი ზიანისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია, რადგან რა საკვირველია ჰიპოთეზას დიფერენციაციის შესახებ აღნიშნულ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან

---

<sup>50</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413, ველი 1;

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-979-940-2014;

<sup>52</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413, ველი 6;

<sup>53</sup> Dam, C. V. European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 347.



ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისგან გამოწვეული სულიერი ტანჯვის ფინანსურად შეფასება შეუძლებელია.<sup>54</sup>

გერმანული სამართალი არსებით ზეგავლენას ახდენს ქართულ სამართალზე, რაც აგრეთვე აისახება მორალურ ზიანზეც, რომლის თანახმადაც პირისათვის მიყენებული ზიანი იწვევს არა მხოლოდ ქონებრივ/მატერიალურ დაზიანებას, არამედ მორალურ ზიანსაც კი. როგორც უკვე ვახსენე, გერმანელები მსგავს ზიანთან მიმართებით იყენებენ ტერმინს *Schmerzensgeld*, რომელიც საკმაოდ ფართოა და ზუსტად გადმოსცემს აღნიშნული ზიანის შინაარსს.<sup>55</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურებას 3 ძირითადი მიზანი აქვს. პირველ რიგში მორალური ზიანის ანაზღაურება მიზანმიმართულია მიყენებული დანაკლისის კომპენსაციისთვის. მეორე რიგში, მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა ატარებდეს სოციალურ ფუნქციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს, დაზარალებულის პატივისა და ღირსების საზოგადოებისა და საკუთარ თვალში აღდგენას. დაბოლოს მორალური დანაკლისის ანაზღაურების ერთ-ერთი მიზანია დამზარალებლის დასჯა და ანტისაზოგადოებრივი, შეუფერებელი ქმედების დასაწყვირება.<sup>56</sup> გერმანული სამართლის მიხედვით, არამატერიალური/მორალური ზიანის ანაზღაურებას ორი ფუნქცია აქვს:

- 1) სამართლიანი და ღირსეული კომპენსაცია მიყენებული ტანჯვისათვის;
- 2) დაზარალებული პირის დაკმაყოფილება მისი უფლებების დარღვევისთვის.<sup>57</sup>

---

<sup>54</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 11;

<sup>55</sup> B. S. Markesinis & H. Unberath, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 915;

<sup>56</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, *Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие*, Юстицинформ, Москва, 2017, 44;

<sup>57</sup> C. V. Dam, *European tort law*, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 349 და B. S. Markesinis & H. Unberath, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 916.

### 3. 2. არასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავდაპირველად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზოგადად არ მომდინარეობდა სახელშეკრულებო ან სხვა ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან. არამედ, ძველ რომში ზიანის ანაზღაურება ხდებოდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად.<sup>58</sup>

მხოლოდ მოგვიანებით გაიმიჯნა აღნიშნული ორი სამართლებრივი რეაგირების ბერკეტი ერთმანეთისგან და შესაძლებელი გახდა, პირის მიერ მიყენებული ზიანის კომპენსაცია მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე.<sup>59</sup> ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოყოლებული ცნობილია ვალდებულების წარმოშობის 2 სახე: არასახელშეკრულებო (*ex delicta*) და სახელშეკრულებო (*ex contractu*).<sup>60</sup>

არასახელშეკრულებო ზიანის შემთხვევაში მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე გარიგება ან ზიანის დადგომამდე არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა, მაშინ როდესაც სახელშეკრულებო ზიანის დროს ეს ყოველთვის სახეზეა და იგი აუცილებელი ელემენტია. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მოსაზრებების თანახმად, სახელშეკრულებო ზიანი გამოწვეულია გარიგებით განსაზღვრული ვალდებულების ან რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან კანონის მოთხოვნების დარღვევით,<sup>61</sup> შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების უგულებელყოფასთან.<sup>62</sup>

<sup>58</sup> G. Mousourakis, *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Springer, Cham, 2015,144;

<sup>59</sup> V. Harpwood, *PRINCIPLES OF TORT LAW* fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp. 5-6;

<sup>60</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 3;

<sup>61</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., 378.

<sup>62</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 650;

როგორც აღნიშნე, სამოქალაქო სამართალი იცნობს არასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ვალდებულებების წარმოშობის სახეებს.<sup>63</sup> აღნიშნულის მიხედვით განსხვავდება ზიანის წარმოშობის ორი სახეც: სახელშეკრულებო და კანონისმიერი. პირველი მათგანი დაკავშირებულია მხარის მიერ ვალდებულის შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით წარმოშობილ დანაკლისთან, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მხარეებს შორის მანამდე არ არსებობდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, შესაბამისად, ზიანის დადგომა დაკავშირებულია, სხვა გარეშე ფაქტორებთან.

სამეცნიერო დოქტრინაში არსებული მოსაზრებებით,<sup>64</sup> სახელშეკრულებო ზიანი ძირითადად დაკავშირებულია გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებების, რაიმე კანონის ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევასთან. ამრიგად, ზიანის წარმოშობაც და მისი ანაზღაურებაც, ყოველთვის დაკავშირებულია ხელშეკრულების პირობების, ან საკანონმდებლო მოთხოვნის შეუსრულებლობასთან.<sup>65</sup>

აღნიშნულისგან განსხვავებით არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიშობა არა კონტრაქტის ან შეთანხმების დარღვევისას, არამედ სამართალდარღვევის ჩადენისას, რასაც დღეს დელიქტს ვუწოდებთ, რომელიც ხშირად სამართალდარღვევით გამოწვეულ ვალდებულებად მოიხსენიება.<sup>66</sup>

ამასთან არ გამოირიცხება ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარეები იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, თუმცა, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი ჩაითვლება დელიქტად. მხოლოდ პირებს შორის არსებული საკონტრაქტო ურთიერთობა საკმარისი არ არის ზიანის სახის დადგენისთვის. ამგვარი ზიანი

---

<sup>63</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 3;

<sup>64</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., 378.

<sup>65</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 650;

<sup>66</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 379;

შესაძლოა მაშინაც წარმოიშვას, როდესაც მხარის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი მოქმედება სცდება გარიგების ფარგლებს ან/და ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. შესაბამისად, აუცილებელია თავად სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანის მკაფიოდ გამიჯვნა ერთმანეთისგან, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს ზიანის ანაზღაურებისას გამოსაყენებელი რეგულაციები.<sup>67</sup>

ამასთან, ინგლისური სამართლის სისტემაში, დაზარალებულები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ზიანის ანაზღაურების დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებს. აღნიშნული მეტად ხელსაყრელია დაზარალებულისთვის, ვინაიდან ხელშეკრულების პირობებმა, ზიანის ანაზღაურების დათქმულმა მოცულობამ, პასუხისმგებლობის გამორიცხვის პირობებმა ან სხვა ფაქტორებმა შესაძლოა შეამციროს დასაკისრებელი კომპენსაციის ოდენობა ან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. მაშინ როდესაც დელიქტური პასუხისმგებლობის დროს დელიქტენტი არ იბოჭება სახელშეკრულებო პირობებით და მას კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მისთვის ხელსაყრელ პირობებში.<sup>68</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს სარჩელის აღძვრა შესაძლებელი ხდება მაშინათვე, როდესაც გარიგების რაიმე პირობა დაირღვა, ზიანის დადგომას შესაძლოა არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც დელიქტის დროს ეს არსებითია. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, რომ სწორედ ამიტომ აითვლება ხანდაზმულობის ვადებიც კი განსხვავებულად დელიქტსა და სახელშეკრულებო ზიანის შემთხვევაში. სახელშეკრულებო ზიანის დროს პირს შეუძლია იდავოს მაშინაც კი თუ ზიანს ადგილი არ ჰქონია და მოითხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების პირნათლად შესრულება, დელიქტის

---

<sup>67</sup> *მ. დუნდუა*, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, ქ. თბილისი, 2009, 58.

<sup>68</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 102;

დროს კი დავის უფლება წარმოიშვება მხოლოდ თავად ამ ფაქტის დადგომის მომენტიდან.<sup>69</sup>

### **3.3. ზიანის სხვა სახეების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი**

სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე ვხვდებით ზიანის სხვადასხვა სახეების განხილვას, რომლებიც ჩვენი თემისთვის არანაკლებად აქტუალურია, და შესაბამისად მათი მოკლე მიმოხილვა აუცილებლად მიმაჩნია.

#### **3.3.1. არაპირდაპირი და პირდაპირი ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი**

არაპირდაპირ და პირდაპირ ზიანს მნიშვნელოვანი კავშირი აქვს წმინდა ეკონომიურ ზიანის შემთხვევაში. ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებებში არაპირდაპირ ზიანს ვერ მიჯნავენ წმინდა ეკონომიკური ზიანისაგან,<sup>70</sup> თუმცა ამ საკითხზე შემდგომ თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრე.

პირდაპირი ზიანის შემთხვევაში დანაკლისი აშკარაა და იგი პირის ქმედებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, მაშინ როდესაც არაპირდაპირი ზიანის დროს ზიანის მიმყენებელს მხოლოდ ირიბი შემხებლობა აქვს და სწორედ აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიზეზობრივი კავშირი, რომლის ჯაჭვმაც შესაძლოა იმ პირის მშობლამდეც მიგვიყვანოს, ვინც აღნიშნული ზიანის ჩადენა გამოიწვია, ამიტომ მოსამართლეს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რათა სწორად განსაზღვროს დამზარალებლის პასუხისმგებლობის ფარგლები და დონე.<sup>71</sup>

არაპირდაპირი ზიანის პრობლემურობა მდგომარეობს იმ საკითხში, რომ საკმაოდ რთულდება ასეთ დროს მიზეზობრივი კავშირის პოვნა. მოსამართლეებს მსოფლიო

---

<sup>69</sup> *A. Kramer*, THE LAW OF CONTRACT DAMAGES second Edition, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2017, 4;

<sup>70</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5.

<sup>71</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 226;

მასშტაბით სწორედ რომ არაპირდაპირი და წმინდა ეკონომიკური ზიანის დროს უჭირთ იპოვონ ბმა პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და შედეგს შორის.<sup>72</sup>

### 3.3.2. მიუღებელი შემოსავლისა და საკომპენსაციო (რეალური) ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ქართული კანონმდებლობა განასხვავებს ერთმანეთისაგან რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს. რეალურ ზიანს ხშირად უწოდებენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკომპენსაციო ზიანს, რადგან იგი სწორედ იმ დანაკლისის აღმოფხვრისკენაა მიმართული, რაც პირს მიადგა უშუალოდ დამზარალელების მოქმედებით.<sup>73</sup>

რეალური ზიანის დათვლა საკმაოდ მარტივია და იგი გარკვეულწილად გამყარებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლში. კანონმდებლობა ავალებს დამზარალელებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. რეალური ზიანის გამოთვლისას დანაკლისამდე არსებულ მატერიალურ მდგომარეობას უნდა გამოაკლდეს პირისთვის ზიანის მიყენების შემდგომ არსებული ქონებრივი მდგომარეობა, ასეთ დროს მიღებულ ნაშთს კი სამართლებრივად „რეალური ზიანი“ ეწოდება.<sup>74</sup> რეალური ზიანისგან განსხვავებით მიუღებელი შემოსავალი საკმაოდ რთული გამოსათვლელია, რადგან დაზარალებულ მხარეს უწევს იმის მტკიცება თუ რა პოტენციური შემოსავალი შეეძლო მიეღო, რომ არ მიეყენებინათ მისთვის ზიანი.

---

<sup>72</sup>D. Marshall, Liability for Pure Economic Loss Negligently Caused: French and English Law Compared, Cambridge University Press on behalf of the British Institute of International and Comparative Law, 1975, p. 767;

<sup>73</sup> გ. ცერცვაძე, სახელმეცრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 652;

<sup>74</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 10;

### 3.3.3. მორატორიული და საკომპენსაციო ზიანის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

საკომპენსაციო ზიანის განმარტებისას ვგულისხმობთ, რომ იგი დაკავშირებულია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, მაშინ როდესაც, მორატორიული ზიანი კიდგება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში.

აღნიშნული საკითხები მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი ქართულ სამართლებრივ კონტექსტში და სწორედ ამიტომ აუცილებელია ჩემი ძირითადი თემის სწორად აღსაქმელად მათი განხილვა. სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ხდება წმინდა ეკონომიკური ზიანისა და სხვა დანაკლისების აღრევა. აღნიშნული საკითხი განხილული მაქვს ნაშრომის შემდგომ თავებში.<sup>75</sup>

---

<sup>75</sup> დეტალურად იხ. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის მე-6 თავი.

### III. დელიქტის ცნება და დელიქტური გენერალური დათქმა

ზიანი და ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს სხვადასხვა საფუძვლიდან, ეს შესაძლოა იყოს გარიგების, კანონით გათვალისწინებული ნორმის ან საზოგადოებაში მიღებული და დადგენილი წესების დარღვევა, ეს უკანასკნელი არასახელშეკრულებო ზიანის კატეგორიას მიეკუთვნება და როგორც წინა თავში ვახსენე იგი ხშირად დელიქტიდან წარმოშობილ ზიანადაც მოიხსენიება.<sup>76</sup>

წინა თავებში განვიხილეთ, რომ თავდაპირველად არსებობდა ვალდებულების წარმოშობის ორწევრიანი დაყოფა, თუმცა მოგვიანებით შეიცვალა და გაჩნდა ოთხწევრიანი დაყოფა, კერძოდ კვაზი ხელშეკრულებები და კვაზი დელიქტები, თუმცა, მათზე როგორც უკვე განვმარტე, ქართველმა კანონმდებელმა უარი განაცხადა და მათი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ქვეშ გაერთიანება გადაწყვიტა.<sup>77</sup> იმის გამო, რომ აღნიშნულ თემაზე მსჯელობა ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს ეხება, მას აქ არ განვიხილავთ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანია, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის 992-1008 მუხლებში ჩამოყალიბებული დელიქტური სამართალი.<sup>78</sup> აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ თავში გადმოცემული მსჯელობების ნაწილი ჩემ მიერ გამოქვეყნებულია სტატიის სახით ქართულ-გერმანულ ჟურნალში.<sup>79</sup>

---

<sup>76</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 378;

<sup>77</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 49-50;

<sup>78</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992-1008, 378-429;

<sup>79</sup> ი. სვანაძე, ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დელიქტური გენერალური დათქმის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4, ქ. თბილისი, 2022, გვ. 27-35;



## 1. დელიქტი და მისი სამართლებრივი არსი

თანამედროვე სამართლის მიერ მკაფიოდ არის გამიჯნული დელიქტი და დანაშაული, ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის სფეროს მიეკუთვნება.<sup>80</sup> გამიჯვნის მიუხედავად, მათ აქვთ საერთო დამახასიათებელი ნიშანი, კერძოდ ის, რომ ორივე მათგანი ზიანის მომტანია ინდივიდისათვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დანაშაული თავის მხრივ გაცილებით მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია, არა მხოლოდ კონკრეტული პირისათვის (დაზარალებული) არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსთვის, სწორედ ამიტომაც განსაზღვრული აღნიშნულისთვის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ზომა.<sup>81</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზიანი ვალდებულების მსგავსად შესაძლოა მომდინარეობდეს, ხელშეკრულებიდან, სამართლით გათვალისწინებული ნორმებისგან ან სოციუმში დამკვიდრებული და მიღებული ნორმების დარღვევიდან.

ქართულ სამართალში სიტყვა დელიქტთან მიმართებით გერმანული სამოქალაქო სამართლის გავლენა მკაფიოდ იგრძნობა. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში იყენებენ ტერმინს „Deliktsrecht“, ხოლო ანგლო-ამერიკულ სამართალში გამოიყენება ტერმინი „tort“. თავად ტერმინი დელიქტი, მომდინარეობს ძველი რომიდან. აღნიშნულის მიხედვით, „delictum“ ნიშნავს გადაცდომას, შეცდომას, სამართალდარღვევას.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საკმაოდ ლოგიკურია თავად განმარტებაც, თუმცა ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ საიდან გაჩნდა ტერმინი „tort“ ანგლო-ამერიკულ სამართალში. თუ გადავხედავთ სამეცნიერო ლიტერატურას, ვნახავთ, რომ სიტყვა „tort“-ის საფუძველია ლათინური სიტყვა „tortus“, აღნიშნული ნიშნავს, არასწორს, გადახრილს, იგი არის ანტონიმი, ლათინური სიტყვისა „rectus“, რაც შესაბამისად

---

<sup>80</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 5;

<sup>81</sup> G. Mousourakis, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 143;

სწორს ნიშნავს.<sup>82</sup> თავად ინგლისურ ენაში, ეს ტერმინი ფრანგულიდან მოხვდა, როდესაც მე-11 საუკუნის შუა ხანებში ინგლისის მმართველობას ნორმანდიული ელიტა შეუდგა.<sup>83</sup> აქედან გამომდინარეობს ერთ-ერთი ყველაზე მეტად სარწმუნო მოსაზრება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ტერმინის წარმოშობას ანგლო-ამერიკულ სამართალში.

ფრანგები, ლათინური ზეგავლენით და შემდგომ ინგლისელები ფრანგულ/ნორმანდიული ზეგავლენით მიიჩნევდნენ, რომ პირის მიერ სხვისთვის ზიანის მიყენება წარმოადგენდა „არასწორ“ ქმედებას, შესაბამისად სისწორის დარღვევას და კანონიდან ან დადგენილი წესიდან გადახვევას. ამერიკული სამართალის მიხედვით დელიქტად (tort) მიიჩნევა შემთხვევა, რა დროსაც პირს ისეთი ზიანი ადგება, რომლის შემდეგაც დგება სამოქალაქო პასუხისმგებლობა.<sup>84</sup> აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის მანძილზე ინგლისელები იყენებდნენ სიტყვა “tort”-ს ყოველდღიურობაში, მაგრამ დღეს იგი მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში გამოიყენება.<sup>85</sup> მე-14 საუკუნეში სიტყვა “Tort”-მა მიიღო თანამედროვე მნიშვნელობა და სხეულის დაზიანებით გამოწვეულ ზიანს ინგლისში მას შემდეგ უკვე მუდმივად ასე მოიხსენიებდნენ.<sup>86</sup>

ძველ რომში ხოლო ცოტა მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიაში განასხვავებდნენ დელიქტის 4 სახეს, რაც მკაფიოდ აღწერს, თუ როგორ განსხვავდებოდა წინაპრების შეხედულება დელიქტურ სამართალთან დაკავშირებით. მაგალითად, დელიქტად მიიჩნევდნენ furtum-ს, რაც ქართულად ქურდობას ნიშნავს, rapina-ს, რაც სხვისი

---

<sup>82</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp. 1-3;

<sup>83</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 32-33;

<sup>84</sup> C. V. Dam , European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 154;

<sup>85</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 33;

<sup>86</sup> P. Mitchell, A History of Tort Law 1900–1950, Edited by J. H. Baker Cambridge University Press, Cambridge, 2015, pp. 13-15;

ნივთის ძალმომრეობით დაუფლებას გულისხმობს, *damnum iniuria datum*-ს, რაც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაზიანებას ნიშნავს და *iniuria*-ს, ანუ სხვის შეურაცხყოფას.<sup>87</sup>

საინტერესოა სხვადასხვა სახელმწიფოს დელიქტური სამართლის ნორმები და მასში გამოყენებული ტერმინები.<sup>88</sup> ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, დელიქტური სამართლის მთავარი მიზანია, რომ მოხდეს დანაკლისის წინასწარი პრევენცია და მხოლოდ ასეთი ფაქტის არსებობის შემდგომ მისი კომპენსაცია. ცხადია, რომ არც ერთ შემთხვევაში დელიქტური სამართლის მამართ კანონმდებელს არ აქვს სურვილი, რომ მან ატაროს სადამსჯელო ხასიათი და მიზანი.<sup>89</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალი და დელიქტური სამართალი გამიჯნულია, თავად დელიქტსა და დანაშაულს შორის არის, მჭიდრო კავშირი. სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულია: პირის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, მკვლელობა, ქონების განადგურება და სხვ. ასეთი დანაშაულის არსებობის შემთხვევაში გარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, ასევე გათვალისწინებულია დამზარალელების პასუხისმგებლობა დელიქტური სამართლის მიხედვითაც. შესაბამისად, შესაძლოა ითქვას, რომ სისხლის სამართალი დამხმარეა დელიქტური სამართლისთვის რათა მოხდეს, პირის სამართლებრივი სიკეთეებისა და უფლებების დაცვა. შესაძლოა არსებობდეს შემთხვევა, რა დროსაც პირი, რომელიც იწვევს დელიქტს, იგი ამავე დროს შესაძლოა ჩადიოდეს აგრეთვე დანაშაულს.<sup>90</sup>

ნაშრომში უკვე აღვნიშნე, რომ თავად დელიქტი ლათინურ ენაში გაჩნდა პირველად, ქართულ სამართალში იგი ტერმინი *delictum*-დან მომდინარეობს, რაც თავის მხრივ

---

<sup>87</sup> *G. Mousourakis*, *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Springer, Cham, 2015, 144;

<sup>88</sup> *C. Deliyanni-Dimitrakou*, *Pure Economic Loss under Greek Law*, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 90;

<sup>89</sup> *B. C. Steininger*, *European Tort Law 2005*, H. Koziol, B. C. Steininger (eds.), Springer, Vienna/ New York, 2005, 119;

<sup>90</sup> *N. J. McBride & R. Bagshaw*, *Tort Law*, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 29;

შეცდომას, გადაცდომას, არამართლზომიერს ნიშნავს. ამ ტერმინს ძირითადად ვხვდებით კონტინენტურევროპულ ქვეყნებში. ანგლო-ამერიკული სამართლის შემთხვევაში კი ამ ტერმინის სინონიმად ვხვდებით ლათინური სიტყვიდან - tortus-დან წარმოშობილ ტერმინ tort-ს.<sup>91</sup>

ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსში არ გვაქვს დელიქტის სამართლებრივი დეფინიცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით ზოგადად არის ჩამოყალიბებული, დამზარალეზლის პასუხისმგებლობა დაზარალებული პირის მიმართ, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს პირის ნებისმიერი ქმედება. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ნორმის მიზნიდან გამომდინარე არ აქვს მნიშვნელობა ეს დანაკლისი გამოწვეულია გაუფრთხილებელი თუ განზრახი ქმედებით. ხოლო, გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რომელსაც ქართულ კანონმდებლობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს, მიიჩნევა, რომ დელიქტური მოთხოვნა შეიძლება მომდინარეობდეს დაზარალებული პირის უფლების ან სამართლებრივი სიკეთეების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. საუბარია ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს ხელშეკრულების ფარგლებს მიღმა.<sup>92</sup>

აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა უარს ამბობს იმ სამართლებრივი სიკეთეების პირდაპირ განსაზღვრაზე, რომელთა დაცვის მიზანსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ემსახურება. ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ განსაზღვრულია ის სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაცვაზეც ვრცელდება დანაკლისის ანაზღაურების შესახებ აღნიშნული ნორმა.<sup>93</sup>

---

<sup>91</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 32-36;

<sup>92</sup> იხ. *ი. კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 623, ველი 1.

<sup>93</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თარჯიმანი ჭეჭელაშვილი ზ., ქ. თბილისი, 2010, §823.  
<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>;

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული მუხლი შეიცავს ისეთი სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალის, როგორებიცაა ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, მისი საკუთრებისა და სხვა უფლებები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე მეცნიერთა კომისია, აღნიშნული მუხლის პირველად ვარიანტად განიხილავდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში არსებული ჩანაწერის ანალოგიურ ნორმას, რომელიც გამოიყურებოდა შემდეგნაირად: „პირი, რომელიც სხვა პიროვნებას განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს (schaden) კანონსაწინააღმდეგო (widerrechtlich) ქმედებით ვალდებულია აანაზღაუროს დაზარალებულისათვის დამდგარი ზიანი“<sup>94</sup> საინტერესოა, რომ კომისიის წევრებს თავდაპირველად მოსწონდათ მუხლის ასეთი ფართო მიდგომა, თუმცა, საბოლოოს სწორედ აღნიშნულმა კომისიამ შეიმუშავა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებული 823-ე პარაგრაფი დღეს არსებული სახით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება რომლის მიხედვითაც,<sup>95</sup> გერმანელმა კანონმდებლებმა სიტყვებით “...ein sonstiges recht” (... ან სხვა უფლებები), დაუტოვა სასამართლოს დისკრეცია განესაზღვრა, თუ კიდეც სხვა რომელი სამართლებრივი სიკეთეების მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღნიშნული ჩანაწერი.<sup>96</sup> ამიტომ აღნიშნული შეგვიძლია განვიხილოთ იმის არგუმენტად, რომ სსკ-ზე მუშაობისას, კანონმდებლებმა უარი თქვეს დაეკონკრეტებინათ ის სამართლებრივი სიკეთეები და შემთხვევები, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს დელიქტური სამართალი, აღნიშნული მსგავსება გამოწვეულია იმით, რომ კოდექსის მოცემული მუხლის შემუშავება გერმანელი კოლეგების დახმარებით განხორციელდა.

---

<sup>94</sup> J. Gordley, The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 38-39;

<sup>95</sup> გ. ცერცვაძე, სახელმეცნიერო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 69.

<sup>96</sup> დ. მაისურაძე, სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შეზღუდვის დოგმატური დასაბუთება, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2020, 10;

ასევე, საყურადღებოა უცხოეთში სამართლებრივ სფეროში გავრცელებული აზრი,<sup>97</sup> კერძოდ, ის რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის-ის 823-ე პარაგრაფი ნაკლებად შეეხება ეკონომიკური ზიანის შემთხვევას და აღნიშნული ზიანის არსებობისას, ანაზღაურების მოსათხოვად დაზარალებული უნდა დაეყრდნოს ამავე კანონის 826-ე პარაგრაფს.<sup>98</sup> წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც შემდგომ თავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული, გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის გამოიყენება არ ხდება და ასეთ დროს გერმანელები 826-ე პარაგრაფით ხელმძღვანელობენ, აღნიშნული უფრო ვიწროა და გამოიყენება, მხოლოდ განზრახვის არსებობის შემთხვევაში, ანუ მაშინ როდესაც ზიანი გამოიწვია პირის განზრახ ქმედებამ, ხოლო, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის კი - როგორც განზრახვით, ასევე გაუფრთხილებელი ქმედებით გამოწვეული დანაკლისის მიმართ. მეორეს მხრივ აღსანიშნავია, რომ ხდება მისი შემოფარგვლა მხოლოდ იმ დათქმით, რომელზეც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის გავრცელება შესაძლებელია, ექსკლუზიურად აბსოლუტურ სიკეთეებზე, მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა. შ.<sup>99</sup> გერმანელი კანონმდებლის მიზანთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, რომ მათ სურდათ დელიქტურ გენერალურ დათქმაზე უარი ეთქვათ, აღნიშნულის საფუძველი კი სავარაუდოდ არის გერმანელი კანონმდებლების უარყოფითი მიდგომა ზოგადად წმინდა ეკონომიკურ ზიანთან და მის ანაზღაურებასთან მიმართებით.<sup>100</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრულია „ცნება“, თავად ამ მუხლის, შინაარსი არ იძლევა დელიქტის სრულყოფილ სამართლებრივ დეფინიციას, სწორედ აქედან არის გამოწვეული ის, რომ

---

<sup>97</sup> *J. Gordley*, The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, *Pure Economic Loss in Europe*, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 38-39;

<sup>98</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, W.H. Van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York:, 2004, 9;

<sup>99</sup> *B. S. Markesinis & H. Unberath*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 43;

<sup>100</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 75;

მის გასავრცობად გვჭირდება გერმანული სამართლის ნორმების მიმოხილვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის განმარტებითა და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, დელიქტური ვალდებულება პირს წარმოეშობა მაშინ, როდესაც მან დაზარალებულს რაიმე ნორმის დარღვევით, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა ზიანი.<sup>101</sup>

იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით,<sup>102</sup> დელიქტები თავის მხრივ შეიძლება განვასხვავოთ პირის ქმედების შემადგენლობაში არსებული ნების კუთხით. თავის მხრივ შესაბამისად განასხვავებენ 3 სახის დელიქტს: 1. მიზანმიმართულად (განზრახ) ჩადენილი ქმედებით გამოწვეული. 2. გაუფრთხილებელი ქმედებით გამოწვეული დელიქტი. 3. მკაცრი იგივე - აბსოლუტური პასუხისმგებლობის დელიქტი.<sup>103</sup> მიზანმიმართული დელიქტია, როდესაც პირი უფლებით სარგებლობს ბოროტად (ე. წ. „შიკანა“). აღნიშნულ ქმედებას დამზარალებელი ახორციელებს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვა პირს მიადგეს ზიანი. გერმანულ კანონმდებლობაში არსებობს სპეციალური ნორმა, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია პირის მიერ უფლების ბოროტად სარგებლობით გამოწვეული დანაკლისის კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა, აღნიშნულის ანალოგიურ ნორმას არ შეიცავს ქართული კანონმდებლობა, მაგრამ ასეთ შემთხვევებზე უნდა გავავრცელოთ დელიქტური სამართალი და მისი ზოგადი ნორმა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.<sup>104</sup>

---

<sup>101</sup> თ. ჩიტოშვილი, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, ქ. თბილისი, 2008, 49.

<sup>102</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 36;

<sup>103</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 10;

<sup>104</sup> ს. ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 24/12/2017, მუხლი 115, ველი 13;

## 2. სამართლებრივ ელემენტთა სისტემა დელიქტურ გენერალურ დათქმაში

როგორც წინა თავში მსჯელობისას ვახსენე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი თავისი შინაარსით წარმოადგენს, არა დელიქტის ცნებას, არამედ დელიქტურ გენერალურ დათქმას. შესაბამისად აღნიშნული თავის მიზანია რომ ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენს თავის მხრივ დელიქტური გენერალური დათქმა და რა სამართლებრივ სიკეთეებზე შესაძლოა გავრცელდეს იგი.

როგორც უკვე ვახსენე, დელიქტური სამართალი საფუძველს იღებს ძველი რომიდან, თუმცა დელიქტური გენერალური დათქმის ცნებას რომაელი იურისტები არ იცნობდნენ. რომაული სამართალი პირდაპირ ჩამოთვლიდა თუ რა ქმედებები შეიძლება ჩათვლილიყო დელიქტად, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში გენერალური დათქმის არ არსებობა დაუფარავს და გაუთვალისწინებელს ტოვებდა სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფიდან გამომწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებს.<sup>105</sup>

სწორედ დელიქტური გენერალური დათქმა აძლევს პირს საშუალებას მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დელიქტური გენერალური დათქმის უზოგადესი და ყველაზე ფართო მაგალითია ფრანგული კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებული დათქმა.<sup>106</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ჯერ კიდევ 1804 წელს არის მიღებული ნაპოლეონის მიერ. სწორედ ამიტომ აღნიშნული კოდექსი ცალსახად ატარებს რელიგიურ, რევოლუციურ და თანასწორობაზე დამყარებული იდეების ზეგავლენას.<sup>107</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1383-ე არტიკლით არის ჩამოყალიბებული გენერალური დელიქტური დათქმის უზოგადესი ფორმა. ფრანგული კანონმდებლის მიდგომით, ყველა პირი ვალდებულია აანაზღაუროს

---

<sup>105</sup> *M. A. Egorova, V. G. Krylov, A. K. Romanov, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 305.*

<sup>106</sup> *Dam, C. V., European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 56;*

<sup>107</sup> *ob. French Civil Code, transl. Rouhette G. & Rouhette-Breton A., Paris, 2006, Art. 1383.*  
[www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701) (25/01/2022)



ზიანი, რომელიც მისი ნებისმიერი ქმედებით არის გამოწვეული. ანალოგიური მიდგომით გამოირჩევა არა მხოლოდ ფრანგული სამართალი, კორეელი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ დელიქტური სამართალი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას პირს მიყენებული ზიანი აუნაზღაურდეს ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისად მათი დელიქტური დათქმაც ფრანგულის მსგავსად ზოგადი და ფართოა.<sup>108</sup> სწორედ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენა იგრძნობა საფრანგეთის სხვა მეზობელი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე. ბელგიის სამოქალაქო კოდექსის შექმნისას მისი ავტორები, სწორედ ფრანგულ გენერალურ დათქმას მიჰყვებოდნენ დელიქტურ სამართალზე მუშაობისას.<sup>109</sup>

დელიქტურ გენერალურ დათქმას მეტად ვხვდებით კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, თუმცა, გერმანული მიდგომა ცალსახად განსხვავდება ფრანგული სამართლის მიდგომისაგან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფში ჩამოთვლილია ის სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაცვასაც კანონმდებელი მიიჩნევს პრიორიტეტულად.<sup>110</sup> ერთი შეხედვით გერმანული კანონმდებელი ჩამონათვალს არ ასრულებს და წინადადება მთავრდება სიტყვებით „და სხვა უფლება“, თუმცა სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ გერმანული კანონმდებლობის თანახმად, ამ სხვა უფლებებში, მხოლოდ აბსოლუტური სიკეთეები იგულისხმება.<sup>111</sup>

კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით, პრეცედენტული სამართლის მქონე სახელმწიფოებში გენერალურ დელიქტურ დათქმას, როგორც ასეთს ვერ შევხვდებით. მათი მიდგომა დელიქტების მიმართ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამორჩეულია და დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად

---

<sup>108</sup> იხ. *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 225-226;

<sup>109</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, *Pure Economic Loss in Europe*, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 131;

<sup>110</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თარჯიმანი ჭიჭელაშვილი ზ., ქ. თბილისი, 2010, §823. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> (25/01/2022)

<sup>111</sup> *E. K. Banakas*, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 48-49.

მოსამართლე ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს, არა მხოლოდ კანონიერების, არამედ - სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.<sup>112</sup>

უცხო ქვეყნების სამართლისა და მიდგომების განხილვის შემდგომ საინტერესოა დავუბრუნდეთ და შევხვით ქართულ დელიქტურ სამართალს. როგორც ვახსენეთ, დელიქტური დათქმა მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში. იგი გარკვეულწილად წარმოადგენს 5 ელემენტისგან შემდგარ სისტემას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, ერთი მხრივ ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისრება და მეორე მხრივ დაზარალებულს აუნაზღაურდება მიყენებული დანაკლისი.<sup>113</sup>

იმისათვის, რომ პირს დაეკისროს დანაკლისის ანაზღაურება, აღნიშნული ზიანი უნდა იყოს გამოწვეული უშუალოდ პირის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. შესაბამისად გამოიყოფა დელიქტური გენერალური დათქმის 5 ელემენტი: 1. თავად ზიანი, 2. პირის მიერ ჩადენილი ქმედება, 3. მართლწინააღმდეგობა, 4. ბრალეულობა და 5. მიზეზობრივი კავშირი.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებებში შევხვდებით მიდგომას, რომლის მიხედვითაც ქმედების ელემენტი ცალკე დამოუკიდებელ ელემენტად არ გვევლინება და მისი შემოწმება და შეფასება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე ხდება.<sup>114</sup> შესაბამისად მოწმდება არა 5 ელემენტი, არამედ გერმანული სამართლის მსგავსად 4 ელემენტი.<sup>115</sup>

---

<sup>112</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 74.

<sup>113</sup> *შ. ჩიკვაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 381-382;

<sup>114</sup> *C. V. Dam* European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 227 და *М. А. Егорова, В. Г. Крылов, Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 307.

<sup>115</sup> იხ. *ბ. ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 394, 364-371; *თ. ჩიტოშვილი*, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი

გერმანული და ქართული მიდგომები მიუხედავად ელემენტთა რაოდენობისა, მიიჩნევა რომ იდენტურია, თუმცა, განსხვავდება ფრანგული მიდგომა, რომელიც მხოლოდ შემდეგ 3 ელემენტს ამოწმებს: 1. ბრალეულობა. ბრალეული ქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც მოქმედებით, ასევე - უმოქმედობით; 2. პირისათვის დამდგარი ზიანი/დანაკლისი და 3. მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანთან მიმართებით.<sup>116</sup>

მოსამართლეთა და მეცნიერთა განსხვავებული მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით არ ცვლის არსებითად შინაარსს, რადგან ელემენტთა რაოდენობის მიუხედავად, ამ ელემენტთა ჯამი წარმოადგენს დელიქტური დანაკლისის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს (გენერალური დელიქტი).<sup>117</sup>

განვიხილოთ დელიქტური გენერალური დათქმის თითოეული ელემენტი სათითაოდ, ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით. აღნიშნული განხილვის ფარგლებში შევეცდები წარმოვადგინო ქართული და უცხოური სამართლის მიდგომა თავად დელიქტური პასუხისმგებლობის მიმართ. საინტერესოა, ერთი მხრივ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების მიდგომა თითოეული ელემენტის მიმართ და მეორე მხრივ თავად ამ სამართლის სისტემებს შორის განსხვავებული მიდგომა ამ საკითხის დარეგულირებასთან დაკავშირებით.

---

ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, ქ. თბილისი, 2008, 58-59. ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-1322-2018, 2019 წლის 4 აპრილი და საქმეზე № ას-1215-2018, 2019 წლის 29 მარტი;

<sup>116</sup> *М. А. Егорова, Крылов В. Г., Романов А. К. Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 355.*

<sup>117</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1426-2018;

## 2.1. ზიანის ფაქტობრივი არსებობა, როგორც სამართლებრივი პროცესის დაწყების წინაპირობა

არასახელშეკრულებო და თუნდაც სახელშეკრულებო ზიანის შემოწმებისას პირველი ელემენტი არის ზიანი. აღნიშნულის არ არსებობა თავის მხრივ გამორიცხავს სხვა ელემენტების, შემოწმების აზრსაც კი.<sup>118</sup> მაგალითისთვის, თუ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი მართავს ავტომანქანას უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, რითიც საფრთხეში აგდებს ქვეითად მოსიარულეებს და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს, მათ მაინც არ ექნებათ უფლება მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, რადგან რაც არ უნდა გასაკვიცხად მოქმედებდეს ნასვამი მძღოლი და არღვევდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს) თავად ზიანი, როგორც ფაქტი მაინც არ დამდგარა.<sup>119</sup> ცხადია, მძღოლს დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუმცა ეს არ გულისხმობს ქვეითის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას და იგი არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს. შესაბამისად, თუ სახეზე არ გვაქვს ზიანი, ვერ გვექნება ვერც პასუხისმგებლობა თავად დელიქტისათვის.

დელიქტურ დავებში ზიანის არსებობის დადგენა, ძირითადად პრობლემური არ არის, რადგან როგორც წესი ზიანის ფაქტი თვალსაჩინო (ჯანმრთელობის დაზიანება, საკუთრების დაზიანება, ეკონომიკური/ქონებრივი დანაკლისი), თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ზიანის ფაქტის დადგენა შეუძლებელია.<sup>120</sup> ასეთი შემთხვევები თანამედროვე მსოფლიოში კი სულ უფრო და უფრო მრავალად გვხვდება. მაგალითად ავსტრიულ სასამართლო პრაქტიკაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც თავად ნივთი ჯერ კიდევ შექმნის პროცესში იმყოფებოდა. ავსტრიულმა სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ განადგურდა რაიმე ნივთი, რადგან თავად ნივთი ჯერ კიდევ ყალიბდებოდა და ვინაიდან მას საბოლოო ფორმა არ

---

<sup>118</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 347;

<sup>119</sup> N. J. McBride & R. Bagshaw, Tort Law, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 102-103;

<sup>120</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 158;

ჰქონდა მიღებული მიიჩნევა, რომ ეს ნივთი სამართლისათვის ჯერ საერთოდ არც კი არსებობს.<sup>121</sup> როგორც ზიანის ცნების ასევე მისი სახეების განმარტებას ნაშრომის დასაწყისში დიდი ნაწილი დავუთმეთ, შესაბამისად შეგვიძლია განვიხილოთ მეორე ელემენტი „მოქმედება“.

## 2.2. აქტიურ და პასიურ ქმედებაში გამოხატული მოქმედება

აღსანიშნავია, რომ ქმედების სამართლებრივი ცნება, თავის მხრივ მოიაზრებს, არა მხოლოდ პირის აქტიური მოქმედებით ზიანის დადგომას, არამედ ამასთანავე იგი მოიცავს უმოქმედობით დანაკლისის მიყენებას.<sup>122</sup> შესაბამისად, დამზარალებელს დაეკისრება დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც აქტიური ქმედებით, ისე უმოქმედობით გამოწვეული დანაკლისისათვის, თუ მის ქმედებას შეეძლო სულ მცირე შეემცირებინა მაინც აღნიშნული ზიანის მოცულობა.<sup>123</sup>

სწორედ ქმედების ელემენტი წარმოადგენს იმ განმასხვავებელ ნიშანს, რომელსაც ვხვდებით ერთი მხრივ ქართულ და მეორე მხრივ გერმანულ და ფრანგულ სამართალში. გერმანული სამართალი პირის ქმედებას ამოწმებს მართლწინააღმდეგობის ელემენტთან ერთად, ხოლო ფრანგული სამართალი კი ბრალსა და მართლწინააღმდეგობის ელემენტებს ერთობლივად ამოწმებს ქმედების ელემენტთან ერთად.

---

<sup>121</sup> იხ. ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - OGH 24.11.1998 1 Ob 184/98k, ხელმისაწვდომია - <https://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Justiz&Dokumentnummer=JIT>;

<sup>122</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 380;

<sup>123</sup> მ. თოდუა, ჰ. ვილჰელმსი, ვალდებულებითი სამართალი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქ. თბილისი, 2006, 98;

## 2. 3. მართლწინააღმდეგობის ელემენტი - ქართული დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშანი

აღნიშნულ ელემენტში სიტყვა-სიტყვით იგულისხმება, რომ დამზარალელების მიერ განხორციელებულ ქმედებას არ უნდა ჰქონდეს სამართლებრივი და კანონიერი საფუძველი, შესაბამისად, იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოში არსებულ ნორმებსა და კანონებს. საკითხის უკეთ გაგებისთვის, მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც, მართლწინააღმდეგობის არსებობა გენერალური დელიქტის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. შესაბამისად, თუ პირმა განახორციელა ქმედება, რომელიც არ არის მართლწინააღმდეგო, მიუხედავად ზიანისა, დანარჩენი ელემენტის შემოწმებას, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, აზრი ეკარგება. სასამართლო გადაწყვეტილებებში განმარტებულია 3 შემთხვევა, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა თუ რა დროს შეიძლება ჩაითვალოს პირის ქმედება მართლწინააღმდეგოდ.<sup>124</sup> პირველი, თუ ზიანის მიმყენებელი პირის ქმედება არღვევს რომელიმე კანონით დადგენილ ნორმას. იქნება ეს სამოქალაქო თუ სხვა კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. მეორე, თუ ზიანის მიმყენებელი პირი თავისი ქმედებით არღვევს სხვა ნებისმიერ ვალდებულებას, მათ შორის თუნდაც მხარეთა შეთანხმებიდან (ხელშეკრულებიდან) წარმოშობილს. დაბოლოს მესამე შემთხვევა, როდესაც ზიანის მიმყენებელი პირი თავისი ქმედებით არღვევს დაცულ აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეს ან პირის უფლებას, მაგალითად: ადამიანის სიცოცხლის, საკუთრების, ჯანმრთელობის ან სხვა უფლებებს.

პირის აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეები და უფლებები ქართული კანონმდებლობით პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი, თუმცა მსგავსი ჩამონათვალი არსებობს გერმანულ კანონმდებლობაში, რაზეც მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

არის შემთხვევები, როდესაც მართლწინააღმდეგობის დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს, ეს მაშინ, როდესაც ცალსახაა რომ დამზარალელების მიერ ჩადენილი

---

<sup>124</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-548-511-2017, 2017 წლის 31 ივლისი და საქმეზე № ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი.

ქმედება ცალსახად წინააღმდეგობაშია სახელმწიფოში დადგენილ ნორმებთან და წესებთან. მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც არ არსებობს კონკრეტული ამკრძალავი ნორმა ან რამდენიმე საკანონმდებლო აქტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.<sup>125</sup> ეს კი არის ის შემთხვევა, როდესაც მართლწინააღმდეგობის ელემენტის დადგენა სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს.

ცხადია მართლზომიერი ქმედებისათვის პირს არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ ასევე აუცილებელია მართლწინააღმდეგობის, როგორც სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი ელემენტის გამიჯვნა. სისხლისსამართლებრივად როდესაც პირი მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ეს წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას და შესაბამისად მისი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, აქედან გამომდინარე მისთვის სასჯელის დაკისრება არ ხდება ვინაიდან არ არსებობს დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. რაც შეეხება კერძო სამართალს, აქ დაცულია ბალანსი, ერთის მხრივ იმ პირის ინტერესებსა, რომელიც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა და ასევე მეორეს მხრივ თავად დაზარალებულის ინტერესებს შორის. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალი სისხლის სამართლისგან განსხვავებით ცდილობს ნებისმიერ სიტუაციაში დაიცვას პირთა ინტერესებს შორის ბალანსი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ შესაძლოა პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუმცა, ეს ავტომატურად არ გულისხმობს ამ უკანასკნელის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასაც.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც პირს თავს ესხმიან და იგი მოგერიების მიზნით გამოიყენებს მეგობრის ანტიკვარულ იარაღს, რომელიც პირველივე გასროლის შემდეგ განადგურდება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამ პირის მიერ გამოწვეული ზიანი, თუნდაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იქნა მიყენებული, რადგან მისი სიცოცხლე მეტად მნიშვნელოვანია ვიდრე ანტიკვარული ნივთი, აუცილებლად საყურადღებოა ფაქტი, რომ ზიანი მიყენებულია იმ ადამიანის

---

<sup>125</sup> Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 223-224;

მიმართ (მეგობარი), ვინც აღნიშნული საფრთხის შექმნაში ან მის გაზრდაში არ მონაწილეობდა, რადგან თავად ეს მეგობარი არ იყო თავდამსხმელი პირი. სწორედ ამ ინტერესთა ბალანსის დაცვა არის სამოქალაქო სამართლისათვის უმთავრესი.<sup>126</sup>

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საინტერესოა გერმანული სამართლის მიდგომა, რომლის მიხედვითაც შესაძლოა პირის მიერ, მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანი გამართლდეს, თუ ეს გამოწვეულია აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებს გადაუცილებლად და პირის სამართლებრივი სიკეთე გამიზნულად, მაგრამ მცირე ხნით და უმნიშვნელოდ დაირღვა.<sup>127</sup> ამის კარგი მაგალითი იქნება შემთხვევა, როდესაც პირს თავს ესხმიან და იგი გამოიყენებს პირველივე შემხვედრ ავტომობილს, რათა საფრთხეს თავი დააღწიოს. მართალია მანქანის მესაკუთრეს მიადგა ზიანი, თუმცა იგი იმდენად ხანმოკლე და უმნიშვნელო იყო (ივარაუდება, რომ „გამტაცებელს“ არ დაუზიანებია ავტომობილი), რომ იმ პირის ინტერესები, ვისაც საფრთხე ემუქრებოდა მეტად მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ისევე როგორც, გერმანული, ასევე, ქართული სამართალიც განასხვავებს ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებს.<sup>128</sup> აღნიშნული განსხვავდება ფრანგული სამართლისგან. პასუხისმგებლობის არსებობისათვის შემდეგი ელემენტია ბრალი, სწორედ რომელთან ერთადაც ფრანგები განიხილავენ მართლწინააღმდეგობის ელემენტს.

---

<sup>126</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 382-383;

<sup>127</sup> ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 641, ველი 29.

<sup>128</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 325;



## 2.4. ბრალეულობა გამოხატული განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში

დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება ბრალი, რომელიც სუბიექტურ ხასიათს ატარებს.

ისევე როგორც სხვა ნიშნების შემთხვევაში აქაც გვაქვს მსგავსება სისხლის სამართალთან, კერძოდ დელიქტური სამართალისთვის აუცილებელია რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. აღნიშნული მსგავსება ჯერ კიდევ ძველი რომიდან მომდინარეობს,<sup>129</sup> თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. კერძოდ, სისხლის სამართალი მოითხოვს მოტივსა და მიზანს, რაც შეეხება დელიქტურ სამართალს, მოტივი არ არის აუცილებელი, რომ გვქონდეს სახეზე.<sup>130</sup> მაგალითისთვის ავიღოთ შემთხვევა, როდესაც ერთი პირი აზიანებს სხვის ქონებას, მაგალითად ავტომანქანას, სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ რატომ ჩაიდინა პირმა ეს ქმედება, შესაბამისად, რა მოტივი და მიზანი ამოძრავებდა მას, დელიქტური სამართალისთვის პირის მოტივს არ ენიჭება მნიშვნელობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გვაქვს დაზიანებული ქონება, შესაბამისად გვყავს ზიანის მიმყენებელი პირი და პირი ვისაც მიადგა ზიანი, ანუ - დაზარალებული. შესაბამისად, ის ფაქტი რომ ზიანი სახეზეა და ეს გამოიწვია პირის ქმედებამ საკმარისია რომ ვიმსჯელოთ ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობაზე. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, სუბიექტური თვალსაზრისით, პირმა ქმედება შეიძლება ჩაიდინოს განზრახვით ან გაუფრთხილებლად.<sup>131</sup>

---

<sup>129</sup> G. Mousourakis, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015,144;

<sup>130</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 49;

<sup>131</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 386-387;

სამწუხაროა, რომ მიუხედავად სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიდგომების განსხვავებისა ამ საკითხთან მიმართებით, ქართული სამოქალაქო სამართალი არ განმარტავს ბრალის ამ ორ ფორმას, აქედან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ჩანაწერებით, შესაბამისად, ჩვენთვის საყურადღებოა IX და X მუხლები, რომლებშიც განსაზღვრულია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები.<sup>132</sup> მნიშვნელოვანია, რომ თავად განზრახვა დამატებით იყოფა ორ ნაწილად. მსგავსად ქართული სამართლისა, გერმანული სამართალიც განზრახვას ჰყოფს ორ ჯგუფად, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად.<sup>133</sup>

იმისათვის რომ პირს დაეკისროს დელიქტური პასუხისმგებლობა აუცილებელია, რომ არსებობდეს ბრალის ელემენტი. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მიდგომის მიხედვით, დელიქტები იყოფა ორ ჯგუფად.<sup>134</sup> პირველი მათგანისთვის აუცილებელია ბრალის ელემენტის არსებობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალი არ არის მნიშვნელოვანი,<sup>135</sup> ამ უკანასკნელს ეწოდება მკაცრი პასუხისმგებლობის დელიქტები (strict liability tort).<sup>136</sup>

ფრანგული სამართლის შესაბამისად, ბრალეულობის ელემენტი გაერთიანებულია მართლწინააღმდეგობის ელემენტთან და მათი შემოწმება სასამართლოს მხრიდან ხდება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოდის მისი ქცევა კეთილგონიერი ოჯახის უფროსის (bon pere de famille) ქცევასთან წინააღმდეგობაში. დაახლოებით მსგავს კრიტერიუმს იყენებს ინგლისური სამართალიც პირის ბრალეულობის,

---

<sup>132</sup> *მ. ტურავა*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-8 გამოცემა, ბონა კაუზა, ქ. თბილისი, 2010, 124-126;

<sup>133</sup> *Markesinis, B. S., & Unberath, H.*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 83-84;

<sup>134</sup> *C. Elliott & F. Quinn*, Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 4.

<sup>135</sup> *V. Harpwood*, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 10;

<sup>136</sup> *G. Dari-Mattiacci & H. B. Schafer*, International Review of Law and Economics 27, The core of pure economic loss, 2007, 23

შესაფასებლად. ინგლისური სამართალი ეყრდნობა პრინციპს, თუ რა ქმედებას განახორციელებდა მსგავს სიტუაციაში სხვა ჯენტლმენი, პატიოსანი, კეთილშობილი და გონიერი ადამიანი (test of a reasonable man).<sup>137</sup> სწორედ აქედან გამომდინარე, რომ ბრალი სუბიექტური ცნებაა როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქაც სასამართლო მოქმედებს ფართო უფლებამოსილების ფარგლებში მისი შეფასებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და სწორედ სასამართლო არის უფლებამოსილი, რომ დაადგინოს გვაქვს თუ არა ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებაში ბრალის ნიშნები.<sup>138</sup>

რაც შეეხება განზრახვას, იგი უფრო ფართოა და აღნიშნული შესაძლოა დამოკიდებული იყოს კონტექსტზე. აღსანიშნავია, რომ განზრახვა თავის თავში გულისხმობს, რომ უნდა შემოწმდეს დამზარალელების ნებელობა და ცოდნის ხარისხი, მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგების მიმართ. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, ამ შემთხვევაში იცვლება ნებელობა, კერძოდ პირს კი არ აქვს სურვილი, რომ მისი მოქმედება ან უმოქმედობა ასეთი შედეგით დასრულდეს, არამედ იგი გამოწვეულია მხოლოდ პირის დაუდევრობითა ან უყურადღებობით.<sup>139</sup>

გაუფრთხილებლობით დამდგარი დელიქტი ხშირად გვხვდება ინგლისურ დელიქტურ სამართალში, (tort of negligence). რაც გულისხმობს, პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ე. წ. „გულისხმიერების ვალდებულების“ (Duty of Care) დარღვევის გამო.<sup>140</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ოდნავ მოგვიანებით გაჩნდა, ხოლო თავდაპირველად ინგლისური დელიქტური სამართალი მხოლოდ განზრახ

---

<sup>137</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 123;

<sup>138</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 355-356;

<sup>139</sup> C. Elliott & F. Quinn, Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 4-5;

<sup>140</sup> გ. ბათლიძე, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, ქ. თბილისი, 2015, 19;

მიყენებული ზიანისთვის ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას, ხოლო გაუფრთხილებლობისას კი იგი გამოირიცხებოდა.<sup>141</sup>

Duty of Care მნიშვნელოვნად ემსგავსება ქართულ გულისხმიერების პრინციპს, რომელსაც ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი, რომელიც აკისრებს პირს სხვის მიმართ კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქცევის ვალდებულებას.<sup>142</sup> მნიშვნელოვანია, რომ გულისხმიერების ვალდებულების შემოწმებისას ინგლისური სასამართლო ითვალისწინებს, თუ რამდენად შეეძლო ზიანის მიმყენებელს შეემცირებინა ან სულაც თავიდან აეცილებინა ზიანი. შეეძლო თუ არა, რომ მას გაეთვალისწინებინა პოტენციურად მოსალოდნელი შედეგის დადგომა.

დელიქტური მოთხოვნის წარმოშობისას აუცილებელია იმ ფაქტის დადგენაც, იყო თუ არა თავად ეს პირი - დაზარალებული, აღნიშნული შედეგის შესაძლოა გამომწვევი. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, დამდგარი დანაკლისის ანაზღაურებას პირი ვერ მოითხოვს, თუ იგი თავად აცნობიერებდა თუ რა რისკი ელოდა და მაინც გადადგა ეს ნაბიჯი და თავი ჩაიგდო აღნიშნულ საფრთხეში, რისკის არსებობის მიუხედავად.<sup>143</sup> აღნიშნული შემთხვევის ნათელი მაგალითია, როდესაც ზოგიერთი გასართობი დაწესებულების ადმინისტრაცია აფრთხილებს დამსვენებელს, რომ ესა თუ ის გასართობი ატრაქციონი საშიშია გულით დაავადებული პირებისათვის. რის შემდგომაც დამსვენებელი თავად იღებს გადაწყვეტილებას მას სურს თუ არა ამ ატრაქციონზე შესვლა. აღნიშნული შემთხვევის ნათელი მაგალითია აგრეთვე სპორტულ ღონისძიებებზე, როდესაც პირმა იცის, რომ მას შესაძლოა მიადგეს ზიანი და თავად იღებს ამ რისკს, მაგალითად ისეთ ტრამპულ სპორტებში, როგორცაა რაგბი, კრივი და ა. შ. მოთამაშე ან მებრძოლი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანებისთვის, თუ ეს თამაშის წესებში ჯდება

---

<sup>141</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Москва, 2017, 203;

<sup>142</sup> *გ. ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 7.

<sup>143</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 63;

და პირმა თავად იცოდა, რომ აღნიშნული სპორტი პოტენციურად ითვალისწინებდა დაზიანებას. მნიშვნელოვანია, რომ ქართული სამართალი, გერმანული სამართალის მსგავსად პირს აკისრებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, როგორც განზრახვის, ასევე - გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.<sup>144</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით,<sup>145</sup> ბრალეული დელიქტური პასუხისმგებლობა როგორც წესი ახასიათებს კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების, ხოლო არაბრალეული დელიქტური პასუხისმგებლობა კი მეტად გავრცელებულია სწორედ ანგლო-ამერიკული სამართალის სისტემაში შემავალ ქვეყნებში.

ბრალის ელემენტის განხილვისას მნიშვნელოვანია პირის დელიქტუნარიანობა. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, პირის დელიქტუნარიანობა წარმოიშობა 10 წლიდან.<sup>146</sup> საინტერესოა რა ხდება მაშინ, თუ ზიანი მიყენებულია 10 წლამდე ასაკის პირის მიერ?! კერძოდ, ვინ უნდა აგოს 10 წელს მიუღწეველი პიროვნების ქმედებით გამოწვეული დანაკლისისთვის პასუხი?! საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იძლევა პასუხს ამ საკითხზე. არასრულწლოვნის ქმედებაზე პასუხისმგებელი არიან მისი მშობლები ან მეურვე.<sup>147</sup> მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ქართული და გერმანული სამოქალაქო სამართლის მსგავსებისა, დელიქტუნარიანობის საკითხში მიდგომა განსხვავებულია, რაც გამოიხატება იმ ფაქტში, რომ გერმანიაში დელიქტუნარიანობა, შედარებით დაბალი ასაკიდან 7 წლიდან წარმოიშობა.<sup>148</sup> გერმანული კანონმდებლობა მეტად ყურადღებით ეკიდება აღნიშნულ საკითხს, რაც

---

<sup>144</sup> ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 641, ველი 30;

<sup>145</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстициформ, Москва, 2017, 50-51;

<sup>146</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 393;

<sup>147</sup> გ. ცერცვაძე, სახელმეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 70;

<sup>148</sup> ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §828, 651.

გამოიხატება გამონაკლისი შემთხვევების არსებობაში, როდესაც დელიქტუნარიანად პირი მიიჩნევა 10 წლის ასაკიდან.

## 2.5. ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი

დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის ბოლო, აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. რაც გულისხმობს დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის პირდაპირი, ობიექტური ჯაჭვის არსებობას. მიზეზობრივი კავშირის დადგენა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთულდება, ვინაიდან იზრდება იმ ქმედებების არეალი და შედეგად ფართოვდება ხერხი და საშუალება, რომლითაც შესაძლოა პირმა სხვა პირს მიაყენოს ზიანი და შესაბამისად დადგეს დელიქტური პასუხისმგებლობა. თანამედროვე მსოფლიოში სადაც დელიქტურ სამართალს უწევს ფეხი აუწყოს ციფრული სამყაროს განვითარებას, სულ უფრო რთული ხდება ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის იმ მნიშვნელოვანი „ჯაჭვის“ პოვნა.<sup>149</sup>

კიბერშეტევების, ე. წ. „ფიშინგის“ და სხვა ციფრული დელიქტების დროს, როდესაც ზიანის მიმყენებელი პირი ამოფარებულია კომპიუტერულ კოდებს საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ რამდენად არსებობს მიზეზობრივი კავშირი ამ ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აგრეთვე ხშირად მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შესაძლოა იყოს საკმაოდ გრძელი და არასდროს მთავრდებოდეს, რამაც თეორიულად შესაძლოა მიგვიყვანოს იმ მშობლამდეც კი, რომელმაც ზიანის მიმყენებელი მოავლინა ამ ქვეყნად.<sup>150</sup> სწორედ ამიტომ ფრანგული სამართალი აუცილებელ პირობად მიიჩნევს, რომ არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებას შორის.<sup>151</sup> აქედან გამომდინარე, ფრანგულის მსგავსად, ისევე როგორც გერმანული სამართალი,

---

<sup>149</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 149;

<sup>150</sup> Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 226;

<sup>151</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 65;

ქართული სამართალიც წყვეტს იმ დაუსრულებელ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს გარკვეული ნორმატიული კრიტერიუმების საფუძველზე.<sup>152</sup>

მაშინ, როდესაც პირის მიზანმიმართულმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ დაარღვია სამართლის ნორმა და ამ ნორმამ გამოიწვია შესაბამისი ზიანი, ჩნდება კითხვა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობასთან დაკავშირებით. მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის დიდი მნიშვნელობისა და მისი როლისა დელიქტურ სამართალში, კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული კონკრეტული მიდგომა წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ წარმოუდგენელია ისეთი ერთიანი მიდგომისა და პრინციპის ჩამოყალიბება, რომლის მორგებაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერ შემთხვევაზე, სწორედ ამის გამო თითოეული შემთხვევა განხილული უნდა იყოს და მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს ინდივიდუალურ მიდგომით.<sup>153</sup> აღნიშნულ საკითხში კი მნიშვნელოვან როლს სწორედ სასამართლო ასრულებს, რომელმაც უნდა შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად.

მიზეზობრივი კავშირის დადგენასა და შეფასებაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენიმე საკითხი: უსწრებდა თუ არა პირის ქმედება ზიანის დადგომის ფაქტს?! მხოლოდ ამ კომპონენტის არსებობის შემთხვევაში ვიწყებთ იმ ფაქტის დადგენას, გამოიწვია თუ არა უშუალოდ პიროვნების აღნიშნულმა მოქმედებამ მოცემული შედეგი?! აქვე მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა, ირიბი ან შემთხვევითი ზიანი.<sup>154</sup>

---

<sup>152</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017 ბუხლი 412, ველი 5;

<sup>153</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 307;

<sup>154</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 390.

სწორედ მიზეზშედეგობრიობის მექანიზმის წყალობით, ევროპულ სახელმწიფოებში იშვიათად ვხვდებით დაუსაბუთებელ სამართლებრივ დავებს.<sup>155</sup> ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს ძირითად საკვლევ თემასთან, ვინაიდან მიზეზობრივი კავშირის არსებობა დელიქტური გენერალური დათქმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს წმინდა ეკონომიკური ზიანიდან წარმოშობილ დავებში, როდესაც სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია შეინარჩუნოს ბალანსი ამ ტიპის დავების დაშვებასა და შეზღუდვას შორის. დავის განსახილველად დაშვება არდაშვების საკითხზე მსჯელობა და მოსამართლის გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობაზე. ამ დროს, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად მართებულია ფართო მიდგომის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის კავშირის დასადგენად. როდესაც საუბარია წმინდა ეკონომიკურ ზიანზე, მნიშვნელოვანია თითოეული ქმედება, ვინაიდან მათგან მცირედმაც კი შესაძლოა გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი, პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის პოვნა ამ დროს საკმაოდ რთული, თუმცა უმნიშვნელოვანესია.<sup>156</sup>

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მნიშვნელობა ზიანთან მიმართებით ნათლად ჩანს შემთხვევაში, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული და დაფუძნებულია იტალიაში მომხდარ რეალურ ფაქტზე. შემთხვევის თანახმად სპორტული კლუბის მეტად მნიშვნელოვანი მოთამაშე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გამოეთიშება თამაშებს, რაც გამოიწვევს აღნიშნული კლუბის მიერ ჩემპიონატის არა გამარჯვებით არამედ მე-4 ადგილზე გასვლით დასრულებას. კლუბის წარუმატებლობის გამო მისი აქციების ღირებულება დაეცემა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მის მესაკუთრეებს. კლუბის მეპატრონეები ჩათვლიან, რომ ზიანის მიმყენებელი პირი, შესაბამისად ვინც იჯდა საჭესთან, რომელიც დაეჯახა

---

<sup>155</sup> A. Kramer, THE LAW OF CONTRACT DAMAGES second Edition, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2017, 249-250;

<sup>156</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 17-18;



მათ საკვანძო მოთამაშეს ატარებდა პასუხისმგებლობას კლუბის ფასის ვარდნაზე და მოსთხოვენ მას ზიანის ანაზღაურებას. ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მკაფიო მიზეზობრივი კავშირის პოვნა მძღოლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და აღნიშნული ფაქტების შეფასების შემდეგ შესაძლებელი იქნება დავაყენოთ, თუნდაც წმინდა ეკონომიკური ზიანის კომპენსაციის საკითხი.<sup>157</sup> ცალსახაა, რომ ნებისმიერ მოსამართლეს გაუჭირდება რომ ამ ქმედებასა და შედეგს შორის დაინახოს მკაფიო ბმა. მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს, რომ კავშირი უნდა იყოს მყარი, მკაფიო და პირდაპირი და არა დამყარებული დედუქციურ მეთოდზე.

უცხოელი მოსამართლეები, ხშირად მიმართავენ ე. წ. “But For”-ის ტესტს, რომ შეამოწმონ თუ რამდენად გამოიწვია პირის ქმედებამ აღნიშნული ზიანი და შესაძლებელი იყო თუ არა მისი თავიდან არიდება, რომ არა პირის ეს ქმედება. ასე მაგალითად თუ ექიმმა არ შეამოწმა პაციენტი ალერგიაზე და გაუკეთა ტეტანუსის ვაქცინა, რამაც გამოიწვია პირის ალერგიული შოკი, ბრიტანელები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ექიმს ევალეზობდა პაციენტზე ზრუნვა და უნდა გადაემოწმებინა ჰქონდა თუ არა მას ალერგია, ამ შემთხვევაში ექიმი არ უნდა დაისაჯოს, რადგან ტეტანუსის აცრის არ გაკეთებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის გარდაცვალება და რომც დადგენილიყო, რომ მას აქვს ძლიერი ალერგია, ექიმს მაინც მოუწევდა მისი სიცოცხლის გადასარჩენად აცრის გაკეთება.<sup>158</sup>

### **3. სამართლებრივი მიდგომების შეპირისპირება დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით**

დელიქტური გენერალური დათქმა საკმაოდ პრობლემური საკითხია არა მხოლოდ ქართული სამართლისათვის არამედ ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებში შემავალი სხვა ქვეყნებისათვისაც. მოცემულ ნაწილში

---

<sup>157</sup> *M. Bussani & V. Palmer* (eds.), *The case studies, Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241-254;

<sup>158</sup> *V. Harpwood*, *PRINCIPLES OF TORT LAW* fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, 150;

შევეცდები განვიხილო ამ სამართლებრივი სისტემების მთავარი წარმომადგენელი ქვეყნების მიდგომები გენერალური დელიქტური დათქმის მიმართ.

### **3. 1. პრეცედენტული სამართლის მიდგომა დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით**

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ანგლო-ამერიკული სამართლისგან, რომელიც არ გამოიყენებს გენერალური დელიქტის პრინციპს, დელიქტურ გენერალურ დათქმას უფრო ხშირად ვხვდებით კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემაში შემავალი სახელმწიფოების კანონმდებლობისათვის. პრეცედენტული სამართალი კი უფრო მეტად იცნობს ცალკეულ კერძო დელიქტურ დათქმებს, აღნიშნულის წყარო კი შესაბამისად არის, პრეცედენტები და სასამართლო პრაქტიკა.<sup>159</sup>

ამერიკისა და ინგლისის საერთო ნიშნად ითვლება, რომ მათ არ გააჩნიათ ერთიანი კანონმდებლობა და ისინი განეკუთვნებიან ე. წ. პრაგმატული მიდგომის ქვეყნებს, სადაც მოქმედებს პრეცედენტული სამართალი. დელიქტურ სამართალში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლოს მიერ დადგენილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დადგენილი პრაქტიკები და სხვადასხვა გადაწყვეტილებებში ნახსენები ესა თუ ის პრეცედენტული დათქმები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დელიქტური გენერალური დათქმა მჭიდრო კავშირში არის წმინდა ეკონომიკურ ზიანთან. სწორედ გენერალური დელიქტის არსებობისას არის ყველაზე მარტივად შესაძლებელი, რომ ვიმსჯელოთ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებაზე, თუმცა, პირველად ამ საკითხზე მსჯელობა სწორედ იმ ქვეყანაში დაიწყო, სადაც დელიქტური გენერალური დათქმა საერთოდ არ არსებობს.

---

<sup>159</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 74.*

ინგლისში მომხდარი ცნობილი „სადენის საქმე“, წმინდა ეკონომიკური ზიანის შესახებ, მოსამართლეებმა სწორედ რომ ჩემს მიერ უკვე ნახსენები გულისხმიერების ვალდებულების (Duty of Care) ჭრილში განიხილეს.<sup>160</sup>

თავად ანგლო-ამერიკული სისტემის ჭრილში საინტერესო იქნება ინდივიდუალურად განვიხილოთ ცალკე აღებული ამერიკული და ინგლისური სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით.

### 3.1.1. ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით (პრეცედენტული და კონტინენტურ ევროპული სამართლის მიდგომების შერწყმა?)

ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის ინგლისური სამართლისაგან, რომელიც მისი კოლონიალური წარსულით არის გამოწვეული. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა განსხვავდება შტატების მიხედვით. ისეთ შტატებში, როგორცაა ლუიზიანა, სადაც მნიშვნელოვნად იგრძნობა ფრანგული წარსულის ზეგავლენა, მათ შორის სამართალში, ცალსახად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე არსებული მიდგომები დელიქტთან მიმართებით.<sup>161</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკანონმდებლო აქტები იყოფა ორ ძირითად ნაწილად ფედერალური კანონები, რომლებიც ვრცელდება მთელს ქვეყანაზე და შტატების ადგილობრივი კანონები, რომელიც ლოგიკურია, რომ ვრცელდება მხოლოდ ამ კანონის მიმღებ შტატზე. თავად დელიქტური სამართალი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის მოცული ერთიანი კანონით, შესაბამისად სახეზე გვაქვს არა ფედერალური (ცენტრალიზებული) სამართლებრივი აქტი, არამედ თითოეულ შტატს გააჩნია თავისი მომწესრიგებელი ნორმები დელიქტთან

---

<sup>160</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1972 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/ew/cases/EWCA/1972/3.html>;

<sup>161</sup> *M. Bussani, V. Palmer*, Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law, Routledge Cavendish, London, 2008, 115.

მიმართებით. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთული არის ვიმსჯელოთ დელიქტურ გენერალურ დათქმაზე და მის ერთიან მიდგომაზე ისეთ სახელმწიფოში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც თითოეულ შტატს უფლება აქვს დელიქტური სამართალი მისთვის სასურველი წესით დაარეგულიროს. თუმცა, ამ ქვეყანაშიც არსებობს გამონაკლისი, დელიქტთან მიმართებით, თუმცა, იგი ეხება მხოლოდ საზღვაო დელიქტურ შემთხვევებს, რასაც არეგულირებს ფედერალური კანონი.<sup>162</sup>

ამერიკული სამართლის მიდგომა მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის კოლონიალური წარსულიდან გამომდინარე ინგლისური სამართლისგან და საკმაოდ ემსგავსება მას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები გადაჭრისას. ასე მაგალითად ამერიკელი მოსამართლეები ინგლისური სასამართლოს მსგავსად დელიქტური დავების გადაჭრისას იყენებენ ზრუნვის ვალდებულების (Duty of Care) პრინციპს და მხოლოდ მისი არსებობის შემთხვევაში აკისრებენ ზიანის მიმყენებელს პასუხისმგებლობას ანაზღაუროს ზიანი.<sup>163</sup> ზრუნვის ვალდებულებისადმი მსგავსმა მაღალმა სტანდარტმა გამოიწვია ის ფაქტი, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის შეუძლებელი ხდება,<sup>164</sup> თუმცა, აღნიშნული საკითხის პრობლემურობას სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

### **3.1.2. ინგლისის სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით პრეცედენტული სამართლის პირობებში**

ინგლისური სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით არის ერთ-ერთი ცალსახა მაგალითი თუ როგორ ყალიბდება დელიქტური სამართალი პრეცედენტული სამართლის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზეგავლენა მეტნაკლებად იგრძნობოდა ორივე სამართლებრივი სისტემის მხრიდან და

---

<sup>162</sup> *B. Herbert*, Civil Liability for Pure Economic Loss Under American Tort Law, American Journal of Comparative Law Supplement 46, 1998, 111;

<sup>163</sup> *V. Harpwood*, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 31;

<sup>164</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 218-219;

იგი დამოკიდებული იყო თავად შტატზე და მის ისტორიულ წარსულზე, ინგლისის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ თავად პრეცედენტს.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ინგლისური სამართლის მიდგომებზე, მათში უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ ინგლისი, არამედ შოტლანდიაც და ხშირ შემთხვევაში ნიდერლანდებიც, რომელზეც ინგლისურმა სამართალმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა და დღესდღეობით მათი მიდგომები ბევრ პრობლემურ საკითხთან მიმართებით იდენტურია, მაგალითად არც ერთი მათგანი არ აკისრებს პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის.

როგორც უკვე ვახსენე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინგლისური სამართალი არ ითვალისწინებს დელიქტურ გენერალურ დათქმას, სწორედ ამ ქვეყანაში გახდა შესაძლებელი პირველად მსჯელობა ისეთ საკითხზე, რომელიც პირდაპირ დელიქტური გენერალური დათქმის არსებობიდან გამომდინარეობს, საუბარი მაქვს წმინდა ეკონომიკურ ზიანზე, რომელიც მეტად დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გენერალური დელიქტური დათქმა, რასაც ინგლისის შემთხვევაში ვერ ვხვდებით. 1964 წლამდე ინგლისური სასამართლო შეუძლებლად მიჩნევდა გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის (Pure Economic Loss) ანაზღაურებას, თუმცა სასამართლომ საქმეზე „Hedley Byrne“ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება,<sup>165</sup> როდესაც შესაძლებელი გახდა მსგავსი ზიანის ანაზღაურებაც კი, იმ შემთხვევაში თუ გვექნებოდა ზრუნვის ვალდებულების (Duty of Care) დარღვევა.

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, თუ რას გულისხმობს ზრუნვის ვალდებულება და რამდენად მნიშვნელოვანია იგი დელიქტური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც სასამართლომ იმსჯელა თავად დასაქმებული პირის

---

<sup>165</sup> გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1963 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hedley Byrne & Company Limited v. Heller & Partners Limited*, [1963] UKHL 4, ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1963/4.html>;

პერსონალურ/ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე დაზარალებულის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანის ანაზღაურება კომპანიას დაეკისრებოდა თუ იარსებებდა ზრუნვის ვალდებულება მასსა და დაზარალებულს შორის. მსგავსი ვალდებულება კი დასაქმებულსა და დაზარალებულს შორის არ არსებობს და ვერც იარსებებდა.<sup>166</sup>

Duty of Care - იგივე გულისხმობისა და ზრუნვის ვალდებულება დამოკიდებულია დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის არსებულ ვალდებულებაზე. ინგლისური სასამართლოები ამოწმებენ არა მხოლოდ იმ ფაქტს, თუ რა ზიანი და როგორ მიადგა იგი დაზარალებულს, არამედ აგრეთვე იმ ფაქტს, თუ რამდენად ევალებოდა დამზარალებელს ევარაუდა მოსალოდნელი შედეგი, ემოქმედა განსაკუთრებული გულისხმობით და ეზრუნა დაზარალებულზე. სწორედ ამიტომ ინგლისური სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებები, როგორცაა მხარეთა შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა, მათი ნაცნობობა და სხვა დეტალები, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ე. წ. ზრუნვის ვალდებულებაზე (Duty of Care).<sup>167</sup>

უცხოურ სამართლებრივ ლიტერატურაში განხილულია ოთხი გარემოება, რის საფუძველზეც შეიძლება მოსამართლემ მიუთითოს, რომ მხარეებს შორის არსებობდა ზრუნვის ვალდებულება, ესენია: 1. მოსალოდნელი ზიანის განჭვრეტადობა. 2. ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არსებული ახლო ურთიერთობა. 3. ზიანის მიმყენებელი კომპანიის მიერ გაცხადებული პოლიტიკა.<sup>168</sup> 4. რამდენად სამართლიანი იქნება ჩავთვალოთ, რომ ზიანის მიმყენებელს ჰქონდა ასეთი ვალდებულება.<sup>169</sup>

---

<sup>166</sup> C. Gosnell, English Courts: The Restoration of a Common Law of Pure Economic Loss, The University of Toronto Law Journal, Vol. 50, No. 2, 2000, pp. 137-139;

<sup>167</sup> M. Bussani & V. Palmer (eds.), The case studies, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 277;

<sup>168</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp. 34-36;

<sup>169</sup> J. Cooke, LAW OF TORT Twelfth Edition, foundations series, PEARSON, Harlow, UK, 2015, p. 48;

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოზე დადგინდება, რომ მხარეებს არ ჰქონიათ საქმიანი ურთიერთობა და შესაბამისად არ შეეძლო ზიანის მიმყენებელს, რომ ევარაუდა თუ რა შედეგს გამოიწვევდა მისი ქმედება შეუძლებელი იქნება რომ მას დავაკისროთ ზიანის ანაზღაურება. ზრუნვის ვალდებულების გამოყენებით ქონებრივი ზიანის სამ ჯგუფად დაყოფის ნათელი მაგალითია ე. წ. სადენების საქმეზე (Spartan Steel) ინგლისური სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>170</sup>

აღნიშნული დელიქტური დავა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინგლისური სამართლისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც. სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურაში დელიქტური გენერალური დათქმის განხილვისას სწორედ რომ იყენებენ ამ კონკრეტულ საქმეს. აღნიშნულ საქმეში ქონების განადგურებით დამდგარი დანაკლისი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1. დანაკლისი, რომელიც გამოწვეულია თავად ნივთის განადგურებით (მეტალი, რომელიც დნებოდა და შეწყდა პროცესი, შესაბამისად განადგურდა. პირობითად ავიღოთ, რომ თავად ნივთის თვითღირებულება იყო 100 ლარი, შესაბამისად ნივთის განადგურებით გამოწვეული ზიანი შეადგენს 100 ლარს.), 2. ზიანი, რომელიც კომპანიას მიადგა ამ დაზიანებული ნივთის გასხვისების შეუძლებლობით (ე. წ. მიუღებელი შემოსავალი, პირობითად ავიღოთ, რომ ეს კომპანია ამ ნივთებს 900 ლარად ყიდის მაღაზიებში, შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს საბაზრო ღირებულებას გამოკლებული ნივთის თვითღირებულება ანუ 800 ლარი.). 3. ბოლო ზიანი კი, რითიც აღნიშნული გადაწყვეტილება პრეცედენტული და მნიშვნელოვანია არის სწორედ რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი (Pure Economic Loss, ზიანია რომელიც გამოწვეულია ქარხნის თითქმის 2 დღიანი უმოქმედობით, რაც მოპასუხის მიერ სადენის გადაჭრამ გამოიწვია. დავუშვათ, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ქარხანა შეეძლებოდა კიდევ 1000 ლარის საქონლის წარმოებას.) შესაბამისად, ზიანი, რომელიც გამოხატულია იმ ფინანსურ დანაკარგში რომელიც კომპანიას მიადგა არა რაიმე

---

<sup>170</sup> იხ. *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3.

ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/ew/cases/EWCA/1972/3.html>;

სიკეთის ხელყოფით ან რაიმე ნივთის დაზიანებითა და ქონების განადგურებით, არამედ, აისახა მხოლოდ მის „ჯიბესა“ და კაპიტალზე.<sup>171</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ინგლისურმა სასამართლომ ზოგადად დასაშვებად ცნო გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ მასსა და მოპასუხეს შორის არსებობდა მნიშვნელოვანი საქმიანი ურთიერთობა, რაც იწვევდა მათ შორის ზრუნვის ვალდებულებას. ზრუნვის ვალდებულების დასაბუთება ამ ნაწილში გარკვეულწილად ემსგავსება ქართული დელიქტური სამართლით განხილვისას მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმებას, რაზეც ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

ინგლისურ სამართალში წინა საუკუნის მიწურულს შეინიშნებოდა მეტად ლიბერალური მიდგომა დელიქტური სამართლის მიმართ, თუმცა, არასდროს არ მიუღწევია აღნიშნულ სახელმწიფოს ისეთი ლიბერალური მიდგომისათვის, როგორც ახასიათებს საფრანგეთსა და ბელგიას.<sup>172</sup>

### **3.2. კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემის მიდგომა დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით**

როგორც უკვე ვახსენე დელიქტურ გენერალურ დათქმას ხშირად სწორედ რომ კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემაში შემავალ სახელმწიფოებში ვხვდებით, თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად კონტინენტურ ევროპის სისტემაშიც არ არსებობს ერთიანი პოზიცია დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით. მაშინ როდესაც ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში იგი მკაფიოდ და ცალსახად არის ჩამოყალიბებული, გერმანულ სამართალში მიიჩნევა, რომ იგი საერთოდ არ არსებობს. სწორედ ამ ორი სამართლებრივ ჭრილში „გიგანტი“

---

<sup>171</sup> *C. Elliott & F. Quinn*, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>172</sup> *B. S. Markesinis & H. Unberath*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 53;



სახელმწიფოს მიდგომის განხილვა წარმოადგენს ჩემს პრიორიტეტს. მიმაჩნია, რომ ორივე მათგანი მეტად ახლოს არის ქართული სამართლის მიდგომასთან დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი, როგორც ყინულმჭრელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და არსებით ზეგავლენას ახდენს კერძო სამართალზე, მაშინ როდესაც ქართული სამოქალაქო სამართალი გერმანული ზეგავლენით არის შექმნილი და ხშირად მის სამართლებრივ ასლადაც კი მიიჩნევა.

სწორედ დელიქტური გენერალური დათქმა არის ერთერთი საკითხი, რომელიც არსებით გამყოფ ხაზს აწესებს ფრანგულ და გერმანულ სამართალს შორის, ამიტომ განვიხილოთ ორივე მათგანი.

### **3. 2. 1. საფრანგეთის სამართლის მიდგომა დელიქტთან მიმართებით - დაზარალებულის, როგორც სუსტი მხარის, დაცვის აბსოლუტური იდეა**

გენერალური დელიქტური დათქმის საუკეთესოდ აღქმა შესაძლებელი მისი უზოგადესი მაგალითის განხილვის გზით. ფრანგული სამართალი აყალიბებს უზოგადეს დელიქტურ გენერალურ დათქმას,<sup>173</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსი 1382-ე არტიკლის სახით იმპერატორ ბონაპარტის ეპოქიდან მოყოლებული ითვალისწინებს დელიქტურ გენერალურ დათქმას.<sup>174</sup> მოცემული არტიკლის შინაარსიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა არსებობდეს მხოლოდ სამადსამი ელემენტი იმისათვის, რომ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება შევძლოთ დამდგარი ზიანისათვის. ეს ელემენტებია: 1. ბრალი, 2. ზიანი და 3. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.<sup>175</sup> როგორც ნათლად ჩანს და უკვე ვახსენე კიდევ, ფრანგული სამართალი მართლწინააღმდეგობის ელემენტს აერთიანებს ბრალის ელემენტთან რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მის ყოვლისმომცველ ეფექტზე.

---

<sup>173</sup> *Dam, C. V.*, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 56;

<sup>174</sup> *ib.* French Civil Code, transl. Rouhette G. & Rouhette-Breton A., Paris, 2006, Art. 1383. [www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701) (25/01/2022);

<sup>175</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 355;

აღნიშნული მუხლში ნათლად არის ასახული გენერალური დელიქტის ყველაზე ზოგადი სახე. ფრანგული სამართალი ყოველ პირს აკისრებს პასუხისმგებლობას მოქმედებით თუ უმოქმედობით დამდგარ ნებისმიერ ზიანზე, რომელიც შესაბამისად იწვევს მისი კომპენსაციის ვალდებულებას. საფრანგეთში დელიქტური გენერალური დათქმა იმდენად ზოგადია, რომ იგი მხოლოდ ერთი ფრაზით უფრო ყოვლისმომცველ შედეგზე გადის, ვიდრე თუნდაც გერმანული სამართლის რამდენიმე მუხლი ერთად აღებული. ფრანგული დელიქტური გენერალური დათქმა მიჰყვება „neminem laedere“-ის პრინციპს (რაც ლათინური ფრაზაა და ნიშნავს - „ნუ ავნებ სხვას“). იგი შესაბამისად, შესაძლოა გულისხმობს აგრეთვე ისეთი პრობლემური ზიანის ანაზღაურებასაც კი, როგორცაა წმინდა ეკონომიკური ზიანი.<sup>176</sup> ფრანგული სამართალი 200 წელზე მეტი ხსნის შემდეგაც კი მკაფიოდ არის მისი შემქმნელის რევოლუციური, რელიგიური და ფილოსოფიური იდეების ზეგავლენის ქვეშ. ფრანგი კანონმდებლისათვის უმნიშვნელოვანესია სუსტი მხარის დაჩაგვრისგან დაცვა, რადგან იგი მიიჩნევს, რომ ძლიერი მხარე საკუთარ დაცვას ისედაც მოახერხებს და სახელმწიფოს მხრიდან ამაში ხელშეწყობა დისბალანსს შემოიტანს საზოგადოებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ამიტომ ფრანგულ დელიქტურ სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ინტერესების დაცვას. ეს მიდგომა სათავეს იღებს ნაპოლეონის მმართველობის პერიოდიდან, რომლის თანახმადაც მოქალაქეები, უფრო მეტად ძლიერი მხარისგან, უნდა იყვნენ დაცულნი, მსგავსი მიდგომის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ფრანგი ფილოსოფოსები, აგრეთვე ფრანგულ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის მქონე კათოლიკური ეკლესია<sup>177</sup> და მე-18 საუკუნეში საფრანგეთში მომხდარი დიდი ფრანგული რევოლუციის იდეა - Liberté, égalité, fraternité (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა).<sup>178</sup>

---

<sup>176</sup> M. Bussani & V. Palmer, *The liability regimes of Europe – their façades and interiors*, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 126;

<sup>177</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, *Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие*, Юстицинформ, Москва, 2017, 354;

<sup>178</sup> C. V. Dam, *European tort law*, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 51.

ფრანგული სამართლის მსგავსი მიდგომით გამოირჩევა არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის რამდენიმე სახელმწიფო, იქნება ეს ბელგია, ესპანეთი თუ სხვა, არამედ აგრეთვე შორეული კორეაც, რომლის დელიქტური სამართალი, ისევე როგორც ფრანგული, ხასიათდება ფართო მოწესრიგებით.<sup>179</sup> ბელგიური სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ იგი სწორედ ფრანგული სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენით შეიქმნა. ბელგიელები დელიქტური ზიანის მიმართ იყენებენ გენერალურ მიდგომას და, შესაბამისად, ფრანგული სამართლის მსგავსად, მათი დელიქტური სამართალი აგრეთვე მოიცავს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასაც.<sup>180</sup> მე-19 საუკუნის რევოლუციური და სოციალისტური იდეების ფონზე შექმნილ საბერძნეთის სამოქალაქო კანონმდებლობას აგრეთვე მნიშვნელოვნად ეტყობა ფრანგული ზეგავლენა და მათი დელიქტური სამართალი იმდენად ზოგადია, რომ არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან პირის სხეულის დაზიანებით ან მისი ნივთის განადგურებით გამოწვეული დანაკლისი და მეორე მხრივ წმინდა ეკონომიკური ზიანი.<sup>181</sup>

სახელმწიფოებში მსგავსი ლიბერალური მიდგომა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ხელს უწყობს მოცემულ ქვეყნებში სხვადასხვა სამართლებრივი დარგის განვითარებას. ასე მაგალითისთვის საფრანგეთში, სადაც სახელმწიფოს აქვს მკაფიო პოლიტიკა სუსტი მხარის დაცვისკენ მიმართული და სადაც შესაძლებელია რომ ისეთი ზიანიც კი ანაზღაურდეს როგორცაა წმინდა ეკონომიკური დანაკლისი, მეტად განვითარდა სადაზღვეო სამართალია, სადაც პირები მესამე პირისადმი პასუხისმგებლობას იზღვევენ, რადგან არ იციან თუ რა შედეგამდე შესაძლოა მიიყვანოთ მათმა არასწორმა ქმედებამ ისინი.<sup>182</sup>

---

<sup>179</sup> იხ. *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 225-226;

<sup>180</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, *Pure Economic Loss in Europe*, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 131;

<sup>181</sup> *Deliyanni-Dimitrakou, C.*, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 87;

<sup>182</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 352.

მიუხედავად 2 საუკუნეზე მეტი ხნის გასვლისა დღესდღეობით ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1382-1386 არტიკლები<sup>183</sup> კვლავაც არ კარგავენ აქტუალობას და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა ქვეყნის დელიქტური სამართლის ჩამოყალიბებაში. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ფრანგულ დელიქტურ სამართალში ასახულია უზოგადესი გენერალური დათქმა, რაც მოსამართლეს უტოვებს დისკრეციის ფართო შესაძლებლობას.<sup>184</sup> მნიშვნელოვან ნაწილში ქართული დელიქტური გენერალური დათქმა ემსგავსება ფრანგულს, თუმცა, არსებით განმასხვავებელ როლს თამაშობს მართლწინააღმდეგობის ელემენტი, რომელიც ფრანგული სამართლისგან განსხვავებით ქართულ სამართალში დამოუკიდებლად მოწმდება, რათა ზიანის ანაზღაურების დაკისრება შევძლოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფრანგული სამართალი აბსოლუტურად ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებას მიიჩნევს შესაძლებლად, მთავარია რომ პირმა შეძლოს მოპასუხის ბრალის დადგენა და სახეზე იყოს ზემოთ ხსენებული 3 ელემენტი.<sup>185</sup> ფრანგული დელიქტური სამართლის ლიბერალური მიდგომის საწინდარად გვევლინება აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნორმა სადაც მოცემულია დელიქტური გენერალური დათქმა არ მოიცავს სამართლებრივი სიკეთეების ამომწურავ ჩამონათვალს (შესაბამისად, არ გვაქვს *numerus clausus* პრინციპი), მაშინ როდესაც გერმანულ სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არის ჩამოთვლილი ის აბსოლუტური სიკეთეები, რომელთა დაცვასაც კანონმდებელი მიიჩნევს „ღირსად“.<sup>186</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფრანგულ დელიქტურ სამართალში მოქმედებს აბსოლუტური კომპენსაციის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, ნებისმიერი ზიანის,

---

<sup>183</sup> *ib.* French Civil Code, transl. Rouhette G. & Rouhette-Breton A., Paris, 2006, Art. 1383 - 1386. [www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701) (25/01/2022)

<sup>184</sup> *C. V. Dam*, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 52;

<sup>185</sup> *M. A. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 357;

<sup>186</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123.

მათ შორის მიუღებელი შემოსავლის, წმინდა ეკონომიკური და სხვა სახის ზიანის სრულ ანაზღაურებას. ფრანგული სამართლის მსგავსმა ლიბერალურმა მიდგომამ, *numerus clausus* პრინციპის არ არსებობამ და შესაბამისად უზოგადესმა დელიქტურმა გენერალურმა დათქმამ დადებით საკითხებთან ერთად საკმაოდ პრობლემურ შედეგებამდეც კი მიგვიყვანა. ასე მაგალითისთვის მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფრანგეთში ორმოცდაათი ათასი სარჩელი შედის სასამართლოში ყოველ წელიწადს და ცხადია, რომ ეს ციფრი მზარდია.<sup>187</sup>

ფრანგული სამართალწარმოება და მათი სასამართლო სისტემა უმკლავდება მსგავს დატვირთვებს, შესაბამისად ფრანგი კანონმდებლისთვის მეტად მნიშვნელოვანია რომ მოხდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა, რათა მაქსიმალურად ყველა მოქალაქე იყოს კმაყოფილი სამართლის მოქმედებით, ვიდრე კანონში ცვლილების შეტანის გზით განტვირთონ სასამართლოები, თუმცა, გადაუხვიონ თავიანთ 2 საუკუნოვან იდეალებს. თუმცა, ის რაც გამართულად მუშაობს საფრანგეთში ხშირად დისკომფორტს უქმნის სხვა სახელმწიფოებს. ამერიკელები დელიქტურ ზიანზე ფართო მიდგომის გავრცელებისას ხშირად ამბობენ, რომ თუ სახელმწიფო დაუშვებს ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებას, ამან შესაძლოა მიიყვანოს ქვეყანა ქარხნების და ბიზნესის პარალიზებამდე, რადგან თეორიულად ადამიანის ნებისმიერ მოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რაც მიგვიყვანს დანაკლისამდე.<sup>188</sup>

### **3. 2. 2. გერმანიის სამართლის მიდგომა დელიქტის მიმართ - აბსოლუტური სიკეთეების/დამცავი ნორმის ხელყოფის წინაპირობით დელიქტური პასუხისმგებლობის შემოფარგვლა**

გერმანიის მიდგომა დელიქტური გენერალური დათქმისადმი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან სწორედ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენით არის შექმნილი ქართული დელიქტური სამართალი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანელი კანონმდებელი, მე-19 საუკუნის ბოლოს

---

<sup>187</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 350;

<sup>188</sup> იხ. *P. Bowal*, Pure Economic Loss Claims, LawNow, vol. 25, no. 5, 2001, 30.

სამოქალაქო კოდექსზე მუშაობისას იდგა არჩევანის წინაშე გამოეყენებინა დელიქტური გენერალური დათქმა თუ *numerus clausus* პრინციპით ჩამოეთვალა ის სამართლებრივი სიკეთეები, რომლის დაცვასაც იგი „ღირსად“ მიიჩნევდა. პირვანდელი რედაქცია, რომელზეც სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდებოდა, საკმაოდ გავდა დღევანდელ ქართულ დელიქტურ გენერალურ დათქმას, თუმცა საბოლოოდ 1900 წლის პირველ იანვარს ძალაში შესულმა კანონმა ის სახე მიიღო, რაც დღესაც მოქმედებს. გერმანელი კანონმდებელი დელიქტურ სამართალს საკმაოდ კონსერვატიულად მიუდგა, კონსერვატიულობა კი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ გსკ მიჰყვება რომაული სამართლის გზას. ძველ რომში არ იცნობდნენ დელიქტური გენერალური დათქმის ერთიან ცნებას, არამედ გვხვდებოდა ჩემ მიერ უკვე ნახსენები სხვადასხვა დელიქტები, იქნებოდა ეს ყაჩაღობით, შეურაცხყოფით თუ სხვა ქმედებით გამოწვეული ზიანი.<sup>189</sup>

ცხადია, არასწორი იქნება იმ ფაქტის მტკიცება, რომ გერმანელმა კანონმდებელმა ერთი ერთში გადმოიტანა ძველი რომის მიდგომა. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ გერმანული მიდგომა ხასიათდება ძველი რომაული და ფრანგული მიდგომების ერთგვარი ნაზავით. სახეზე გვაქვს ჰიბრიდული მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბებულია გსკ-ის 823-ე პარაგრაფში. აღნიშნული პარაგრაფის პირველი ნაწილი ჩამოთვლის იმ აბსოლუტურ სიკეთეებს, რომელთა ხელყოფის შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აუცილებლად შესაძლებელია. თუ რომელიმე აბსოლუტური სიკეთე არ არის ხელყოფილი, მაშინ ამ პარაგრაფის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლებელია.<sup>190</sup> აღსანიშნავის, რომ გერმანელი კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებული გსკ-ის 823.1 პარაგრაფი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფრანგული დელიქტური გენერალური დათქმისაგან. თუ ფრანგული დელიქტური ნორმა საკმაოდ ზოგადი და არ ახსენებს არც ერთ კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს, გერმანული ნორმა პირდაპირ ჩამოთვლის ამ დაცულ უფლებებს. ეს შესაძლო იყოს დაზარალებულის ქონება, ჯანმრთელობა (სხეული) და

<sup>189</sup> G. Mousourakis, *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Springer, Cham, 2015, 144;

<sup>190</sup> M. Bussani & V. Palmer, *The liability regimes of Europe – their façades and interiors*, *Pure Economic Loss in Europe* M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 148-149.

სხვა უფლება.<sup>191</sup> მოცემული ნორმით გერმანელმა კანონმდებელმა განსაზღვრა ის აბსოლუტური სიკეთეები, რომელთა დაცვასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა.<sup>192</sup> საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფში განხორციელებული ჩამონათვალი სრულდება სიტყვებით „და სხვა უფლება“ (ein sonstiges Recht), მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ გერმანელი კანონმდებელი აღნიშნული ჩანაწერით ცდილობდა, რომ შეექმნა ერთგვარი გენერალური დათქმა და ამ სიტყვების წინმსწრები ჩამონათვალი მხოლოდ ხაზს უსვამდა იმ აბსოლუტური სიკეთეების მნიშვნელობას, რომელთა დაცვაც გერმანელ კანონმდებელს მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

ზემოხსენებული შეხედულებებიდან გამომდინარე, გერმანულ სასამართლოს არაერთხელ უცდია, რომ ამ „სხვა უფლებებში“ მოეაზრებინა მაგალითად წმინდა ეკონომიკური ზიანი, რომელიც არ გამომდინარეობს აბსოლუტური სიკეთის ხელყოფიდან.<sup>193</sup> თუმცა, საბოლოოდ ყველა დავა ერთნაირად მთავრდებოდა და გერმანელი მოსამართლეები განმარტავდნენ, რომ გსკ-ის 823-ე პარაგრაფში ნახსენები „სხვა უფლება“ არ გულისხმობს გერმანელი კანონმდებლის არაპირდაპირ ნებას, რომ ანაზღაურებას დაექვემდებაროს ნებისმიერი ზიანი, არამედ სხვა უფლებებშიც მოიაზრება აბსოლუტური სიკეთეები, რომელიც შესაძლოა კანონმდებელმა ვერ ასახა ნორმაში, სწორედ ამ არგუმენტიდან გამომდინარე გერმანული სასამართლო 823.1 პარაგრაფით უარს ამბობს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებაზე.<sup>194</sup> რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.2 პარაგრაფს, არის ქართული დელიქტური სამართლის კონტექსტში ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი მართლწინააღმდეგობის ელემენტის მსგავსი მარეგულირებელი ნორმა.

---

<sup>191</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თარჯიმანი ჭეჭელაშვილი ზ., ქ. თბილისი, 2010, §823. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> (09/06/2019);

<sup>192</sup> E. K. Banakas, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 48-49;

<sup>193</sup> იხ. BGH, 1970, II ZR 133/68;

<sup>194</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გერმანული კანონმდებელი იცავს დაზარალებულს ისეთ შემთხვევაში, თუ მის მიმართ განზრახ და ზნეობის ნორმების დაუცველად მოქმედებდნენ. გსკ-ის 826-ე პარაგრაფი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც პირი მის მიერ განზრახი უზნეო ქმედებით (Sittenwidrigkeit) გამოწვეული ზიანისათვის არის პასუხისმგებელი.<sup>195</sup> გერმანული კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა, რომ აღნიშნული ნორმა სწორედ იმ მოტივით იქნა შემუშავებული, რომ მას მოეცვა ისეთი შემთხვევები, რომელიც გსკ-ის 823-ე პარაგრაფით არ იქნა ამოწურული.<sup>196</sup> გერმანული სამართალი არ იცნობს დელიქტურ გენერალურ დათქმას, არამედ იგი ჩამოყალიბებულია და მიმოვანტულია სამ ძირითად ნორმაში. გსკ-ის 823.1, გსკ-ის 823.2 და გსკ-ის 826-ე პარაგრაფები.<sup>197</sup>

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი შედგენილია გერმანული სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენით, ცალსახაა, რომ გერმანული კანონმდებლობა, კერძოდ გსკ-ის 823-ე პარაგრაფი არ მოიცავს სსკ-ის 992-ე მუხლის მსგავს დელიქტურ გენერალურ დათქმას. რამდენად ახდენს საბოლოო შედეგზე აღნიშნული ზეგავლენას საკმაოდ პრობლემური თემაა, თუმცა, ის საკითხი, რომ გერმანული სამართალი არ მოიცავს დელიქტურ გენერალურ დათქმას, ხელს უწყობს ამ ქვეყანაში სახელმეკრულებო სამართლის განვითარებას. ცხადია, რომ როდესაც სახელმწიფო რაიმეს არ არეგულირებს, ან პირიქით ზედმეტად ავიწროებს მას, როგორც ამას გერმანულ დელიქტურ სამართალში ვხვდებით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უწევთ თავად დაარეგულირონ ესა თუ ის საკითხი, სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია გერმანიაში სახელმეკრულებო სამართლის განვითარება და ე. წ. ბუფერული, სამართლებრივი სიცარიელის შევსება.<sup>198</sup>

---

<sup>195</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 149;

<sup>196</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83;

<sup>197</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 75;

<sup>198</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7.



#### 4. შუალედური შეჯამება

საბოლოო ჯამში შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი თემისთვის მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო შუალედური დასკვნა, რადგან ჩემი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ანაზღაურდეს დელიქტისაგან წარმოშობილი წმინდა ეკონომიკური ზიანი ქართულ რეალობაში, ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე გავრკვეულიყავით, იცნობს თუ არა ქართული სამოქალაქო კოდექსი დელიქტურ გენერალურ დათქმასა და რამდენად ფართოა იგი, რომ სამომავლოდ მოვიაზროთ მასში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაც. აღნიშნულ თავში განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით. დავინახეთ თუ რამდენად ფართოა ფრანგული კანონმდებლობის<sup>199</sup> მიდგომა გერმანულთან შედარებით. ასევე, განვიხილეთ ანგლო-ამერიკული სამართლის მიდგომა დელიქტურ დათქმებთან მიმართებით. ცხადია, პრეცედენტული სამართლის მქონე სახელმწიფოებისთვის მეტად პრობლემურია ერთიანი გენერალური დელიქტური დათქმის არსებობა.

ქართული რეალობისთვის მეტად აქტუალურია გერმანული სამართლის მიდგომა. როგორც საკითხის განხილვამ ცხადყო, მიუხედავად ცალსახა გერმანული ზეგავლენისა, ქართული სამართალი მაინც მეტად გამოირჩევა ინდივიდუალური ნიშნებით. გენერალური დელიქტური დათქმის არსებობა ქართულ სამოქალაქო კოდექსში, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართველმა კანონმდებელმა გაიზიარა გერმანელი მეცნიერების ერთსაუკუნოვანი გამოცდილება. ასევე შუალედური შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიდგომა დელიქტურ სამართალთან და შესაბამისად დელიქტურ გენერალურ დათქმასთან მიმართებით განსხვავდება, არა მხოლოდ სამართლის სისტემებს შორის, არამედ თავად აღნიშნული სამართლის სისტემაში შემავალ სახელმწიფოებს შორისაც. ნაშრომში ცალსახად გაესვა ხაზი იმ საკითხს, რომ დელიქტური გენერალური დათქმა, ზოგადად დამახასიათებელია

---

<sup>199</sup> French Civil Code, transl. Rouhette G. & Rouhette-Breton A., Paris, 2006, Art. 1383. [www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701) (25/01/2022);

კონტინენტური ევროპის სამართლისათვის, თუმცა, მისი არ არსებობა პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს არ უშლის ხელს, რომ დელიქტურ დავებში უპრეცედენტო და რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღოს. სწორედ ინგლისურმა სასამართლომ განმარტა და იმსჯელა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში წმინდა ეკონომიკური ზიანიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობაზე.<sup>200</sup>

ინგლისელი და ამერიკელი მოსამართლეები დელიქტური დავებისას მხედველობაში იღებენ მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობას. დავის გადაწყვეტისას მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ჰქონდა, ან უნდა ჰქონოდა ზიანის მიმყენებელ პირს დაზარალებულის მიმართ ე. წ. ზრუნვის ვალდებულება (Duty of Care).<sup>201</sup> ამერიკელი და ბრიტანელი მოსამართლეები დელიქტური დავის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ მხედველობაში იღებენ აგრეთვე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებელი პირის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ქართული დელიქტური სამართლის ჭრილში მნიშვნელოვანი იყო განგვებილა გერმანული და ფრანგული მიდგომა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 1804 წელს ნაპოლეონის ეპოქაშია მიღებული და შესაბამისად, მნიშვნელოვნად განიცდის რევოლუციური, ფილოსოფიური და თანასწორობაზე დამყარებული იდეების ზეგავლენას. ფრანგული გენერალური დელიქტური დათქმა წარმოადგენს მის უზოგადეს და ყოვლისმომცველ ფორმას, მაშინ როდესაც თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ მიღებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სრულად უარს ამბობს დელიქტურ გენერალურ დათქმაზე და ჩამოთვლის სამართლებრივ სიკეთეებს, რომელიც კანონს დაცვის „ღირსად“ მიაჩნია.<sup>202</sup>

ქართული სამოქალაქო სამართალი მე-20 საუკუნის ბოლოს გერმანული სამართლის ცალსახა ზეგავლენითა და სულისკვეთებით არის მიღებული. გარკვეულწილად ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გერმანელი მეცნიერები, რომლებიც კანონის

---

<sup>200</sup> *N. J. McBride & R. Bagshaw*, Tort Law, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 152;

<sup>201</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 218-219;

<sup>202</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, *Pure Economic Loss in Europe*, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123;

შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ცდილობდნენ აესახათ სამუშაო პროცესში მათი ქვეყნის კანონმდებლობის ასწლიანი გამოცდილება. ქართულმა კანონმდებლობამ უარი თქვა სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალზე და აირჩია გენერალური დელიქტური დათქმის გზა. ანალოგიური მიდგომა ჰქონდა მე–20 საუკუნეში გერმანული სამართლის ჯგუფის კიდევ ორ წევრ სახელმწიფოს: ავსტრია და შვეიცარია. ორივე სახელმწიფომ გარკვეულწილად გადაუხვია გერმანულ მიდგომას და აირჩია დელიქტური გენერალური დათქმის გზა.<sup>203</sup>

მართალია ქართული კანონმდებლობა იცნობს დელიქტურ გენერალურ დათქმას, თუმცა, მასში არსებული 5 ელემენტის და განსაკუთრებით მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმების აუცილებლობა, მნიშვნელოვანწილად აშორებს მას მისი ფრანგული ანალოგისაგან და ხდის გერმანული კანონმდებლობის მსგავსს. მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობა ერთ მუხლში არეგულირებს დელიქტურ საკითხებს (სსკ-ის 992-ე მუხლი), გერმანიის სამოქალაქო კოდექსში სამ ცალკეულ ნორმაში არის გადანაწილებული მსგავსი შინაარსისა და შედეგის მქონე დათქმა.<sup>204</sup> ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფის რეგულირების სფერო, ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით მეტად ფართოა და შესაძლოა მოიაზრებდეს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასაც კი.<sup>205</sup>

---

<sup>203</sup> იხ. გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236;

<sup>204</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თარჯიმანი ჭეჭელაშვილი ზ., ქ. თბილისი, 2010, §823.1 §823.2 და §826-ე პარაგრაფები. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>;

<sup>205</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting, (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9;

## IV. უსაფუძვლო გამდიდრება

ხშირად უსაფუძვლო გამდიდრების წარმოშობას ძველ რომს უკავშირებენ.<sup>206</sup> მართლაც იგი გარკვეულწილად საფუძველს ძველი რომიდან იღებს, თუმცა იგი დამოუკიდებლად მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდგომ გაჩნდა. რომაელები კვაზი კონტრაქტებში (quasi ex contractu)<sup>207</sup> მოიაზრებდნენ ბევრ იმ საკითხს, რასაც ჩვენ დღეს უსაფუძვლო გამდიდრებას ვუწოდებთ.<sup>208</sup> უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლებში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კანონპროექტის მიხედვით იგეგმებოდა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ თავში ქვესათაურების გაკეთება, რომელიც მისი სტრუქტურის აღქმას მეტად შეუწყობდა ხელს. ქვესათაურებს სახელწოდება კონდიქციების მიხედვით მიეცემოდა, რაც საბოლოოდ სამწუხაროდ არ შესრულდა.<sup>209</sup>

იმისათვის, რომ სრულყოფილად შევძლოთ მსჯელობა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნივთის განკარგვით გამოწვეულ ზიანისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის სხვაობაზე, მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში სრულყოფილად გავიგოთ უსაფუძვლო გამდიდრების მნიშვნელობა და მიზანი, ხოლო შემდგომ განვიხილოთ თითოეული კონდიქცია დამოუკიდებლად.

### 1. უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და მიზანი

ტერმინი უსაფუძვლო გამდიდრება ქართულ სამართალში გერმანული ზეგავლენით აიხსნება, სადაც აღნიშნულ სამართალს *ungerechtfertigte Bereicherung* ეწოდება.

---

<sup>206</sup> X. B. Zhang, *Legislation of Tort Liability Law in china*, Springer, Singapore, 2018, 380;

<sup>207</sup> V. Harpwood, *PRINCIPLES OF TORT LAW* fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 6;

<sup>208</sup> P. Birks, *The Roman Law of Obligations*, Oxford University Press, 2014, 260;

<sup>209</sup> ჰ. შნიტგერი, *ლ. შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 976, ველი 4;

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახელი აქვს მას შვეიცარულ კანონმდებლობაში. ანგლო-ამერიკულ სამართალში ხმარობენ სიტყვებს unjust enrichment, რაც უსამართლო გამდიდრებას ნიშნავს. ხშირად აგრეთვე გამოიყენება სიტყვა unjustified, რაც გაუმართლებელს ნიშნავს. ფრანგულ კანონმდებლობაში და სამართლებრივ ლიტერატურაში გამოიყენება სიტყვები enrichissement sans cause, რომლის პირდაპირი თარგმანიც შემდეგნაირია - „გამდიდრება საფუძვლის გარეშე“.<sup>210</sup> იმისათვის, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სრულყოფილად გავიგოთ, უნდა გავარკვიოთ მისი წარმოშობის გზები.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი დამყარებულია სამართლიანობის პრინციპზე, რომელსაც ჯერ კიდევ ძველ რომაელ იურისტ პომპონიუსთან მივყავართ, რომლის მიდგომებიც ყოველთვის სამართლიანობით გამოირჩეოდა.<sup>211</sup> უსაფუძვლო გამდიდრების გარდა, სადაც მას მიაჩნდა, რომ არავინ არ შეიძლება გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, მას აგრეთვე საკმაოდ გონივრული და მორალურად სწორი მიდგომა აქვს სახელშეკრულებო გარიგებების მიმართაც, რომლის მიხედვითაც, არავის არ აქვს გასამრჯელოს ან სარგებლის მიღების უფლება თუ სანაცვლოდ არაფერს გასცემს.<sup>212</sup>

მაშინ როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დროს, პირს ამოდრავებს ალტრუისტული მოტივი, რომ სხვას დაეხმაროს, რის გამოც მას კანონმდებლობა ახალისებს, უსაფუძვლო გამდიდრების დროს კანონმდებლის მთავარი მიზანია, რომ სხვის ხარჯზე გამდიდრებულმა არაუფლებამოსილმა პირმა არ მიითვისოს აღნიშნული ქონება.<sup>213</sup>

უზენაესმა სასამართლომ 2007 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში პირდაპირ განმარტა, თუ რა შეიძლება მიიჩნეოდეს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის

---

<sup>210</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 53;

<sup>211</sup> იხ. *მ. ახალაძე*, უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, ქ. თბილისი, 2019, 5;

<sup>212</sup> *P. Birks*, The Roman Law of Obligations, Oxford University Press, 2014, 71;

<sup>213</sup> იხ. *გ. რუსიაშვილი*, *დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 88;

მიზნად.<sup>214</sup> აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიზანია, სამართლიანობისა და შესაბამისი სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა, რაც გულისხმობს იმ ფინანსური სარგებლის ამოღებას, რაც პირმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სხვის ხარჯზე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი გერმანულისგან მომდინარეობს, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მის „გაუმჯობესებულ“ ვარიანტს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არის მოცემული კონდიქციები და მხოლოდ ამის შემდეგ სსკ-ის 991-ე მუხლში გადმოცემულია ზოგადი ფორმა სხვა ყველა დანარჩენი შემთხვევისთვის. გერმანიის შემთხვევაში გენერალური დათქმა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ მოცემულია გკს-ის 812-ე პარაგრაფში, მხოლოდ მოგვიანებით გაიმიჯნა ერთმანეთისაგან შესრულების კონდიქცია და ე. წ. „არშესრულების კონდიქცია“<sup>215</sup> აღნიშნულის მიზეზად გვევლინება ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კოდექს შორის თითქმის ერთსაუკუნოვანი სხვაობა, რაც სავსებით გასაგები და მისაღებია, ვინაიდან სამართალი მუდმივად იხვეწება და ვითარდება, რასაც აგრეთვე ხაზს უსვამს ფაქტი, რომ ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში უსაფუძვლო გამდიდრება საერთოდ არ არის მოხსენიებული და იგი მხოლოდ კვაზი-კონტრაქტებით შემოიფარგლება.<sup>216</sup> მოცემული ნაკლოვანება მოგვიანებით სხვადასხვა თეორიისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით შეივსო.<sup>217</sup>

ანგლო-ამერიკულ სამართალში მოქმედებს მიდგომა, რა დროსაც პირი შესაძლებელია ჩაითვალოს უსაფუძვლოდ გამდიდრებულად. მოსამართლემ უნდა გადაამოწმოს გარკვეული საკითხები: 1. გამდიდრდა, თუ არა მოპასუხე?! 2. გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე მოხდა თუ არა?! 3. აღნიშნული გამდიდრება იყო უსამართლო/უსაფუძვლო თუ არა?! მოცემული მიდგომა კარგად არის გადმოცემული

---

<sup>214</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-456-805-07;

<sup>215</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 102-103;

<sup>216</sup> *B. S. Markesinis & H. Unberath*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 25;

<sup>217</sup> *X. B. Zhang*, Legislation of Tort Liability Law in china, Springer, Singapore, 2018, 383;

გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Bank of Cyprus UK Limited v Menelaou*,<sup>218</sup> როდესაც მოსამართლეებმა სწორედ ამ პრინციპებით იხელმძღვანელეს.

## 2. კონდიქციური მოთხოვნები და გენერალური დათქმა

ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, გერმანული ზეგავლენის მიხედვით კონდიქციურ მოთხოვნებს 4 ნაწილად ყოფს. ეს არის შესრულების კონდიქცია, ხელყოფის კონდიქცია, დანახარჯების კონდიქცია და რეგრესის კონდიქცია.<sup>219</sup> ხშირად ამ ორ უკანასკნელს იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აერთიანებენ ერთი სახელწოდების ქვეშ - გაწეული ხარჯების კონდიქცია.<sup>220</sup>

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიგოთ უსაფუძვლო გამდიდრების ბუნება, უმჯობესია, რომ განვიხილოთ თითოეული კონდიქცია დამოუკიდებლად. მივაქციოთ ყურადღება მათი წარმოშობის ბუნებასა და მიზანს.

### 2.1. შესრულების კონდიქცია

თითოეულ კონდიქციას შესაბამისი ფუნქცია გააჩნია, რომელიც მას გამოარჩევს, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც ცალ-ცალკე კონდიქციებს არ ვხვდებით და ისინი ერთ გენერალურ დათქმაში არის თავმოყრილი,<sup>221</sup> რაც თავის მხრივ a *condictio sine causa generalis*-ის დოქტრინის ზეგავლენად უნდა იქნას

---

<sup>218</sup> [2015] UKSC 66, 04 Nov 2015, <https://www.supremecourt.uk/cases/docs/uksc-2013-0171-judgment.pdf> [12/05/2022]

<sup>219</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 88-89;

<sup>220</sup> მ. ახალაძე, უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, ქ. თბილისი, 2019, 136;

<sup>221</sup> T. A. Baloch, Unjust Enrichment and Contract, Oxford, 2009, 72

მიჩნეული.<sup>222</sup> შესრულების კონდიქცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-981-ე მუხლებით არის ჩამოყალიბებული.

შესრულების კონდიქციით წესრიგდება არანამდვილი ხელშეკრულებით მიღებულის უკან დაბრუნების საკითხი და შესაბამისად იგი სახელშეკრულებო სამართლის ერთგვარ დანამატად გვევლინება.<sup>223</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი მახასიათებელია, რომ ხდება სხვის ხარჯზე ქონების გაზრდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.<sup>224</sup> ანალოგიურს აგრეთვე ემატება შესრულების კონდიქციის დროს ქართულ და გერმანულ სამართალში ერთი დეტალი, რომ ეს სარგებელი მიღებული უნდა იყოს შესრულებით.<sup>225</sup> ამასთან მნიშვნელოვანია, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ საკუთარი ქმედებით ზრდის სხვის ქონებას.<sup>226</sup>

შესრულების კონდიქციის წინაპირობები კარგად არის ჩამოყალიბებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, სადაც განმარტებულია თავად შესრულების ბუნება და სარგებლის მიღების შინაარსი.<sup>227</sup> შესრულება უნდა იყოს მიზანმიმართულ და შეგნებულ მოქმედებაში გამოხატული, რაც იწვევს აღნიშნული შესრულების მიმღები პირი ქონებრივ შეღავათს, შესაბამისად მის გაზრდას.

---

<sup>222</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 53;

<sup>223</sup> *გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 89;

<sup>224</sup> *თ. ჩიტოშვილი*, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N2, ქ. თბილისი, 2008, 92;

<sup>225</sup> *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §812, 593, ველი 11;

<sup>226</sup> *გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 91

<sup>227</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-643-973-07;



## 2.2. ხელყოფის კონდიქცია

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართალი ორ ჯგუფად ყოფს კონდიქციებს. ერთი მხრივ იგი შესრულებით არის გამოწვეული და მეორე მხრივ ე. წ. „არშესრულებით გამოწვეული კონდიქციები“ იგივე შეუსრულებლობით გამოწვეული კონდიქცია, რომელიც თავის თავში ყველა კონდიქციას მოიაზრებს, შესრულების კონდიქციის გარდა, თუმცა, ძირითადად იგი სწორედ ხელყოფის კონდიქციაზე კონცენტრირდება. იგი გაერთიანებულია სიტყვებში „...ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს“<sup>228</sup> აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოში ყველა კონდიქციას საკუთარი სახელი აქვს, ქართული უზენაესი სასამართლო, რამდენიმე გადაწყვეტილებაში მაინც იყენებს გერმანულ ტერმინს - „არშესრულების კონდიქცია“.<sup>229</sup>

გერმანიის პრაქტიკის მიხედვით, სხვისი ნივთის ნამდვილი განკარგვისას, პრობლემურია ხელყოფის პასუხისმგებლობის ფარგლები, აღნიშნული სახეზეა მაშინ როცა განკარგული საგნის ღირებულება განსხვავდება რეალურად მოპოვებული სასყიდლისგან, მიუხედავად იმისა ღირებულება ჩამოუვარდება, თუ აღემატება რეალურად მოპოვებულ სასყიდელს. აღნიშნული საკითხის პრობლემურობა გამოწვეულია იმით, რომ ბაზარზე საგნის გასხვისების შემთხვევაში ასეთი განსხვავება არც ისე იშვიათია. მართალია, გსკ-ის მიხედვით არსებობს მკაცრი ფორმულირება, რომელიც ადგენს განკარგვის შედეგად მიღებულის გადაცემის ვალდებულებაზე, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ რეალური ღირებულება. აღნიშნული მოსაზრება არ არის გაბატონებული მოსაზრება, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს

---

<sup>228</sup> კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §812, 590, ველი 2;

<sup>229</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-664-635-2016, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1224-1149-2015;

საკანონმდებლო გაგებიდან და გულისხმობს ხელმყოფის მიერ ზიანის ანაზღაურებას განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდლის ოდენობის ფარგლებში.<sup>230</sup>

ხელყოფის კონდიქცია ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლში. მაშინ როდესაც შესრულების კონდიქცია სახელშეკრულებო სამართლის დანამატია, ხელყოფის კონდიქცია ავსებს დელიქტურ და ვინდიკაციურ სამართალში დარჩენილ გარკვეულ „შავ ხვრელებს“.<sup>231</sup> სწორედ ამიტომ ამ ჭრილში მსოფლიოში ხშირად აწყდებიან დელიქტური სამართლისა და ხელყოფის კონდიქციის კონკურენციას.<sup>232</sup> თუ ჩვენ წავიკითხავთ სსკ-ის 992-ე მუხლს, სადაც მოცემულია დელიქტური გენერალური დათქმა და შევადარებთ მას სსკ-ის 982-ე მუხლს, მივხვდებით, რომ მსგავსება საკმაოდ დიდი. ორივე შემთხვევაში საუბარია ზიანზე და ერთი შეხედვით 982-ე მუხლი უფრო ფართოა, ვინაიდან არ ითხოვს ბრალის არსებობას.<sup>233</sup>

წინაპირობები, აქაც შესრულების კონდიქციის მსგავსად გვქვს რაიმეს მოპოვება,<sup>234</sup> თუმცა, უკვე არა შესრულებით, არამედ ხელყოფით და აღნიშნული რაიმეს მოპოვება უნდა ხდებოდეს სხვის ხარჯზე.<sup>235</sup> მოცემული მიდგომა ხაზგასმულია არა მხოლოდ

---

<sup>230</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020, 76;

<sup>231</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 89;

<sup>232</sup> X. B. Zhang, Legislation of Tort Liability Law in china, Springer, Singapore, 2018, 385;

<sup>233</sup> ჰ. შნიტგერი, ლ. შატერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 982, ველი 1;

<sup>234</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §812, 603, ველი 37;

<sup>235</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 96;

ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებაში,<sup>236</sup> არამედ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც.<sup>237</sup>

არანამდვილი განკარგვის მოწონებასთან მიმართებით საინტერესოა ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი, კერძოდ თუ ვსაუბრობთ სამართლებრივი პოზიციის ხელყოფაზე, რომელიც გამომდინარეობს სხვისი ნივთის განკარგვით, აუცილებელია განკარგვა იყოს ნამდვილი და უფლებამოსილ პირს რეალურად აღეკვეთოს შესაძლებლობა განახორციელოს თავისი უფლება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ უფლება კეთილსინდისიერად იყოს მოპოვებული. საინტერესოა შემთხვევა როდესაც უფლება კეთილსინდისიერად არ არის მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში, ითვლება, რომ განკარგვა არანამდვილია, თუმცა, ამის მიუხედავად გაბატონებული მოსაზრებით უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოიწონოს აღნიშნული არანამდვილი განკარგვა და ამის შედეგად წარადგინოს კონდიქციური მოთხოვნა განმკარგავის მიმართ. ეს გარემოება ქმნის მესაკუთრისთვის დამატებითი დაცვის მექანიზმს, იმ შემთხვევაში თუ მას მოპარეს აღნიშნული ნივთი.<sup>238</sup>

### 2.3. გაწეული ხარჯების (დანახარჯებისა და რეგრესის) კონდიქცია

გაწეული ხარჯების კონდიქცია თავის მხრივ ორი ცალკეული კონდიქციისგან შედგება დანახარჯების კონდიქცია, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლში და რეგრესის კონდიქცია, რომელიც გადმოცემულია სსკ-ის

---

<sup>236</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1247-1167-2017

<sup>237</sup> დასავლეთ ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე LAMPSON (AUSTRALIA) PTY LTD -v- FORTESCUE METALS GROUP LTD [No 3] [2014] WASC 162 <http://www.austlii.edu.au/cgi-bin/viewdoc/au/cases/wa/WASC/2014/162.html> [15/05/2022]

<sup>238</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეგორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020, 77;

986-ე მუხლით. ორივე მათგანს გერმანული სამართალი „არშესრულების კონდიქციათა“ ჯგუფში აერთიანებს.<sup>239</sup>

მაშინ როდესაც დანახარჯების კონდიქციის დროს პირი თავად გასწევს ხარჯებს და ამით სხვა პიროვნება დებულობს სარგებელს, რეგრესის კონდიქციის დროს, პირი ათავისუფლებს სხვას ვალდებულებისგან, მაგალითად მის მაგივრად ვალის გადახდის გზით. ცხადია, რომ გადამხდელს აღნიშნული ვალდებულება არც ხელშეკრულებით და არც რაიმე კანონისმიერი ნორმით არ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული.<sup>240</sup>

გაწეული ხარჯების კონდიქციის შემთხვევაში, როგორც გერმანული სამართლის მიერ, ასევე, ქართული სამართალითაც დიდი ყურადღება ექცევა საკითხს, რომ არ გვექონდეს პირის მიერ თავს მოხვეული გამდიდრება.<sup>241</sup> ასეთი შემთხვევა სახეზეა, როდესაც მართალია პირის ქონება ობიექტურად გაიზარდა, მაგრამ იგი ყოვლად გამოუსადეგარი და არაფრის მომცემია „გამდიდრებულისთვის“.<sup>242</sup> აღნიშნული საკითხი საკმაოდ კარგად არის განმარტებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში.<sup>243</sup>

## 2.4. გენერალური დათქმა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლში ქართველი კანონმდებელი აყალიბებს გენერალურ დათქმას. იგი საკმაოდ ზოგადია და მოიცავს სხვა ყველა

<sup>239</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 109;

<sup>240</sup> *გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 98;

<sup>241</sup> *ჰ. შნიტგერი, ლ. შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 987, ველი 4;

<sup>242</sup> *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §812, 606, ველი 42;

<sup>243</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1004-2018, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-542-514-2015;

დანარჩენ შემთხვევას, რაც მოცემული არ არის მის წინმსწრებ მუხლებში. შესაბამისად, თუ სახეზე არ გვექნება სხვა რომელიმე კონკრეტული კონდიქცია, მაშინ პირი შეძლებს, რომ დაიბრუნოს მისი ნების გარეშე გასული სარგებელი სწორედ ამ გენერალური დათქმით.<sup>244</sup>

ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინა გერმანული სამართლის გამოცდილება და კონდიქციები მაქსიმალურად და პირდაპირ განსაზღვრა კანონმდებლობაში, თუმცა პოტენციურად გაუთვალისწინებელი საქმეებისთვის მაინც დატოვა კოდექსი გენერალური დათქმა. სწორედ ამიტომ, მსგავსი დავები არც ისე ხშირია და ხშირად სასამართლო მოულოდნელ გადაწყვეტილებებსაც იღებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით<sup>245</sup> ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლეებმა ერთდროულად გამოიყენეს სსკ-ის 991-ე და 976-ე მუხლი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სწორედ ეს იყო მთავარი არგუმენტი, რაზეც კასატორი მიუთითებდა, რადგან მისი პოზიციის თანახმად სსკ-ის 991-ე და 976-ე მუხლების ერთად გამოყენება შეუძლებელია, რადგან ამას თავად სსკ-ის 991-ე მუხლი არ უშვებს და იგი მხოლოდ დარჩენილ (კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ) შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული.

---

<sup>244</sup> კ. შნიტგერი, ლ. შატბერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 991, ველი 1;

<sup>245</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-310-2019

## V. უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური სამართლის შეპირისპირება

უსაფუძვლო გამდიდრება საკმაოდ საინტერესო საკითხია ჩვენი ძირითადი თმისათვის, ვინაიდან დელიქტური სამართლის მსგავსად იგიც მოითხოვს, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა.

აღნიშნული დარღვეული სამართლიანობის აღდგენისათვის სასამართლოში წარდგენილი სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსამართლე ამოწმებს შემდეგ ელემენტებს:

1. მიიღო თუ არა ზოგადად რაიმე სარგებელი მოპასუხემ, შესაბამისად, გამდიდრდა თუ არა იგი.
2. აღნიშნული გამდიდრება იყო თუ არა უსამართლო, შესაბამისად, უნდა იყო თუ არა ყველანაირი საფუძვლის გარეშე.
3. მომდინარეობდა თუ არა მოპასუხის გამდიდრება ან რაიმე სარგებლის ნახვა მოსარჩელისაგან.

ზემოხსენებული სამი ელემენტის არსებობა საერთო ჯამში იძლევა საფუძველს რომ მივიჩნიოთ რომ პირი უსაფუძვლოდ გამდიდრდა და მას დავაკისროთ პასუხისმგებლობა. თითოეული ელემენტის შემოწმება საკმაოდ რთულია, თუმცა, მესამე ელემენტის - კავშირის პოვნა თუ რამდენად მოხდა მოპასუხის გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე მოსამართლეებს ყველაზე მეტად უპრობლემდებათ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - მსოფლიოშიც.<sup>246</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების ელემენტების შემოწმება მნიშვნელოვნად ემსგავსება დელიქტური გენერალური დათქმის ელემენტების შემოწმებას. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში არსებით და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიზეზობრივი უწყვეტი ჯაჭვის პოვნა.

---

<sup>246</sup> K. Barker, R. Grantham, *Unjust Enrichment* second Edition, LexisNexis Butterworth, Australia, 2018, p. 75;

## 1. უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური სამართლის მიდგომების შეპირისპირება წმინდა ეკონომიკური ზიანის ჭრილში

ჩვენ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ უსაფუძვლო გამდიდრებაზე, კონდიქციებზე და დელიქტურ სამართალზე. ახლა უფრო დეტალურად შევხები მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. რა თქმა უნდა საუბარი იქნება ხელყოფის კონდიქციაზე, ვინაიდან სწორედ ის მიიჩნევა დელიქტური სამართლის „დანამატად“ სამოქალაქო კოდექსში.

გერმანული დოქტრინის მიხედვით, ხელყოფის კონდიქციის აუცილებელი წინაპირობაა თავად ხელყოფის ფაქტი, რომელიც „სხვის ხარჯზე“ უნდა მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში დელიქტური სამართლისაგან განსხვავებით მნიშვნელობა ენიჭება არა ქმედებას და მის მართლწინააღმდეგობას, არამედ ხელყოფის სამართლებრივ პოზიციას. შესაბამისად, აკუთვნებს თუ არა მართლწესრიგი კონდიქციის კრედიტორს ამ სამართლებრივ პოზიციას ექსკლუზიური განკარგვა-გამოყენების უფლებით.<sup>247</sup>

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, რომ მიუხედავად დელიქტური სამართლისა და უსაფუძვლო გამდიდრების ასეთი მსგავსებისა, მათ საბოლოო ჯამში სხვადასხვა შედეგამდე მივყავართ.<sup>248</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელყოფის კონდიქციით შეიძლება მხოლოდ იმ ქონებრივი სარგებლის უკუმოთხოვნა, რომელიც მოიპოვა სხვა პირის სამართლებრივი პოზიციის ხელყოფისა და ამ პოზიციის მისთვის მიკუთვნებული რეალიზაციის მონოპოლიის მითვისებით. ამასთან, მხოლოდ ნივთის მოპოვებისა და მოგების მიღების შანში საკმარისი არ არის, არამედ, აუცილებელია ისიც, რომ დაცული სამართლებრივი პოზიცია უფლებამოსილ პირს ანიჭებდეს მესამე პირთათვის მისი გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას. ამრიგად, ხელყოფის

---

<sup>247</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020, 71;

<sup>248</sup> H. J. Wieling, Bereicherungsrecht, Springer, Berlin, 2004, 48;

კონდიციის გამოყენების სფეროს მონიშვნისთვის მნიშვნელოვანია ხელყოფაუნარიანი ობიექტთა წრის გამოკვეთა საკანონმდებლო დონეზე.<sup>249</sup>

დელიქტური სამართლის დროს პირი ითხოვს იმ დანაკლისს, რომელიც მას მიადგა და როგორც წესი იგი აღემატება ხოლმე უსაფუძვლოდ გამდიდრების შემთხვევაში არსებულ მოგებას, თუმცა, არის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირი აბრუნებს გაცილებით მეტ თანხას, ვიდრე ეს ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში იქნებოდა, მაგალითად როდესაც პირი უნებართვოდ იყენებს სხვის ნახატს და მას საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის გამოიყენებს, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდება. ნახატის ავტორს ფაქტობრივი ზიანი არ მისდგომია, თუმცა მას ექნება უსაფუძვლო გამდიდრებით, კერძოდ, სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვოს მოგების დაბრუნება. თუმცა, რა თქმა უნდა არსებობს ლოგიკური მოლოდინი, რომ ვინაიდან დელიქტური სამართლის დროს აუცილებელი ელემენტია ბრალი, იქ სადაც პირს ბრალი არ მიუძღვის არ შეიძლება რომ ანაზღაურება იყოს მეტი ვიდრე სადაც ეს მისი ბრალეული ქმედებით იქნებოდა გამოწვეული.<sup>250</sup>

აღსანიშნავია, რომ ხელყოფის კონდიციის დროს ბრალეულობის არსებობა სავალდებულო არ არის, მაშინ როდესაც დელიქტის დროს ზიანის ანაზღაურება ვერ დაეკისრება არაბრალეულ პირს. შესაბამისად უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისთვის მნიშვნელოვანია არა ის ფაქტი თუ რა დანაკლისი მიადგა ამა თუ იმ პირს და ვისი ბრალეულობით, არამედ ის თუ რა სარგებელი მიიღო არაუფლებამოსილმა პირმა სხვის ხარჯზე. აღნიშნულზე აგრეთვე მიუთითებს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 982-ე მუხლში ნახსენები ზიანი წარმოადგენს არა რეალური დანაკლისის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევას. შესაბამისა ხელყოფის კონდიციისთვის არის დამახასიათებელი

---

<sup>249</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020, 73;

<sup>250</sup> ჰ. შნიტგერი, ლ. შატბერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 976, ველი 7;



იურიდიული შედეგი, რომლის დროსაც ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს რეალურად უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. ესე იგი, აღნიშნულიდან უზენაეს სასამართლოს გამოაქვს დასკვნა, რომ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, როგორც ეს დელიქტის შემთხვევაშია, არამედ გამდიდრების გათანაბრებასთან.<sup>251</sup>

კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას იმის მიუხედავად, უფლებამოსილ პირს მიადგა თუ არა რაიმე ზიანი, ასევე შესაძლებელია იგი არ წარმოიშვას მაშინ, თუ მეორე პირს მიადგა ზიანი, ეს იმ შემთხვევაში თუ სხვისი ქონების ხელმყოფმა ამ ზიანის სანაცვლოდ არაფერი მიიღო. სწორედ აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი არ არის ზიანის ანაზღაურების სამართალი. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხელმყოფის პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მკაცრად განისაზღვროს ის, თუ რისი ვალდებულება ეკისრება ხელმყოფს - განკარგული ქონების ობიექტური ღირებულების ანაზღაურების, თუ განკარგვით მიღებული სარგებლის დაბრუნება.<sup>252</sup>

## 2. შუალედური შეჯამება

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ უსაფუძვლო გამდიდრებასა და დელიქტურ სამართალთან მიმართებით არ არსებობს ერთიანი პოზიცია, არათუ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. ცალკე აღებული დელიქტი საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან მის მიმართ მიდგომა განსხვავებულია სამართლის ოჯახებს შორის მთელ იურიდიულ სამყაროში. დელიქტური გენერალური დათქმა, დამახასიათებელია მეტად კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახისთვის და არა ანგლო-ამერიკულისათვის. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთი, რომლის

---

<sup>251</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-838-796-2013, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-881-843-2014;

<sup>252</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020, 73;

დელიქტური გენერალური დათქმაც უზოგადესია და იგი ეტალონად მიიჩნევა მსოფლიოში.

ქართული სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამართლის გავლენით არის შექმნილი და ეს მას როგორც დელიქტურ სამართალში, ასევე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში ეტყობა. თუმცა, ცხადია, რომ ქართული კოდექსი და სამართალი გარკვეული საკითხების მიმართ გვთავაზობს განსხვავებულ მიდგომას, როგორც დელიქტურ, ასევე, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში. მაგალითად დელიქტურ სამართალში ჩვენ ვხვდებით გენერალურ დელიქტურ დათქმას, რომელი 992-ე მუხლშია ჩამოყალიბებული,<sup>253</sup> მსგავსს კი გერმანული სამართალი არ იცნობს და იგი 823.1 პარაგრაფში პირდაპირ ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს რომელთაც დაცვის ღირსად მიიჩნევს.

მეორე მხრივ კი უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში გერმანულ სამართალში 812-ე პარაგრაფში ვხვდებით გენერალურ დათქმას და მათ არ აქვთ დაკონკრეტებული კონდიციები, ქართულ სამართალში კი კონდიციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და აგრეთვე 991-ე მუხლით განსაზღვრული გენერალური დათქმა სხვა ყველა დარჩენილი შემთხვევისთვის. რა თქმა უნდა ცხადია, რომ ეს ამ ორ კოდექს შორის ეს მცირედი განსხვავებები, მათი შემუშავების წელთა სხვაობითაა გამოწვეული.

ხელყოფის კონდიციასა და დელიქტურ სამართალს შორის კონკურენცია გამოწვეული იმ ფაქტორით, რომ მათ ხშირად საკმაოდ ბევრი გადაკვეთის წერტილი

---

<sup>253</sup> მსგავსი მიდგომა საქართველოს გარდა აგრეთვე ავსტრიასა და შვეიცარიას ახასიათებს. ორივე მათგანი გერმანული სამართლებრივი ოჯახის წევრებად ითვლებიან საქართველოსთან ერთად. დამატებით იხ. გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236;

აქვთ.<sup>254</sup> ორივე შემთხვევაში კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს დაიცვას სამართლებრივი სიკეთე პოტენციური ხელყოფისაგან.<sup>255</sup>

უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ნაშრომში არაერთხელ ვახსენეთ, ხშირად არის გადმოცემული მთავარი მიდგომა, რომ როდესაც სახეზე არის სხვა პირის გამდიდრების ფაქტი და არა რეალურად დამდგარი დანაკლისი, „დაზარალებულმა“ უნდა მიმართოს სასამართლოს არა დელიქტური მოთხოვნით, არამედ, მოთხოვოს ხელყოფის კონდიქციის გზით გამდიდრების გათანაბრება.

საინტერესოა საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეებმა განმარტეს, რომ როდესაც სახეზე არ არის ფაქტობრივი დანაკლისი და არის მხოლოდ სხვის ხარჯზე გამდიდრებული პირი, ასეთ შემთხვევაში გამოსაყენებელი უნდა იყოს უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი.

ეს გადაწყვეტილება აგრეთვე მნიშვნელოვანია, რადგან, ვინაიდან სასამართლომ დავის განხილვა წარმართა არა დელიქტური სამართლით, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით, ხანდაზმულობის ვადად შესაბამისად განისაზღვრა არა 3 წელი, როგორც ეს დელიქტურ სამართალშია, არამედ 10 წელი, შესაბამისად დავა არ იქნა მიჩნეული ხანდაზმულად.<sup>256</sup>

სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად მიიჩნევენ, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება სწორედ რომ ხელყოფის კონდიქციით არის შესაძლებელი. თუმცა ცალსახაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი ხაზს უსვამს პირის მიერ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. წმინდა ეკონომიკური ზიანის დროს კი სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თავად ზიანი კი

---

<sup>254</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 91-92;

<sup>255</sup> *გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 96;

<sup>256</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1442-2018;

უნდა ადგებოდეს მხოლოდ დაზარალებულის ფინანსურ მდგომარეობას, შესაბამისად მის „ჯიბეს“.<sup>257</sup>

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული მიდგომა მსოფლიოში, რაც იძლევა უამრავი პრეცედენტული გადაწყვეტილების საშუალებას და შესაბამისად ქართული სასამართლოს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად მსგავსი პრობლემური საკითხები მეტად დაიხვეწება და სამართლებრივად გაიმართება. აღნიშნულ საკითხში კი გადამწყვეტი როლი ქართულ სასამართლოს მიუძღვის, რომელმაც უნდა შეძლოს და მიიღოს მეტად პრეცედენტული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. განმარტოს კანონმდებლობა და მიუსადაგოს იგი სამყაროში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს.<sup>258</sup>

---

<sup>257</sup> *C. Elliott & F. Quinn*, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>258</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 226;

## VI. წმინდა ეკონომიკური ზიანის ცნება და მისი სახეები

წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების საკითხი, საკმაოდ შეუსწავლელი რჩება არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნულ დანაკლისზე მსჯელობა უცხოელმა იურისტებმა დაიწყეს ჯერ კიდევ წინა საუკუნის პირველ მეოთხედში, რასაც ლოგიკურად სდევდა, ბრიტანეთის სასამართლოს მიერ მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები.<sup>259</sup> სამწუხაროა, რომ ქართულ რეალობაში გვიწევს არათუ კონკრეტულ პრეცედენტულ დავებზე მსჯელობა, არამედ არც კი არსებობს Pure Economic Loss-ის მიმართ ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა. სასამართლო გადაწყვეტილებებსა და აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომებში ხდება მისი აღრევა ხელშეკრულების პირობის დარღვევით შედეგად მიუღებელი შემოსავლით გამოწვეულ დანაკლისთან.

აღნიშნულ საკითხს ნაშრომში უფრო დეტალურად ოდნავ მოგვიანებით განვიხილავ, თუმცა, აგრეთვე მნიშვნელოვნად მიმაჩნია Pure Economic Loss-ის სწორი ქართული შესატყვისის დამკვიდრება.<sup>260</sup> აღნიშნულ თავში გადმოცემული მსჯელობების ნაწილი ჩემ მიერ გამოქვეყნებულია სტატიის სახით ქართულ-გერმანულ ჟურნალში.<sup>261</sup>

### 1. Pure Economic Loss-ის ქართული შესატყვისი

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამწუხაროდ Pure Economic Loss არც ისე ხშირად არის გამოყენებული, შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს აგრეთვე წარმოადგენს მისი თარგმნა და სწორი ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისის მოძიება.

---

<sup>259</sup> იხ. *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/ew/cases/EWCA/1972/3.html>;

<sup>260</sup> შდრ. გ. ცერცვაძე, სეხელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 653;

<sup>261</sup> ი. სვანაძე, წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2022, გვ. 39-48;

Pure ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც წმინდა ან სუფთა (მინარევის გარეშე). ქართულ სამეცნიერო ნაშრომებში Pure Economic Loss - თუ იგი სწორად არის ნახსენები, ითარგმნება ორნაირად სუფთა ქონებრივი დანაკლისი და წმინდა ეკონომიკური ზიანი.<sup>262</sup> მიმაჩნია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი უფრო მეტად ასახავს და გადმოსცემს ამ მეტად საინტერესო საკითხის შინაარსს. წმინდა ეკონომიკური ზიანის განმარტებასთან პრობლემებს ვაწყდებით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპულ სახელმწიფოებშიც.<sup>263</sup>

როგორც უკვე აღვნიშნე თავად სიტყვა Pure ინგლისურიდან ითარგმნება როგორც წმინდა ან სუფთა. ნაშრომზე მუშაობისას არჩევანი სწორედ რომ „წმინდაზე“ გავაკეთე. თავისი შინაარსიდან გამომდინარე Pure Economic Loss-ს ბრიტანელები და სხვა უცხოელი იურისტები უწოდებენ ე. წ. „Pocket Loss“,<sup>264</sup> რაც ქართულად როგორც „ჯიბის ზიანი“ შეიძლება ითარგმნოს, შესაბამისად, საუბარია ზიანზე, რომელიც პირს მიადგა მხოლოდ ეკონომიკურად/ფინანსურად. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სიტყვა „წმინდა“ უფრო მეტად უსვამს ხაზს, რომ სხვა სახის ზიანი სახეზე არ გვაქს და მიუხედავად დაზარალებულის რაიმე სიკეთის ხელყოფისა, წმინდა ფინანსური დანაკლისი მაინც სახეზე გვაქს.

სიტყვა „წმინდა“ უფრო ახლოსაა ქართული სამართლებრივი ლიტერატურისა თუ ნორმატიული აქტებისათვის. საქართველოს საგადასახადო კოდექსი მოგებას, რომელიც შესაძლებელია განაწილდეს დივიდენდის სახით, უწოდებს „წმინდა მოგებას“, ტერმინი „წმინდა“ არის აგრეთვე გამოყენებული აქტივებთან მიმართებით.<sup>265</sup> შესაბამისად, სიტყვა „წმინდა“ ქართველი კანონმდებლისთვის და

---

<sup>262</sup> შდრ. გ. რუსიაშვილი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4, თბილისი, 2019, 1-9;

<sup>263</sup> P. Benson, The Problem with Pure Economic Loss, 60 S. C. L. REV. 823, 2009, 825

<sup>264</sup> C. Elliott & F. Quinn, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>265</sup> საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს მე-8 მუხლის 34-ე და 43-ე პუნქტები;

სამართლის სფეროში მოღვაწე პირებისათვის მეტად ახლოა, როდესაც საუბარია ეკონომიკურ საკითხებზე, რომელზეც შემდეგ აზრებში ვისაუბრებ.

სიტყვის Economic, ლოგიკური თარგმანია ეკონომიკური, თუმცა, ქართულ სამეცნიერო ნაშრომებსა თუ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ სიტყვას „ქონებრივი“. მათ შორის ჩემ მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას აღნიშნულ დანაკლისს, როგორც სუფთა ქონებრივ ზიანს ისე მოვიხსენიებდი. საბოლოო ჯამში მინდა ხაზი გავუსვა, რომ სიტყვა „ქონებრივი“ ნაკლებად გადმოსცემს იმ წმინდა ფინანსური ზიანის შინაარსს და თითქოს მეტად უკავშირდება რაიმე ქონების, მოძრავი ან უძრავი ნივთის განადგურებიდან წარმოშობილ ზიანს, ამიტომ მიზანშეწონილად და ლოგიკურად მიმაჩნია, რომ გამოვიყენოთ სიტყვა „ეკონომიკური“.

მიუახლოვდით ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვას ამ ტერმინიდან, რომელიც არის Loss. აღნიშნული სიტყვა მომდინარეობს ინგლისური სიტყვა Lost-დან რაც დაკარგვას ნიშნავს. თავად Loss კი დანაკლისს ნიშნავს. პირდაპირი თარგმნის შემთხვევაში უნდა გამოიყენებინა ტერმინი წმინდა ეკონომიკური დანაკლისი, თუმცა, შევეცდები ავხსნა ჩემ მიერ გამოყენებული „ზიანის“ უპირატესობა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დანაკლისი არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაკლებობა. დანაკლისი ასევე ნახსენებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლში. თითოეულ შემთხვევაში დანაკლისი გამოიყენება ისეთ შემთხვევასთან მიმართებით, როდესაც რაიმე მატერიალური სიკეთე არსებობდა და განადგურდა ან დაზიანდა. წმინდა ეკონომიკური ზიანის დროს კი სახეზე არ უნდა გვქონდეს რაიმე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. სსკ-ის 411-ე მუხლის სწორედ სიტყვა დანაკლისით გამიჯნავს ერთმანეთისაგან მიუღებელ შემოსავალსა და უკვე დამდგარ ზიანს.<sup>266</sup> აქვე მნიშვნელოვანია, რომ სამწუხაროდ თანამედროვე რეალობაში წმინდა ეკონომიკურ ზიანს ქართველი მოსამართლეები სხვაგვარად განმარტავენ და მას ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დანაკლისად მოიხსენიებენ. მიმაჩნია, რომ

<sup>266</sup> ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 411;

იმისათვის რომ ცალსახად Pure Economic Loss-ის იდენტიფიცირება მოხდეს როგორც დელიქტიდან წარმოშობილი ზიანი, უმჯობესია რომ გამოყენებულ იქნას სიტყვა „ზიანი“ და არა - „დანაკლისი“.<sup>267</sup>

მართალია ტერმინოლოგიურ განსხვავებას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა თავად თემის შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში შესწავლილი არ არის, შესაბამისად აღნიშნული სადოქტორო ნაშრომით მიწევს მისი განმარტება და სამომავლოდ შესაფერისი სახელწოდების მისადაგება. აღნიშნული პრობლემის წინაშე იდგნენ ევროპული სახელმწიფოები მე-20 საუკუნეში, როდესაც პირველად უწევდათ შეხება Pure Economic Loss-ის განმარტებასთან.

## 2. წმინდა ეკონომიკური ზიანის ცნება

იმისათვის, რომ წმინდა ეკონომიკურ ზიანზე სრულყოფილად ვისაუბროთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ თავად ზიანის ცნება და თუ რა სახის დანაკლისად გვევლინება წმინდა ეკონომიკური ზიანი. როგორც უკვე ვთქვით თავად ტერმინი ზიანი არის ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის დამდგარი დანაკლისი, რაც თავის მხრივ მოიაზრებს მისი სიკეთის ხელყოფას, განადგურებას ან დამცირებას.<sup>268</sup> მნიშვნელოვანია, რომ თავად ზიანი ადგებოდეს პირისათვის ღირებულ და მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს. სამწუხაროდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ გვაძლევს ზიანის ცნების ერთიან განმარტებას, თუმცა აღნიშნული

---

<sup>267</sup> C. Witting, Distinguishing between property damage and pure economic loss in negligence: a personality thesis, vol. 21, 2001, მუხ. 483;

<sup>268</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., 378;



დანაკლისი სრულად არის შევსებული სასამართლო გადაწყვეტილებებსა<sup>269</sup> და სამეცნიერო ნაშრომებში მსჯელობით.<sup>270</sup>

ზიანის დადგენისას მოსამართლე აფასებს, არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფაქტს, არამედ საკითხებს თუ რამდენად შეუწყო თავად დაზარალებულმა ამ შედეგის დადგომას ხელი, სცადა თუ არა მისი თავიდან არიდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზარალებული მიუთითებს ზიანზე, რომლის ანაზღაურებაც მას იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს, ვიდრე ის ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებამდე იყო. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია, როდესაც პირი ითხოვს მიუღებელ შემოსავალს და მიუთითებს აბსტრაქტულ დანაკლისზე, რომლის მიღების შესაძლებლობა ზიანის ფაქტი რომც არ დამდგარიყო წარმოუდგენელი იყო.<sup>271</sup> თავად ზიანის ანაზღაურება დამყარებულია დარღვეული სამართლიანობის აღდგენის პრინციპზე, როდესაც დაზარალებულს უნდა აღუდგეს პირვანდელი ან ის მდგომარეობა, რომელიც მას ექნებოდა ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებას დანაკლისი რომ არ გამოეწვია, შესაბამისად აღდგება ბალანსი და დაზარალებულის დარღვეული სამართლიანობა.<sup>272</sup>

ქართული კანონმდებლობა იცნობს ზიანის რამდენიმე სახეს. ზიანი შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ასევე, ზიანი შესაძლოა გვეკლინებოდეს რეალური დანაკლისის ან მიუღებელი შემოსავლის სახით. სწორედ არაპირდაპირი ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს ხშირად აიგივებენ წმინდა ეკონომიკურ ზიანთან, რაც ცალსახად არასწორია. მიზანი შესაძლოა ერთია, თუმცა თავად დანაკლისის, შესაბამისად, ზიანის სახე ცალსახად განსხვავებულია.<sup>273</sup> არსებობს სახელშეკრულებო

---

<sup>269</sup> მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-507-481-2011, 2012 წლის 30 იანვარი და საქმეზე № ას-155-145-2017, 2018 წლის 26 ოქტომბერი;

<sup>270</sup> მაგ. იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ქ. თბილისი, 2001 წ., 366;

<sup>271</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 336.

<sup>272</sup> М. А. Егорова, В. Г. Крылов, Романов А. К, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 80.

<sup>273</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 652;

ან არასახელშეკრულებო ზიანი. სამოქალაქო სამართალში ჯერ კიდევ ძველი რომიდან ვხვდებით ვალდებულების წარმოშობის ორგვაროვან სახეს. ერთი მხრივ ვალდებულება შეიძლება მომდინარეობდეს მხარეთა შორის შეთანხმებიდან და მეორე მხრივ არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან.<sup>274</sup> თუ პირი დაარღვევს მეორე მხარესთან გაფორმებულ გარიგებას, მას ზიანის ანაზღაურება მოუწევს სწორედ ამ შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე, თუმცა, თუ აღნიშნული პირი მიაყენებს ზიანს მეორე პირს არასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან, საქმე გვაქვს დელიქტთან<sup>275</sup> და სწორედ დელიქტური სამართლის მიხედვით მოუწევს დამზარალებელს ზიანის ანაზღაურება.<sup>276</sup>

სამართალში ასევე ვხვდებით მატერიალურ, იგივე ქონებრივ და არამატერიალურ, იგივე არაქონებრივ ზიანს. არაქონებრივ ზიანს სხვაგვარად მორალურ ზიანს უწოდებენ, რაც პირის დისკომფორტის, ტანჯვისა და სულიერი ტკივილის სახით გამოიხატება.<sup>277</sup> რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, აღნიშნულის გამიჯვნა არაქონებრივი ზიანისაგან ხდება იმ კრიტერიუმის მეშვეობით, თუ რამდენად შესაძლებელია ზიანის ფინანსურად დათვლა და შეფასება.<sup>278</sup> აქვე მნიშვნელოვანია, რომ იმისათვის რომ სახეზე გვქონდეს ქონებრივი ანუ მატერიალური ზიანი, ნივთი, ან ობიექტი რომელიც დაზიანდა უნდა არსებობდეს სამოქალაქო ბრუნვაში.

სწორედ ქონებრივ, შესაბამისად მატერიალურ ზიანზე გავამახვილებ მეტად ყურადღებას, რადგან იგი ყველაზე მჭიდრო კავშირში არის წმინდა ეკონომიკურ ზიანთან. სამწუხაროა, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ერთიანი დეფინიცია არ არსებობს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც.<sup>279</sup> იურისტები

---

<sup>274</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 3;

<sup>275</sup> შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ქ. თბილისი, 2001 წ., მუხ. 992, 379;

<sup>276</sup> გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 650;

<sup>277</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 346;

<sup>278</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 12;

<sup>279</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 4.

სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სამეცნიერო ნაშრომებში ცდილობენ განმარტონ ეს მეტად საინტერესო, თუმცა, დღემდე შეუსწავლელი ზიანის სახე. იმ სახელმწიფოებში, სადაც წმინდა ეკონომიკური ზიანიდან გამოწვეული დავები საკმაოდ ხშირია, მოსამართლეები და ადვოკატები აღნიშნული დანაკლისის განმარტებისას იყენებენ უკუდათქმის პრინციპს, რაც შემდეგნაირად ჟღერს: წმინდა ეკონომიკური ზიანი არის დანაკლისი, რომელიც დაზარალებულს მიადგა მისი ქონების, საკუთრების ან/და პერსონალური უფლებების შეზღუდვის გარეშე. სწორედ ამიტომ გამოიყენება სიტყვა წმინდა (Pure), რაც მის მხოლოდ ეკონომიკურ და არა სხვა მატერიალურ თუ არა მატერიალურ ზიანზე მიუთითებს.<sup>280</sup> წმინდა ეკონომიკურია ზიანის დანაკლისი, რომელიც მიადგა დაზარალებულის „ჯიბეს“,<sup>281</sup> თუმცა, არ არის გამოწვეული მისი ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფით.<sup>282</sup>

როგორც უკვე ვახსენე ხშირად წმინდა ეკონომიკური ზიანის გაიგივება ხდება არაპირდაპირ ზიანთან, ან მიუღებელ შემოსავალთან. მოცემულ ნაშრომში შევეცდები ვიმსჯელო მათ მსგავსებაზე და დავასაბუთო, თუ რამდენად განსხვავებულ ბუნებას ატარებს ეს ორი დანაკლისი წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით.

### **3. ქონების განადგურებით გამოწვეული დანაკლისისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევა**

ქონების განადგურებით/დაზიანებით, ანუ საკუთრების ხელყოფით გამოწვეულ დანაკლისსა და წმინდა ეკონომიკურ ზიანს ერთი შეხედვით ბევრი საერთო აქვთ, რადგან ორივე შემთხვევაში ზიანი ადგება პირის მატერიალურ, ფინანსურ

---

<sup>280</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5.

<sup>281</sup> *C. Elliott & F. Quinn*, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>282</sup> *N. J. McBride & R. Bagshaw*, Tort Law, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 152;

მდგომარეობას. თუმცა, ორივე ზიანის სიღრმისეული შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ შორის სხვაობა ერთმნიშვნელოვნად ცალსახაა.<sup>283</sup>

წმინდა ეკონომიკური ზიანის დადგომისას პირის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო საკუთრების ხელყოფით დამდგარი ზიანის შემთხვევაში კი ცალსახად ხდება აღნიშნული პირის ქონების განადგურება ან დაზიანება, რაც მის მესაკუთრეს ხელს უშლის სრულად ისარგებლოს მისი საკუთრებით.<sup>284</sup>

#### 4. მიუღებელი შემოსავლისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევით გამოწვეული სამართლებრივი პრობლემა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამწუხაროდ ერთმანეთთან გაიგივებულია წმინდა ეკონომიკური ზიანი და მიუღებელი შემოსავალი. სტატიაში ნახსენებია Pure Economic Loss და მის ქართულ შესატყვისად მიუღებელი შემოსავალი არის მოყვანილი.<sup>285</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მაგალითი, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალება შეჯახების შედეგად კლავს მსხვილფეხა პირუტყვს. ცალსახაა, რომ თავად ამ ცხოველის დაღუპვა წარმოადგენს მესაკუთრის საკუთრების უფლების ხელყოფას და სახეზე გვაქვს მატერიალური პირდაპირი დანაკლისი, თუმცა ხბოს გარდაცვალება, რომელიც ძროხას უნდა ეშვა 2 თვეში გვევლინება არა წმინდა ეკონომიკურ ზიანად, არამედ წარმოადგენს სწორედ მიუღებელი შემოსავლის კლასიკურ მაგალითს. იმისათვის რომ აღნიშნულ შემთხვევაში შეხება გვქონდეს წმინდა ეკონომიკურ ზიანთან, ჰიპოთეტური შემთხვევა გარკვეულწილად უნდა შევცვალოთ. პირი ამზადებს რძის პროდუქტებს, ყიდულობს ძროხის მეპატრონისაგან

---

<sup>283</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp. 91-93;

<sup>284</sup> ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 628;

<sup>285</sup> შდრ. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 653;

რძეს და მათი გადამუშავებით ამზადებს სხვადასხვა პროდუქტს. შესაბამისად, ამ პროდუქციის გაყიდვით იღებს გარკვეულ შემოსავალს. თუ ანალოგიურად წინა კაზუსისა მოხდება ავტოსაგზაო შემთხვევა და ძროხა დაიღუპება, აღნიშნულ პიროვნებას მოუწევს სხვა პირისგან შეიძინოს რძე, რათა განაგრძოს საქმიანობა, თუ იგი რძეს ვერ შეიძენს ან იყიდის გაძვირებულად, სწორედ ეს დანაკლისი ჩაითვლება წმინდა ეკონომიკურ ზიანად, რადგან ძროხა მისი საკუთრება არ იყო და შესაბამისად მისი ქონება ან სხვა სამართლებრივი სიკეთე არ დაზიანებულა, არამედ მხოლოდ მის „ჯიბეს“,<sup>286</sup> შესაბამისად, ეკონომიკურ მდგომარეობას მიადგა ზიანი, რომელიც არ დადგებოდა, ავტომობილის მძღოლს კეთილსინდისიერად და გულისხმიერად რომ ემოქმედა.<sup>287</sup>

ქართული სასამართლო პრაქტიკა სამწუხაროდ არ იცნობს წმინდა ეკონომიკურ ზიანს. მასზე მსჯელობა სწორედ რომ მიუღებელი შემოსავლის ჭრილში მიმდინარეობს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინგლისურად ნახსენებია სიტყვები Pure Economic Loss.<sup>288</sup> საკასაციო სასამართლო თავის მსჯელობებში განმარტავს, რომ მიუღებელ შემოსავალსა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს უწყვეტი და პირდაპირი ჯაჭვი/კავშირი. მოსამართლე მიუთითებს, რომ თუ იარსებებს ეჭვი, რომ აღნიშნული შედეგი მხოლოდ ირიბად არის დაკავშირებული ზიანის მიმყენებლის ქმედებასთან, მაშინ წმინდა ეკონომიკური ზიანის ან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება შეუძლებელი ხდება.<sup>289</sup>

---

<sup>286</sup> C. Elliott & F. Quinn, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

<sup>287</sup> გ. ცერცვაძე, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 653-654შ;

<sup>288</sup> ქართული სასამართლო აღნიშნული სიტყვებით მოიაზრებს არა დელიქტიდან წარმოშობილ წმინდა ეკონომიკურ ზიანს, არამედ სახელმწიფო ურთიერთობებში მხარეთა შორის წარმოშობილ მიუღებელ შემოსავალს. დამატებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-910-876-2016, 2016 წლის 30 ნოემბერი, საქმეზე № ას-153-2019, 2019 წლის 8 მაისი და სხვ.;

<sup>289</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-459-438-2015;

## 5. არაპირდაპირი ქონებრივი დანაკლისისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის შედარება

არაპირდაპირი ქონებრივი ზიანი – consequential economic loss, ხშირად მოიხსენიება, როგორც წმინდა ეკონომიკური ზიანი, რაც ცალსახად არასწორია, რადგან არაპირდაპირი ქონებრივი ზიანის დროს სახეზე გვაქვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფიდან გამოწვეული დანაკლისი, რაც წმინდა ეკონომიკური ზიანის შემთხვევაში ასე არ არის.<sup>290</sup>

წმინდა ეკონომიკური ზიანი საკმაოდ გავს მიუღებელ შემოსავალს და არაპირდაპირ ზიანს. თუმცა, უცხო ქვეყნის სამართალიც ცალსახად აღნიშნავს სხვაობას ამ ორ ზიანს შორის. შვედეთის კანონმდებელი განმარტავს, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი, არაპირდაპირი ზიანისგან განსხვავებით, არ შეიძლება მომდინარეობდეს ქონების ან ჯანმრთელობის დაზიანებიდან.<sup>291</sup> მაგალითად თუ ოჯახის მარჩენალმა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დაკარგა შრომისუნარიანობა, სახეზე გვაქვს როგორც პირდაპირი ზიანი, მისი მკურნალობის ხარჯების სახით, ასევე არაპირდაპირი ზიანი, შემოსავალის დაკარგვის გამო. თუმცა სახეზე არც ერთ შემთხვევაში არ იქნება წმინდა ეკონომიკური ზიანი, რადგან დანაკლისი, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოწვეულია, სწორედ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად. სწორედ ამიტომ, უცხო ქვეყნის სასამართლომ არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანი დაარქვა იმ დანაკლისს, რომელიც მომდინარეობს პირის სიცოცხლის მოსპობით, სხეულის ან ქონების დაზიანებით.<sup>292</sup>

---

<sup>290</sup> იხ. *გ. ცერცვაძე*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 652;

<sup>291</sup> შვედეთის სამეფოს სამართლის მიდგომასთან დაკავშირებით იხ. *M. Bussani & V. Palmer*, The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5-6.

<sup>292</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 4.

## 6. წმინდა ეკონომიკური ზიანის სახეები

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით წმინდა ეკონომიკური ზიანის სახეების ჩამონათვალს. ანალოგიურია აგრეთვე უცხო ქვეყნების სასამართლოთა მიდგომაც, წმინდა ეკონომიკური ზიანის მაგალითებია: 1. ზიანი, რომელიც მიადგა ოჯახის წევრებს, მარჩენალის გარდაცვალების შედეგად, 2. ზიანის მიმყენებელი პირის მიერ მესამე პირის ენერჯის მიმწოდებელი ხაზის გადაჭრით გამოწვეული ზიანი, 3. ზღვისპირა ტურისტულ ლოკაციაზე არსებული სასტუმროსათვის მიმდგარი ზიანი, რომელიც გამოიწვია ნავთობის ბურღის ზღვაში დაზიანებამ და შესაბამისად წყლის დაბინძურების შედეგად ტურისტების შემცირებამ,<sup>293</sup> 4. დანაკლისი, რომელიც მიადგა საფეხბურთო კლუბს, მისი წამყვანი მოთამაშის ავტოსაგზაო შემთხვევაში გარდაცვალების, დაზიანების შედეგად მეორე ლიგაში გადასვლისას აქციების ფასის ვარდნის გამო,<sup>294</sup> 5. ზიანი, რომელიც მიადგა ბიზნესმენს, აუდიტორთა მიერ არასწორი დასკვნის გამოქვეყნების შედეგად მისი კომპანიის აქციების ვარდნის გამო.<sup>295</sup>

სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს წმინდა ეკონომიკური ზიანის უამრავი მაგალითი, თუმცა, ყველა შემთხვევაში მათი საერთო ნიშანი არის ის, რომ ზიანი გამოწვეულია არა ქონების განადგურებით ან საკუთრების სხვაგვარი ხელყოფით, არამედ დაზარალებულს დანაკლისი ადგება მხოლოდ ფინანსური სახით, რაიმე ნივთის განადგურებისა ან სხეულის დაზიანების გარეშე.

---

<sup>293</sup> Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 214.

<sup>294</sup> M. Bussani & V. Palmer (eds.), The case studies, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241.

<sup>295</sup> იხ. კანადის უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hercules Managements Ltd. v. Ernst & Young*, [1997] 2 S.C.R. 165, № 24882. ხელმისაწვდომია - <https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/1511/index.do>. (22/01/2022)

## VII. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით

წმინდა ეკონომიკურის ზიანისადმი მიდგომა განსხვავდება არა მხოლოდ სამართლებრივი სისტემების მიხედვით, არამედ თავად ამ სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლებს შორის. ასე მაგალითისთვის გერმანული და ფრანგული მიდგომები ცალსახად განსხვავდება წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ და მათი ეს მიდგომა დელიქტური სამართლისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებამ განაპირობა. თუმცა, მიუხედავად სამართლებრივ სისტემებს შორის სხვაობისა, იურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან თანხმდებიან, რომ პირის მიერ განზრახ გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნებისმიერ შემთხვევაში.<sup>296</sup> რაც შეეხება გაუფრთხილებლობით გამოწვეულ წმინდა ეკონომიკურ ზიანს, აქ სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობასა და სასამართლო სისტემას განსხვავებული პოზიციები უკავიათ.

სწორედ წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით უცხო ქვეყნების მიდგომების შედარება და სამართლებრივი ანალიზი წარმოადგენს აღნიშნული ნაშრომის მიზანს. მეცნიერები გამოყოფენ 3 ძირითად ჯგუფს, რომელთა მიდგომებიც განსხვავდება წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებისა და აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.<sup>297</sup> 1. პირველ ჯგუფს განეკუთვნება პრეცედენტული სამართლის სახელმწიფოები (ანგლო-ამერიკული სამართლის სახელმწიფოები), ისეთი როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ნიდერლანდები და შოტლანდია. აღნიშნული სახელმწიფოების სამართალზე ცალსახად იგრძნობა

---

<sup>296</sup> *J. P. B. De Mot*, Pure Economic Loss, *Encyclopedia of Law and Economics*, second edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Michael Faure (ed.), Edward Elgar, Cheltenham/Northampton, 2009, 209.

<sup>297</sup> არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხდება ქვეყნების არა სამ ჯგუფად, არამედ ოთხ ჯგუფად დაყოფა, სადაც ავსტრიის, შვეიცარიის და იტალიის სამართლის მიდგომას ფრანგული და გერმანული სამართლის მიდგომების შუალედურ რგოლად გვევლინება, აღნიშნულ ნაშრომში სწორედ ამ მიდგომას ვემხრობი, დამატებით იხ. *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7-16.



ინგლისური სამართლის ზეგავლენა. მოცემულ ჯგუფს უწოდებენ პრაგმატული მიდგომის ჯგუფს, 2. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ჩვენი სამოქალაქო სამართლისთვის მეტად საინტერესო ქვეყნები, ისეთი როგორცაა გერმანია, შვედეთი, პორტუგალია, ფინეთი და სხვა. აღნიშნული ჯგუფი, მეტად შედგება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისაგან. აღნიშნული ჯგუფი ცნობილია, როგორც კონსერვატიული მიდგომის მქონე, 3. მესამე ჯგუფს განეკუთვნება XVIII-XIX საუკუნის ევროპული რევოლუციების შედეგად გარდაქმნილი ან ახლად შექმნილი სახელმწიფოები. რომლებიც რევოლუციური, თანასწორობის პრინციპზე დამყარებული სამართლით გამოირჩევიან. აღნიშნული სახელმწიფოებია საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, ბელგია და იტალია, მათ ლიბერალური მიდგომის მქონე ჯგუფად მოიხსენიებენ.<sup>298</sup>

ცალსახაა, რომ სამართლის ორ ტრადიციულ ჯგუფად დაყოფა (პრეცედენტული და კონტინენტური ევროპის სამართალი) მოცემულ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან წმინდა ეკონომიკური ზიანისას დამდგარი პასუხისმგებლობის მიმართ, არა მხოლოდ სამართლებრივ სისტემებს შორის, არამედ თავად კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებიც კი ვერ ჯერდებიან ერთიან მიდგომაზე.<sup>299</sup>

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული ჯგუფის მიდგომის მიზეზები და წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები. აღნიშნული საკითხის განხილვის შემდგომ შეგვიძლია შევადაროთ თითოეული მიდგომა ქართული სამართლის მიდგომას და ჩამოვაცალიბოთ მოსაზრება, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება საქართველო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ თავში გადმოცემული მსჯელობების ნაწილი ჩემ მიერ გამოქვეყნებულია სტატიის სახით ქართულ-გერმანულ ჟურნალში.<sup>300</sup>

---

<sup>298</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123-125.*

<sup>299</sup> *J. P. B. De Mot, Pure Economic Loss, Encyclopedia of Law and Economics, second edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Michael Faure, (ed.), Edward Elgar, Cheltenham/Northampton, 2009, 201.*

<sup>300</sup> *ი. სვანაძე, წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2022, გვ. 39-48;*

## 1. პრაგმატული მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ

პრეცედენტული სამართლის წარმომადგენელმა – ინგლისმა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების, შოტლანდიის, ნიდერლანდების და სხვა სახელმწიფოების სამართლის მიდგომებზე. აღნიშნული სახელმწიფოები გამოირჩევიან პრაგმატული მიდგომით წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ, შესაბამისად მისი ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისას მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევას აფასებს, არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ - სოციალურ ჭრილშიც.

აღნიშნულ სახელმწიფოებში არ არსებობს რაიმე დამდგენი ნორმა, რომელიც დაარეგულირებს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, ან სხვა დელიქტების საკითხებს. მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს „Duty of Care“-ის პრინციპიდან გამომდინარე, შესაბამისად რამდენად შეეძლო ზიანის მიმყენებელ პირს რომ ეზრუნა დაზარალებულის დანაკლისის თავიდან ასარიდებლად.<sup>301</sup>

### 1. 1. ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიდგომა - ბალანსი სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებს შორის

ამერიკის შეერთებული შტატების სამართალზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ბრიტანულმა იმპერიალიზმმა. დღესდღეისობით ამერიკის შეერთებულ შტატებში წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ ერთიანი მიდგომა არ არსებობს. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია პრეცედენტული სამართლის არსებობით ამ სახელმწიფოში და მეორე მხრივ ფედერალურ – ცენტრალურ დონეზე ერთიანი საკანონმდებლო მიდგომის არ არსებობით. თითოეული შტატი უფლებამოსილია მისი კომპეტენციის ფარგლებში

---

<sup>301</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 124;*

საკუთარი შეხედულებით დაარეგულიროს არამხოლოდ დელიქტური, არამედ სხვა სამართლებრივი საკითხებიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთიანი დელიქტური მიდგომა არსებობს მხოლოდ სანაოსნო ზიანთან მიმართებით, რომელიც საზღვაო გადაზიდვებისას ან ტრანსპორტირებისას შესაძლოა დადგეს.<sup>302</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოსამართლე აწესებს ზრუნვის ვალდებულების საკმაოდ მაღალ სტანდარტს, შესაბამისად დაზარალებულს უწევს ამტკიცოს, რომ ზიანის მიმყენებელ პირს მის მიმართ ჰქონდა აღნიშნული ზრუნვის ვალდებულება (Duty of Care).<sup>303</sup> ამერიკელი იურისტები სასამართლო პროცესებზე და სამეცნიერო ნაშრომებში განმარტავენ, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი წარმოადგენს ბუნდოვანი სახის დანაკლისს, რომლის ანაზღაურების შესაძლებლობაც გამოიწვევს ეკონომიკური სექტორისა და სასამართლო სისტემის ჩამოშლას. მათი განმარტებით პლანეტის ერთ ნაწილში ნებისმიერი პირის ქმედებას შესაძლოა მოჰყვეს გაუთვალისწინებელი წმინდა ეკონომიკური ზიანი სხვა სახელმწიფოში.<sup>304</sup>

ცალსახაა, რომ ამერიკელი იურისტების ეს მიდგომა მეტად განპირობებულია კაპიტალისტური დიდი საწარმოების ინტერესიდან, შესაბამისად თავად ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კალიფორნიის სასამართლომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პირველად დაუშვა პრეცედენტი და იმსჯელა გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მაგალითი გამოდგა მთლი ქვეყნისათვის და მოგვიანებით სხვა შტატების სასამართლოებმაც დაიწყეს მსჯელობა და მსგავსი სარჩელების დაკმაყოფილება.<sup>305</sup>

---

<sup>302</sup> *B. Herbert*, Civil Liability for Pure Economic Loss Under American Tort Law, American Journal of Comparative Law Supplement 46, 1998, 111;

<sup>303</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 218-219.

<sup>304</sup> *ob. P. Bowal*, Pure Economic Loss Claims, LawNow, vol. 25, no. 5, 2001, 30

<sup>305</sup> *P. Gauch & J. Sweet*, Deliktshaftung für reinen Vermögensschaden, Festschrift Max Keller, Zürich, 1989, 12.

## 1. 2. ინგლისური სამართლის მიდგომა - მხარეთა შორის ზრუნვის ვალდებულების არსებობა

ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, ინგლისური სასამართლო მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე მიიჩნევდა, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, თუ სახეზე გვაქვს ზიანის მიმყენებელი პირის გაუფრთხილებელი ქმედება.<sup>306</sup> აღნიშნული მიდგომა პირველად შეიცვალა 1964 წელს სასამართლოს მიერ პრეცედენტული გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც არა მხოლოდ ინგლისური სამართლისათვის, არამედ მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან და ყინულმჭრელ გადაწყვეტილებად იქცა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების კრილში. სწორედ Hedley Byrne - ის საქმე<sup>307</sup> წარმოადგენს პირველ პრეცედენტულ საქმეს. მართალია აღნიშნული სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა, ამ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ პირველად იმსჯელა მხარეთა შორის გულისხმიერების ვალდებულებაზე და წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე.<sup>308</sup>

აღნიშნული საქმის განხილვისას სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის მიმყენებელი პირი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, თუმცა, მისთვის შესაძლებელი იქნებოდა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, თუ მხარეებს შორის იარსებებდა განსაკუთრებული ურთიერთობები, რაც წარმოშობდა მათ შორის გულისხმიერად მოპყრობისა და ზრუნვის ვალდებულებას, რომელიც ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლის მხრიდან უგულებელყოფილი იქნებოდა.<sup>309</sup> აღნიშნულ დავაზე სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებული ზრუნვის ვალდებულება, რომელიც წარმოშობილი იყო მათ შორის ადრე არსებული ბიზნეს

<sup>306</sup> N. J. McBride & R. Bagshaw, Tort Law, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 152

<sup>307</sup> იხ. გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1963 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hedley Byrne & Company Limited v. Heller & Partners Limited*, [1963] UKHL 4, ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1963/4.html>. (25/01/2022)

<sup>308</sup> Kwon, Y., Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 213;

<sup>309</sup> M. MacGrath, The Recovery of Pure Economic Loss in Negligence - An Emerging Dichotomy, Oxford Journal of Legal Studies 5, Oxford, 1985, 350.

ურთიერთობიდან არ აკმაყოფილებდა მაღალ სტანდარტებს და სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აუდიტორთა კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის შედეგად დამდგარი შედეგი ჩაითვლებოდა წმინდა ეკონომიკურ ზიანად, თუ მხარეთა შორის იარსებებდა ძლიერი ზრუნვის ვალდებულება, რაც თავის მხრივ ზიანის მიმყენებელი პირის იმ ფაქტის ცოდნაში გამოიხატება, რომ დაზარალებული ენდობოდა მის დასკვნას და ამის შედეგად მიიღებდა გადაწყვეტილებას.<sup>310</sup>

ინგლისში მოსამართლეები არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავენ<sup>311</sup>, რომ ზიანის განჭვრეტადობის ფაქტი არ მიუთითებს ავტომატურად ზრუნვის ვალდებულების არსებობაზე,<sup>312</sup> მხარეთა შორის უნდა არსებობდეს გარკვეული ჩამოყალიბებული ურთიერთობა. ინგლისური სასამართლოს ამგვარი მიდგომა, საკმაოდ რთულად, თუმცა შესაძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ ინგლისის სასამართლო ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე მივიდა Spartan Steel-ის საქმეზე (ე. წ. ელექტროენერჯის სადენის საქმე).<sup>313</sup> სწორედ აღნიშნული საქმე წარმოადგენს იმ პრეცედენტულ საქმეს, რომელსაც სამეცნიერო ნაშრომებსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში დღემდე მოიხსენიებენ წმინდა ეკონომიკური ზიანის განმარტებისათვის. დაზარალებულ პირს მოცემულ შემთხვევაში მიაღდა 3 სახის ზიანი. საქმის ფაბულიდან ირკვევა, რომ კერძო კომპანია აწარმოებდა საგზაო სამუშაოებს, რა დროსაც დააზიანა მაღალი ძაბვის

---

<sup>310</sup> M. Bussani & V. Palmer (eds.), *The case studies, Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 277.

<sup>311</sup> იხ. გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1932 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Donoghue v. Stevenson*, [1932] UKHL 100. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1932/100.html>. (28/04/2022)

<sup>312</sup> V. Harpwood, *PRINCIPLES OF TORT LAW* fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 31;

<sup>313</sup> იხ. ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1972 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/ew/cases/EWCA/1972/3.html>. (25/04/2022)

გადამცემი სადენი, რომელიც მიწის ქვეშ იყო მოთავსებული. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს Spartan Steel-ს შეუწყდა ელექტროენერჯის მიწოდება 14 საათის განმავლობაში, რა დროსაც მეტალის გადადნობა შეწყდა, დაზიანდა ჩამოსხმის პროცესში არსებული მეტალის ნაკეთობები და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კომპანია ვერ ახერხებდა წარმოების განახლებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით პირველად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან ორი ეკონომიკური ზიანი: 1. ნივთის დაზიანებით გამოწვეული ზიანი და 2. 14 საათის განმავლობაში წარმოების აღდგენის შეუძლებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანი.<sup>314</sup>

სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად განმარტავენ რომ თავად გადადნობის პროცესის შეჩერებისას დაზიანებული ნივთები კომპანიისთვის წარმოადგენს 2 სახის ცალკეულ ზიანს. 1. თავად მასალის ღირებულება, რომელიც უვარგისი გახდა გადადნობის პროცესის შეჩერების გამო და 2. ამ მასალისგან დაუმზადებელი ნივთების გაუსხვისებლობით მიუღებელი შემოსავალი.<sup>315</sup>

თავად წმინდა ეკონომიკურ ზიანს მოცემულ შემთხვევაში კი წარმოადგენს 14 საათის განმავლობაში კომპანიის პარალიზება, რომელიც არ იყო გამოწვეული მისი საკუთრების ხელყოფით.<sup>316</sup> სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და პირველ ორ ზიანთან მიმართებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, თუმცა, წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით განმარტა, რომ ზიანის მიმყენებელ პირს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცოდნა, რომ მისი ქმედება აღნიშნულ ზიანს გამოიწვევდა, შესაბამისად ინგლისურმა სასამართლომ იხელმძღვანელა ზრუნვის ვალდებულების მაღალი სტანდარტით, დაადგინა რომ არ შეიძლება არსებულიყო მსგავსი ვალდებულება და აღნიშნულ ნაწილში არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაშიც არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული გადაწყვეტილება

---

<sup>314</sup> *Dam, C. V.*, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 207;

<sup>315</sup> *C. Elliott & F. Quinn*, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27.

<sup>316</sup> *N. J. McBride & R. Bagshaw*, Tort Law, sixth edition, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 81

პრეცედენტულია, რადგან პირველად გამიჯნა სასამართლომ სამი ტიპის ზიანი. გამიჯნა ერთმანეთისაგან აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლისა და წმინდა ეკონომიკური ზიანის შემთხვევები.

აღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ 1980–იან წლებში ინგლისსა და პრეცედენტული სამართლის სხვა სახელმწიფოებში, ფართოდ შეინიშნებოდა წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ ლიბერალური მიდგომის მცდელობები. ცხადია, რომ მეცნიერებსა და მოსამართლეებს არასოდეს ჰქონიათ მოლოდინი, რომ ინგლისური მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ მნიშვნელოვნად დაემსგავსებოდა ფრანგულ და სხვა ლიბერალური მიდგომის მქონე სახელმწიფოების შეხედულებებს.<sup>317</sup>

## 2. კონსერვატიული მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ

კონტინენტური ევროპის სამართლისათვის დამახასიათებელია დელიქტური საკითხების ნორმატიული აქტებით ერთიანი მოწესრიგება. კონსერვატიული მიდგომა, როგორც მისი სახელიდანაც ჩანს, უარს არ ამბობს ძველი რომის მიდგომაზე დელიქტების პირდაპირ ჩამოთვლასთან დაკავშირებით. ცხადია აღნიშნული მიდგომის სახელმწიფოებმა ძველი რომის შემდგომ მნიშვნელოვანი განვითარება და ცვლილება განიცადეს, თუმცა, გაცილებით მკაცრად და ამომწურავად უდგებიან საკითხს, ვიდრე ლიბერალური მიდგომის სახელმწიფოები.

ქართული სამართლისათვის კონსერვატიული მიდგომა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ მიდგომით გამოირჩევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. გერმანელები სამოქალაქო კოდექსის მიღებისას იდგნენ დილემის წინაშე, გაჰყოლოდნენ, ფრანგულ მიდგომას დელიქტებთან მიმართებით, თუ აერჩიათ დამოუკიდებელი მიდგომა და ჩამოეთვალათ ის სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაცვასაც თავად კანონმდებელი მიიჩნევს აუცილებლად. გერმანიამ ეს

---

<sup>317</sup> B. S. Markesinis & H. Unberath, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 53;

უკანასკნელი გზა აირჩია და სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში პირდაპირ მიუთითებს იმ სამართლებრივ სიკეთეებზე, რომელთა დაცვაც კანონმდებელს მიზანშეწონილად მიაჩნია.<sup>318</sup> ეს ისეთი აბსოლუტური სიკეთეებია, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, თავისუფლება, ქონება და სხვა უფლებები.<sup>319</sup>

გერმანელი კანონმდებელი ზემოხსენებული ნორმის პირველ ნაწილს ასრულებს შემდეგი სიტყვებით: ein sonstiges Recht. აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით კანონმდებლობის წაკითხვით, ჩნდება შეგრძნება, რომ გერმანული კანონმდებლობა არ კეტავს ჩამონათვალს და შესაძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას,<sup>320</sup> თუმცა, თავად გერმანელი იურისტები განმარტავენ, რომ აღნიშნულ სხვა უფლებებში იგულისხმება ისეთი ზიანი, რომელიც აბსოლუტური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვია, მაგალითად როგორცაა საავტორო უფლებები, პატენტი და სხვა.<sup>321</sup>

გერმანული სამოქალაქო კოდექსი გარკვეულწილად უარს ამბობს წმინდა ეკონომიკური ზიანის არსებობაზე. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი დავები გერმანიაში არ წარმოიშვება. გერმანელი იურისტები მიუთითებენ გარკვეულ საშუალებებზე, რა დროსაც შესაძლებელი ხდება წმინდა ეკონომიკური ზიანიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობაზე მსჯელობა.<sup>322</sup>

---

<sup>318</sup> ი. კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §823, 644, ველი 40.

<sup>319</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7.

<sup>320</sup> Markesinis, B. S., & Unberath H. The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 52;

<sup>321</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 82.

<sup>322</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8;



## 2.1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფი – *ან სხვა უფლება (ein sonstiges Recht)*

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფი სწორედ აღნიშნული სიტყვებით მთავრდება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მიმდინარეობდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემუშავება და დამტკიცება, კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა, გარკვეულწილად გენერალური დელიქტური დათქმა ჩამოეყალიბებინა. წინა საუკუნეში მოღვაწე და თანამედროვე გერმანელ იურისტებს ხშირად ჰქონიათ მცდელობა, რომ სიტყვებში – „ან სხვა უფლება“ სწორედ რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ამოეკითხათ,<sup>323</sup> თუმცა, სასამართლოს მხრიდან აღნიშნულ საკითხზე მიდგომა უცვლელია და განმარტავს, რომ აღნიშნულ სიტყვებში მოიაზრება მხოლოდ სხვა აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ზიანი, ისეთი როგორიცაა პატენტი, საავტორო უფლებები და სხვა.<sup>324</sup>

## 2.2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826–ე პარაგრაფი – *განზრახი „უზნეო“ ქმედება (Sittenwidrigkeit)*

გერმანელი იურისტები მიიჩნევენ, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 826–ე პარაგრაფი, რომლის დროსაც ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირს, თუ იგი განზრახ უზნეოდ და მორალის წინააღმდეგ მოქმედებდა.<sup>325</sup> მიიჩნევა, რომ აღნიშნული პარაგრაფის შექმნის მიზანს, სწორედ 823–ე პარაგრაფით მოუცველი საკითხების დარეგულირება გახდა.<sup>326</sup>

---

<sup>323</sup> იხ. BGH, 1970, II ZR 133/68;

<sup>324</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8;

<sup>325</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 149.

<sup>326</sup> C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83;

აღნიშნული მუხლის გამოყენების ორი წინაპირობაა: 1. უნდა არსებობდეს სწორედ ის უზნეო და ამორალური ქმედებით გამოწვეული ზიანი და 2. ზიანის მიმყენებელი პირის ქმედება უნდა იყოს ჩადენილი განზრახვით.<sup>327</sup>

აღსანიშნავია, რომ გსკ-ის 826-ე პარაგრაფი მოიცავს წმინდა ეკონომიკურ ზიანს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია პირის განზრახ ჩადენილი ამორალური ქმედებით.<sup>328</sup> გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას გერმანული კანონმდებლობა არ ფარავს.<sup>329</sup>

### **2.3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.2 პარაგრაფი – დამცავი დებულება (Protective statutes, Schutzgesetz)**

დამცავი დებულება თავის მხრივ მოიაზრებს, რაიმე საკანონმდებლო აქტის არსებობას, რომლითაც წმინდა ეკონომიკური ზიანის მიყენების და შემდგომ ანაზღაურების საკითხი იქნება დარეგულირებული. მაგალითად თუ პირის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს ატარებს, მაშ შესაძლოა დაეკისროს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება.

მაგალითისთვის, თუ გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია ისეთი საკვანძო ინფრასტრუქტურის პარალიზება, როგორცაა რკინიგზა ან ელექტროსადგურები, მათი მუშაობის შეფერხება, გამოიწვევს არა მხოლოდ პირის

---

<sup>327</sup> ი. კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §826, 649-650, ველი 2-3.

<sup>328</sup> შდრ. გ. რუსიაშვილი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4, თბილისი, 2019, 1-9;

<sup>329</sup> Dam, C. V., European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83 და W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ, შესაძლებელს ხდის, რომ ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისროს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება.<sup>330</sup>

დამცავი დებულება არსებობს, მაშინ, როდესაც რაიმე ნორმა ზღუდავს ქმედებას, თუმცა, აგრეთვე მოიცავს მოქმედების გზამკვლევეს და მისი გათვალისწინება ზიანის მიმყენებელი პირის მხრიდან. გერმანელი იურისტები ასევე მიუთითებენ, რომ დამცავი ნორმა მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხდება სიცოცხლისათვის საშიში პროდუქტის დამზადება, რაც გერმანიის კანონმდებლობით იკრძალება.<sup>331</sup>

## 2. 4. გერმანიის სამოქალაქო კოდექსით დაუფარავი სივრცეების სახელშეკრულებო ურთიერთობებით შევსება

ზემოთ განვიხილეთ შემთხვევები, რომლითაც გერმანელი იურისტები მიიჩნევენ, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი შესაძლოა ანაზღაურდეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. თუმცა, გერმანული სასამართლო დღემდე არ ცვლის მიდგომას და მიიჩნევს, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იყო ზიანის მიმყენებელი პირის გაუფრთხილებელი ქმედებით, ანაზღაურებას დელიქტური სამართლის ნორმების შესაბამისად არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სივრცე ხელშეკრულებით არის შევსებული.<sup>332</sup>

სამოქალაქო სამართალი იძლევა საშუალებას, რომ ის რაც კანონმდებელმა ვერ ან არ დაარეგულირა, თუმცა არც აუკრძალავს, მხარეებმა თავად უნდა მოაწესრიგონ ხელშეკრულებით. შესაბამისად მხარეები თანხმდებიან თუ მესამე პირის მიმართ რა

---

<sup>330</sup> B. S. Markesinis & H. Unberath, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, fourth edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 43;

<sup>331</sup> ი. კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საია-ის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, ქ. თბილისი, 2014, §826, 647, ველი 49.

<sup>332</sup> M. Bussani & Palmer V., *The liability regimes of Europe – their façades and interiors*, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150.

სახის ზიანის ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს სამუშაოების შემსრულებელს, ასეთი დანაკლისის დადგომისას.<sup>333</sup>

სამართლის ისტორია გვაჩვენებს, რომ იმ საკითხებს, რომელსაც არ არეგულირებს სახელმწიფო საკანონმდებლო დონეზე, მოქალაქეები თავად აწესრიგებენ სახელშეკრულებო დონეზე. გერმანელმა მეცნიერებმა ნაშრომებში და მოსამართლეებმა გადაწყვეტილებებში დაიწყეს ე. წ. შტურმი გერმანული დელიქტური სამართლის მიდგომაზე წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია კონტრაქტების კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარტის დაწევა. შესაბამისად დაზარალებულ მხარეს ეძლევა უფლება რომ მოიპოვოს კონტრაქტორსა და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულება და შეამოწმოს რამდენად არიან დაცული გარიგებით მესამე პირები.<sup>334</sup>

გერმანელმა მოსამართლეებმა დაიწყეს ისეთი დავების განხილვა სახელშეკრულებო ჭრილში, რაც სხვა სახელმწიფოებში ცალსახად დელიქტურ დავებს წარმოადგენს. მაგალითად აუდიტორული კომპანიის დასკვნით მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც როგორც ნაშრომში ვახსენე წარმოადგენს პირველ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით გერმანელი მოსამართლეები განიხილავდნენ სახელშეკრულებო დავის ჭრილში.<sup>335</sup>

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ მესამე პირის მიმართ ხელშეკრულებაში იმოქმედებს დამცავი დათქმები, წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება

---

<sup>333</sup> *Van Boom, W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9 - 10*

<sup>334</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150.*

<sup>335</sup> *W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting, eds., Springer, Vienna/New York, 2004, 10.*

შესაძლებელი იქნება მიუხედავად იმ ფაქტისა, განსაზღვრულია თუ არა აღნიშნული საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფში.<sup>336</sup>

გერმანელი ადვოკატები, მეცნიერები და მოსამართლეები, ცდილობდნენ წმინდა ეკონომიკური ზიანისადმი მე-20 საუკუნოვანი მიდგომის შეცვლას სასამართლო პრაქტიკის გზით, თუმცა, საბოლოოდ სწორედ დელიქტური სამართლის მიერ დაურეგულირებელი სივრცეების ხელშეკრულებით შევსებამ გახადა გერმანიაში შესაძლებელი წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება, თუნდაც როდესაც პირი გაუფრთხილებლობით მოქმედებს.

### **3. ლიბერალური მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ**

ლიბერალური მიდგომის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიდგომა. საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობა მიღებულია რევოლუციური და თანასწორობაზე დამყარებული ფილოსოფიური იდეების ეპოქაში, როდესაც კანონმდებლის მიზანი იყო სწორედ რომ დაზარალებულის, როგორც დაჩაგრული მხარის დაცვა.

სწორედ ამიტომ ფრანგული კანონმდებლობით გათვალისწინებულია დელიქტური გენერალური დათქმის უზოგადესი ფორმა, რომელიც განსხვავდება გერმანულ სამოქალაქო კოდექსში დაცული სამართლებრივი სიკეთის ჩამონათვალისგან.<sup>337</sup> ფრანგული დელიქტური გენერალური დათქმის მიხედვით ფაქტობრივად დაზარალებულს ყველა სახის ზიანი უნაზღაურდება, რადგან კანონმა შეასრულოს მისი მიზანი და აღადგინოს მხარეთა შორის დარღვეული სამართლიანობის

---

<sup>336</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe* M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 151.

<sup>337</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123.*

ბალანსი.<sup>338</sup> ანგლო-ამერიკული, გერმანული და სხვა ზემოხსენებული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ფრანგი მოსამართლე წმინდა ეკონომიკური დანაკლისის ანაზღაურებას აკისრებს ზიანის მიმყენებელ პირს მაშინაც კი, თუ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა.

აღნიშნულმა მიდგომამ გამოიწვია საფრანგეთში სასამართლოებისადმი აურაცხელი მიმართვა, თუმცა, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მიუხედავად სასამართლოთა ასეთი დატვირთულობისა, მოსამართლეები მუდმივად მკაფიოდ ამოწმებენ ქმედებასა და დამდგარ დანაკლისს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რაც წმინდა ეკონომიკური ზიანის დადგენისას საკმაოდ რთული პროცესია.<sup>339</sup>

სწორედ ფრანგული ზეგავლენით მიღებულ ბერძნულ სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც თავის მხრივ გამიჯნული არ არის ისეთი სამართლებრივი სიკეთისაგან, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.<sup>340</sup>

ლიბერალური მიდგომის სახელმწიფოებში, დელიქტების მიმართ მსუბუქი მიდგომა იწვევს ისეთი სახელშეკრულებო დარგების განვითარებას, როგორიცაა სადაზღვევო სამართალი, რადგან ფიზიკური და იურიდიული პირები ცდილობენ დაიცვან თავი მათი მხრიდან პოტენციურად გამოწვეული მესამე პირის წმინდა ეკონომიკური ზიანისაგან.<sup>341</sup>

---

<sup>338</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective. Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 12.

<sup>339</sup> *E. K. Banakas*, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 57-58;

<sup>340</sup> *Deliyanni-Dimitrakou, C.*, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 87.

<sup>341</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 352;

#### 4. შუალედური მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების მიმართ

გარდა ზემოხსენებული მიდგომებისა, რომელზეც იურისტები მსოფლიოს მასშტაბით თანხმდებიან, იურიდიულ ლიტერატურაში აგრეთვე შევხვდებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს ლიბერალურ და კონსერვატიულ მიდგომებს შორის ე. წ. შუალედური მიდგომის მქონე ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა შვეიცარია, ავსტრია, იტალია და სხვა.

აღნიშნული სახელმწიფოების შუალედური მიდგომის მქონე ჯგუფში განსაზღვრა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათი სამართალი ერთი შეხედვით იცნობს დელიქტური გენერალური დათქმის პრინციპს, რაც ლიბერალური მიდგომის სახელმწიფოებისთვის, მაგალითად საფრანგეთისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა, მეორე მხრივ სასამართლო პრაქტიკის დონეზე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ დაცული აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეები, რითიც ცალსახა და მჭიდრო ზეგავლენა იგრძნობა გერმანული სამართლისა. აღნიშნული აბსოლუტური სიკეთეებია, ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება და სხვა.<sup>342</sup>

აღნიშნული სახელმწიფოებიდან გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან ყველაზე მნიშვნელოვანი გადახვევა განახორციელა იტალიურმა სასამართლომ, როდესაც ყველა სახის მატერიალური დანაკლისი აბსოლუტურად დაცულ სიკეთედ გამოაცხადა და შესაბამისად პრაქტიკით დაარეგულირა და შესაძლებელი გახადა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება.<sup>343</sup>

---

<sup>342</sup> დ. მაისურაძე, სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შეზღუდვის დოგმატური დასაბუთება, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2020, 11;

<sup>343</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 14.

## 5. შუალედური შეჯამება

წმინდა ეკონომიკური ზიანი საკმაოდ მნიშვნელოვანი, თუმცა, დღემდე მსოფლიოში შეუსწავლელ საკითხად რჩება. აღნიშნულმა თავმა წარმოაჩინა, თუ რამდენად განსხვავებულია მიდგომები მის მიმართ მსოფლიოში. მაშინ როდესაც ამერიკელი, ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი იურისტები აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა პერიოდში მსჯელობდნენ,<sup>344</sup> საქართველოში დღემდე წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევა ხდება სხვა სახის დანაკლისებთან.

აღნიშნული თავის მიზანი იყო, რომ განმეხილა სხვადასხვა მიდგომები მსოფლიოს მასშტაბით წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით, რათა საბოლოო კვლევითი შედეგი დამედო და რეკომენდაციები გამეწია ქართული სამართლის რეალობაში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების ფარგლებისა და შესაძლებლობის შესახებ. მოცემულ თავში განვიხილე პრაგმატული, ლიბერალური და კონსერვატიული მიდგომები. აღსანიშნავია, რომ მიდგომები წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით საკმაოდ გავს ზოგადად დელიქტური გენერალური დათქმისადმი მიდგომებს. სახელმწიფოების და სამართლის დაყოფაც მსგავსია ორივე საკითხთან მიმართებით. წმინდა ეკონომიკური ზიანისადმი განსხვავებული მიდგომების კვლევა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ სწორად დავინახოთ ამ რთული საკითხის გადაჭრის გზები, თუ რა მიდგომებით გამოირჩევა სხვადასხვა სამართლის სისტემა.<sup>345</sup>

მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის განხილვა, იმდენად რამდენადაც ქართული სამართლის მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით ცალსახა ზეგავლენას განიცდის სხვადასხვა სახელმწიფოების მიდგომებისა თუ სამართლისგან, რასაც ნაშრომის შემდგომ თავში უფრო დეტალურად განვიხილავ. გერმანული

---

<sup>344</sup> *D. Marshall*, *Liability for Pure Economic Loss Negligently Caused: French and English Law Compared*, Cambridge University Press on behalf of the British Institute of International and Comparative Law, 1975, pp. 748-790;

<sup>345</sup> *V. Harpwood*, *PRINCIPLES OF TORT LAW* fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, pp. 79-82;



სამართლის ზეგავლენა ქართული სამოქალაქო სამართლისთვის უცხო არ არის, თუმცა, დელიქტურ სამართალში ყველაფერი ასე ცალსახად არ არის და საქმე გვაქვს სამართლებრივი მიდგომების კვეთასთან, ისევე როგორც ამას ვხვდებით სხვა ევროპულ<sup>346</sup> თუ არაევროპულ<sup>347</sup> სახელმწიფოებში, რომლებიც შუალედურ მიდგომას ირჩევენ წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ.<sup>348</sup>

სახელმწიფოების მიდგომები გამოწვეულია, არა მხოლოდ მათი სამართლებრივი მიდგომებით, არამედ ზოგადად მათი ისტორიული გამოცდილებითა და სოციალური მდგომარეობით დღეს და წარსულში. დელიქტური გენერალური დათქმა, რომელიც ყოვლისმომცველია საფრანგეთში შესაძლოა მკითხველმა აღიქვას, როგორც ქართული დელიქტური დათქმის საფუძველი, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ერთი სიტყვაც კი აღნიშნულ დათქმაში მთლიანად ცვლის ყველაფერს. საუბარი მაქვს მართლწინააღმდეგობის ელემენტზე, რომელიც ქართული სასამართლო პრაქტიკითაც არის დადგენილი.<sup>349</sup> აღნიშნულზე შემდეგ თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანი ანაზღაურდეს. შესაბამისად, ზიანის მიმყენებელი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>350</sup> თუმცა, სწორედ აღნიშნულის შედეგად იურისტებმა გამოსავალი იპოვეს მოცემული საკითხის სახელშეკრულებო ურთიერთობებით დარეგულირებაში, რაც ასევე შეიძლება კარგი მაგალითი და გამოცდილება აღმოჩნდეს ქართულ კონტექსტშიც.

---

<sup>346</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236;

<sup>347</sup> იხ. Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 225-226;

<sup>348</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 14.

<sup>349</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-548-511-2017, 2017 წლის 31 ივლისი და საქმეზე № ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი.

<sup>350</sup> გ. რუსიაშვილი, კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, ქ. თბილისი, 2019, 87;

## VIII. ქართული დელიქტური სამართლისა და სასამართლოს მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით

როგორც უკვე აშკარაა, დელიქტური სამართლის ამ მეტად საინტერესო და შეუსწავლელი საკითხის მიმართ, რასაც წმინდა ეკონომიკურის ზიანი ჰქვია, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, არა მხოლოდ სამართლის სისტემებს შორის, არამედ თავად ამ სამართლის სისტემაში შემავალ სახელმწიფოებს შორისაც. საუბარი მაქვს რადიკალურ განსხვავებაზე გერმანულ და ფრანგულ მიდგომებს შორის, ასევე, ამ მნიშვნელოვანი განსხვავების ფონზე ევროპულ და არა მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოებში შუალედური მიდგომის ჩამოყალიბებაზე.

მოცემული თემის დამუშავებისას ცალსახა გახდა, რომ ქართული სამართლის მიდგომა წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ გამოირჩევა სხვა სახელმწიფოების მიდგომებისაგან, რადგან მისი ცალსახა გაერთიანება რომელიმე მიდგომის ჯგუფში შეუძლებელია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ თავში გადმოცემული მსჯელობების ნაწილი ჩემ მიერ გამოქვეყნებულია სტატიის სახით ქართულ-გერმანულ ჟურნალში.<sup>351</sup>

ქართული დელიქტური სამართალი ერთი შეხედვით მნიშვნელოვნად ემსგავსება ფრანგულს, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დელიქტურ გენერალურ დათქმასთან, თუმცა ქართული დელიქტური დათქმა საკმაოდ მნიშვნელოვნად არის მოქცეული ჩარჩოში და გარკვეულწილად შეუძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას, თუ ეს პირის გაუფრთხილებელი ქმედებით იყო გამოწვეული.<sup>352</sup>

გერმანელი კანონმდებელი დღემდე ცდილობს თავი აარიდოს დელიქტურ გენერალურ დათქმას და საკმაოდ კონსერვატიულად უდგება დელიქტების

---

<sup>351</sup> ი. სვანაძე, წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2022, გვ. 39-48;

<sup>352</sup> Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 223-224.

საკითხებს, როდესაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს პირდაპირ ჩამოთვლის 823–ე პარაგრაფში.<sup>353</sup> გერმანული კანონმდებლობა შეუძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკურის ზიანის ანაზღაურებას, თუ საქმე არ გვაქვს აბსოლუტური სიკეთის ხელყოფასთან, ისეთი როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და სხვა.<sup>354</sup> სწორედ ამიტომ გერმანელმა იურისტებმა დაიწყეს საკითხის სახელშეკრულებო დონეზე დარეგულირება, მაშინ როდესაც საფრანგეთში მოსამართლე დავის განხილვისას უპირატესობას დელიქტურ ნორმებს ანიჭებს, რადგან ასეთ დროს დაზარალებული მხარე, შესაბამისად სუსტი მხარე მეტად დაცულია.

ქართული სამოქალაქო კოდექსის 992–ე მუხლის თანახმად ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს დელიქტური გენერალურ დათქმასთან<sup>355</sup> და შესაბამისად, წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს, თუმცა ფრანგული დელიქტური დათქმისაგან განსხვავებით ქართულ სამართალში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მართლწინააღმდეგობის ელემენტს, რაც მას მნიშვნელოვნად აახლოებს გერმანულ ანალოგთან როდესაც ზიანის მიმყენებელი პირის ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე კანონს ან სოციუმში დადგენილ ნორმებს.<sup>356</sup>

შესაბამისად ერთი მხრივ ქართულ რეალობაში გვაქვს დელიქტური გენერალური დათქმა, რომელიც უნდა მოიაზრებდეს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასაც, რადგან საუბარია ყოველგვარ ზიანზე, თუმცა, მეორე მხრივ მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმება ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის

---

<sup>353</sup> *G. Mousourakis*, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 144.

<sup>354</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 148-149.

<sup>355</sup> *გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236.

<sup>356</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8.

მისი ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ამსგავსებს მას გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823.2 პარაგრაფს.<sup>357</sup>

ქართული და უცხოური სამართალი წმინდა ეკონომიკური ზიანის დროს მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებენ მიზეზობრივი კავშირის დადგენას. მიზეზსა და შედეგს შორის კავშირი უნდა იყოს პირდაპირი და არ უნდა ბადებდეს ბუნდოვანებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს მაგალითებს, როდესაც პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროს ზიანის მიმყენებელი პირის მშობელს, რომელიც იგი გააჩინა.<sup>358</sup> ამიტომ, სწორედ აუცილებელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უწყვეტი ჯაჭვის შეჩერება ნორმატიული დარეგულირების გზით,<sup>359</sup> რომელზეც ასევე მიუთითებენ უცხო ქვეყნის სამეცნიერო ნაშრომებში.<sup>360</sup>

უცხოურ ლიტერატურაში განხილულია შემთხვევა, როდესაც ცხოველების ფერმის მეპატრონის დაუდევარი მოქმედებით, რომლის პირუტყვსაც პირველს დაემართება დაავადება, სრულად ევროპის ფერმებს მოედება ეს სენი და გამოიწვევს მათ შორის არადაავადებული საქონლის ხორცის ფასის ვარდნას. მეცნიერები თანხმდებიან, რომ მართალია ჯაჭვი პირდაპირია, თუმცა, უშედეგო იქნება, რომ ამ ფერმერს მოსთხოვონ სრულიად ევროპული ფერმების განადგურებითა და ჯანსაღი ხორცის ფასის ვარდნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ფრანგული ლიბერალური მიდგომაც კი თანხმდება, რომ უწყვეტი ჯაჭვი გარკვეულ ეტაპზე უნდა შეჩერდეს,<sup>361</sup> რადგან უწყვეტი ჯაჭვი გამოიწვევს ეკონომიკის სრულ პარალიზებას და პირს რომელსაც სურს, რომ რაიმე აწარმოოს შესაძლოა თავი შეიკავოს, რადგან არ იცის მის მიერ

---

<sup>357</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 250-251;

<sup>358</sup> Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 226;

<sup>359</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017 მუხლი 412, ველი 5;

<sup>360</sup> V. Harpwood, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 89;

<sup>361</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123-125.

განხორციელებულ რაიმე ქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს პლანეტის სულ სხვა ნაწილში.<sup>362</sup>

მსოფლიოს მასშტაბით, წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას, მოსამართლეები ხშირად სწორედ რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისას წყვეტენ საქმეს, რადგან რთულია თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ციფრული დელიქტები სულ უფრო და უფრო იდგამს ფეხს რაიმე რეალური მიზეზობრივი კავშირის დადგენა. თუმცა, აღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის გაწყვეტა მიმაჩნია რომ აუცილებელია და აღნიშნულს ემხრობიან აგრეთვე საფრანგეთშიც კი,<sup>363</sup> სადაც ყველაზე მეტად ლიბერალური მიდგომაა ზოგადად დელიქტის მიმართ და მიიჩნევა, რომ პირმა რომელმაც სხვას მიაყენა ზიანი იქნება ეს განზრახ თუ გაუფრთხილებლობით უნდა აუნაზღაუროს მას ეს დანაკლისი, რადგან დაზარალებულს არ მიუძღვის ბრალი რომ მან სხვისი ქმედებით რაიმე დაკარგა.

საბოლოოდ საქართველოში მოსამართლეები ამ ეტაპზე თანხმდებიან, რომ ვინაიდან წმინდა ეკონომიკური ზიანი არ ადგება პირის ქონებას ან სხვა აბსოლუტურ სიკეთეს, არამედ მხოლოდ მის ჯიბეს,<sup>364</sup> შესაბამისად, სახეზე გვაქვს მხოლოდ ეკონომიკური დანაკლისი, მართლწინააღმდეგობის ელემენტის ავტომატური ჩათვლა არ ხდება და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სხვა არაფერია თუ არა გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823.2 პარაგრაფი, როდესაც ზიანი გამოწვეული უნდა იყოს პირის ისეთი ქმედებით, რომელიც ეწინააღმდეგება მართლწესრიგს ან სამართლით დადგენილ ნორმებს.<sup>365</sup>

---

<sup>362</sup> *W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 16;*

<sup>363</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 126;*

<sup>364</sup> *C. Elliott & F. Quinn, Tort Law, 7<sup>th</sup> edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;*

<sup>365</sup> *გ. რუსიაშვილი, კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, ქ. თბილისი, 2019, 87;*

## IX. რეკომენდაციები ქართულ რეალობაში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ

სამართლის მეცნიერებისათვის ცალსახაა, რომ პირს, რომელსაც ზიანი მიადგა, მას აღნიშნული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს. კანონმდებლები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ პოზიციას აყალიბებენ ანაზღაურების ფარგლებთან დაკავშირებით. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ისეთი, როგორცაა საფრანგეთი, ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს დაზარალებული მხარის დაცვას,<sup>366</sup> მაშინ როდესაც გერმანული<sup>367</sup> ან თუნდაც ანგლო-ამერიკული სამართალი ფრთხილი და მოზომილი გადაწყვეტილების მომხრეა.<sup>368</sup>

ცხადია, რომ იდეალურ პირობებში ზიანი, რომელიც პირს მიადგა არ უნდა დარჩეს ანაზღაურების გარეშე, რადგან თავად დაზარალებულ მხარეს არ მიუძღვის ბრალი დანაკლისის არსებობაში.<sup>369</sup> აღსანიშნავია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება საკმაოდ სარისკო, თუმცა, სამართლიანობის აღდგენისათვის აუცილებლად დასარეგულირებელი საკითხია. წმინდა ეკონომიკურ ზიანის ანაზღაურებისას, სახელმწიფო მომზადებული უნდა იყოს ყოველმხრივ, მათ შორის ეკონომიკურად და სამართლებრივად. მოსამართლეს უნდა შეეძლოს სწორად განმარტოს სახეზე არის თუ არა წმინდა ეკონომიკური ზიანი თუ ეს უბრალოდ მიუღებელი შემოსავალია.<sup>370</sup>

სამწუხაროდ არ იძებნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება, სადაც მსჯელობა იქნება წმინდა ეკონომიკურ ზიანზე.<sup>371</sup> უზენაესის

<sup>366</sup> *Dam, C. V.*, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 56;

<sup>367</sup> *E. K. Banakas*, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 48-49;

<sup>368</sup> იხ. *P. Bowal*, Pure Economic Loss Claims, *LawNow*, vol. 25, no. 5, 2001, 30

<sup>369</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 74.

<sup>370</sup> შეადარეთ გ. *ცერცვაძე*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014, 653-654მ;

<sup>371</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-910-876-2016, 2016 წლის 30 ნოემბერი, საქმეზე № ას-153-2019, 2019 წლის 8 მაისი და სხვ.;

სასამართლოს გადაწყვეტილებებში Pure Economic Loss ნახსენებია თუმცა, არა იმ მნიშვნელობით როგორც იგი გამოიყენება უცხოეთში და მას მიუღებელ შემოსავალს უწოდებენ. უფრო მეტიც იგი მოხსენიებულია არა დელიქტით გამოწვეულ დავებში, არამედ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურების დროს. სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოწვეული აღნიშნული ბუფერი განპირობებულია არა იმ ფაქტით, რომ ქართული რეალობა მსოფლიოსაგან განსხვავებულია და ასეთი ზიანს საქართველოში ადგილი არ აქვს, არამედ იმ მარტივი მიზეზით, რომ ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხისგან მოსამართლე პრეცედენტული გადაწყვეტილების მიღებას ერიდება.

ცხადია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისას დაზარალებული პირის უფლებები მნიშვნელოვნად ირღვევა და სწორედ ამიტომ აღნიშნულ თავში შევაფასებ თუ რა ნაბიჯების გადადგმა არის საკანონმდებლო თუ სხვა დონეებზე, ასეთი დანაკლისის ანაზღაურებისათვის.

## **1. წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში**

როგორც წინა თავში მსჯელობისას აღვნიშნე, წმინდა ეკონომიკური ანაზღაურება დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში საკმაოდ პრობლემურია, როდესაც სსკ-ის 992-ე მუხლი ერთი შეხედვით წარმოადგენს დელიქტურ გენერალურ დათქმას, თუმცა, მეორე მხრივ აუცილებლად შესამოწმებელ ელემენტად მიიჩნევს მართლწინააღმდეგობას, რომ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი გახდეს.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ ამ რეალობაშიც კი წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, თუ იგი გამოწვეულია პირის ისეთი ქმედებით, რომელიც ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს,

<sup>372</sup> რომ პირის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის ელემენტი სახეზე გვაქვს და აქედან გამომდინარე წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი ხდება 3 შემთხვევაში:

1. თუ პირი რომელმაც გამოიწვია ზიანია, აღნიშნული ქმედებით არღვევდა სახელმწიფოში დადგენილ ნორმებს.
2. თუ პირი მისი ქმედებით არღვევს სხვა ნებისმიერ ვალდებულებას მათ შორის თუნდაც მხარეთა შეთანხმებიდან (გარიგებიდან/ხელშეკრულებიდან) წარმოშობილს და აღნიშნული დარღვევა ხდება ზიანის გამომწვევი მიზეზი.
3. თუ პირის ქმედებით ირღვევა დაცული აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეები და პირის უფლებები, მაგალითად: სიცოცხლე, საკუთრება, ჯანმრთელობა ან/და პირის სხვა პირადი უფლებები.

ცხადია, რომ ეს უკანასკნელი წმინდა ეკონომიკური ზიანის დროს სახეზე არ გვაქვს და ვერც გვექნება, რადგან წმინდა ეკონომიკური ზიანი არის სწორედ ის დანაკლისი, რომელიც პირს მიადგა მისი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე.<sup>373</sup>

სწორედ ამიტომ უნდა ვიმსჯელოთ პირველ ორ შემთხვევაზე, როდესაც პირი არღვევს რაიმე კანონს მისი ქმედებით, ან სხვა ნებისმიერ ვალდებულებას, თუნდაც იგი ხელშეკრულებიდან იყოს წარმოშობილი.

მიუხედავად ქართული კანონმდებლობისა და სასამართლოების ასეთი მკაცრი მიდგომისა, რომელიც წინა თავში უკვე ვახსენე, მიმაჩნია, რომ არსებობს შემთხვევები, რა დროსაც წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი ხდება. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიშველიოთ გერმანული სამართლის მიდგომა წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით. ნაშრომში

---

<sup>372</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-548-511-2017, 2017 წლის 31 ივლისი და საქმეზე № ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი.

<sup>373</sup> C. *Deliyanni-Dimitrakou*, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 87;



განვიხილე საკითხები, თუ რა მიზეზით ამბობს გერმანელი მოსამართლე, რომ გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანი ანაზღაურდეს დელიქტური ნორმების შესაბამისად. თუმცა, აქვე ცხადია, რომ გერმანელი მოსამართლეები და მეცნიერები თვალს უსწორებენ იმ რეალობას, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი მაინც არსებობს ბუნებაში და შესაბამისად დაზარალებული პირის დაცვისათვის რაიმე მექანიზმის არსებობა აუცილებელია. სწორედ ასეთი პრობლემის გადასაჭრელად იპოვეს გერმანელებმა გამოსავალი და აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება მისცეს მოსამართლეებს თუ იგი გადაფარული იქნებოდა სახელშეკრულებო სამართლით და არა დელიქტური ნორმებით.<sup>374</sup>

ქართული სამოქალაქო სამართალი საკმაოდ მნიშვნელოვნად ჰგავს მის გერმანულ ანალოგს და შესაბამისად მიმაჩნია, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებშიც და რაიმე ცვლილებების გარეშე ქართულ რეალობაშიც არის შესაძლებელი ანაზღაურდეს გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანი. ვინაიდან სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ რაც პირდაპირ აკრძალული არაა ის დასაშვებია, შესაბამისად მხარეებმა თავად შეიძლება გადაწყვიტონ თუ ვის რა ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს საკონტრაქტო ურთიერთობებისას, მათ შორის წმინდა ეკონომიკური ზიანიც.<sup>375</sup>

ფაქტია, რომ ასე მოხდა გერმანიაში და ასე ხდება ყველა სახელმწიფოში. იმ საკითხს, რასაც კანონმდებელი/სახელმწიფო არ აწესრიგებს, ადამიანები თავად იწყებენ დარეგულირებას. აქვს მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ის ფაქტი საკმარისი არ იქნება, რომ საკონტრაქტო ურთიერთობებში მონაწილე პირებმა დაიწყონ წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ხელშეკრულებებში.

---

<sup>374</sup> *M. Bussani & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150.

<sup>375</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9 - 10

გერმანიაში ეს პროცესი საკმაოდ რთულად, თუმცა, მეცნიერებისა და მოსამართლეების ერთიანი ძალისხმევით მოხდა.<sup>376</sup>

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში შემუშავდეს ერთიანი გეგმა, რის დროსაც ხელშეკრულებების კონფიდენციალურობის ნაწილი არ იქნება აბსოლუტურად შეზღუდული. აღიშნული გზა გაიარეს გერმანიაში და ქართული სამოქალაქო სამართლისთვის სწორედ ეს გამოცდილება არის ყველაზე გამოსადეგი. იმ შემთხვევაში თუ პირს მიადგა წმინდა ეკონომიკური ზიანი, მას უნდა შეეძლოს სასამართლოს ნებართვით მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების იმ ნაწილის გამოთხოვა, რომელიც ზიანის ანაზღაურებას შეეხება.<sup>377</sup> ასეთ დროს მისი უფლება მეტად დაცული იქნება და მას მიეცემა შესაძლებლობა რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ იდავოს სასამართლოში, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.<sup>378</sup>

გერმანული სასამართლოების ასეთი მიდგომა, გამოწვეული კანონმდებლობის მოუქნელობით და ნაკლოვანებით. ცხადია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი არსებობს იმის და მიუხედავად კანონმდებელი იძლევა მისი ანაზღაურების უფლებას თუ არა. ხელშეკრულება გახდა გერმანიაში დაცვის შეუდარებელი საშუალება, მიუხედავად იმისა, გაფორმებულია თუ არა იგი უშუალოდ დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის, თუ იგი არსებობს ზიანის მიმყენებელსა და მესამე პირს შორის.<sup>379</sup>

---

<sup>376</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting, eds., Springer, Vienna/New York, 2004, 10.

<sup>377</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150.

<sup>378</sup> *E. K. Banakas*, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 49;

<sup>379</sup> *M. Bussani & V. Palmer*, Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law, Routledge Cavendish, London, 2008, 21.

## 2. წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა საკანონმდებლო ბაზის დახვეწის შემთხვევაში

წინა თავში მსჯელობისას დავადგინეთ, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი არის მიუხედავად იმისა შეიცვლება თუ არა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, აღნიშნული მიდგომით გამოირჩევა გერმანული სასამართლო პრაქტიკა, რომელმაც მნიშვნელოვან წილად წამოწიო ხელშეკრულების მნიშვნელობა.

როგორც უკვე ნაშრომში არაერთხელ ვახსენე, წმინდა ეკონომიკურ ზიანზე მსჯელობა და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა დამახასიათებელია ეკონომიკურად და სამართლებრივად მეტად განვითარებული სახელმწიფოებისათვის. არ არის გასაკვირი, თუ რატომ აირჩია ზოგადად დელიქტური სამართლისადმი მკაცრი და კონსერვატიული მიდგომა ქართველმა კანონმდებელმა 90-იან წლებში. ერთი მხრივ დელიქტური გენერალური დათქმის შემუშავება და მეორე მხრივ მართლწინააღმდეგობის ელემენტის აუცილებელი არსებობა გამოწვეული იყო, მათ შორის, იმ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით რაც არსებობდა პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოში. სრულიად გასაგებია ახლად გამოცხადებული დამოუკიდებლობის პირობებში, რატომ ცდილობდა სახელმწიფო რომ მაქსიმალურად მკაცრი მიდგომები განესაზღვრა და დაეცვა სუსტი მხარე შესაძლო უფლების დარღვევისგან. მსგავსი მიდგომები არათუ გასული საუკუნის 90-იან წლებში, არამედ უახლოეს წარსულშიც საკანონმდებლო ცვლილებებშიც გვხვდება.<sup>380</sup>

საქართველო დღესდღეისობით ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებულია და მიმაჩნია, რომ კანონმდებელს შეუძლია მეტად ლიბერალური მიდგომის შემუშავება. ფრანგული ლიბერალური მიდგომის შემუშავება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების გარდა სხვა უამრავი დანაკლისის

---

<sup>380</sup> საუბარი მაქვს ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც პირის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისათვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულ შემთხვევაში, ერთი შეხედვით გამოსახლებამდე პირის უფლებების მნიშვნელოვანი დაცვა ხდება, თუმცა, მეორე მხრივ საკუთრების უფლება ცალსახად იზღუდება და კნინდება სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპი.

ანაზღაურებაც ხდება შესაძლებელი, რაც შესაძლოა არ იყოს მისაღები ქართული საზოგადოებისათვის.<sup>381</sup> მიმაჩნია, რომ შესაძლებელია შემუშავდეს წმინდა ეკონომიკური ზიანის მიმართ სპეციალური ნორმა, რა დროსაც მისი ანაზღაურება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირს ვინც გამოიწვია წმინდა ეკონომიკური ზიანი უნდა ევარაუდა ან ვარაუდობდა კიდევ, რომ მის ამ ქმედებას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა.<sup>382</sup>

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებისა, რაც შესაძლოა საკმაოდ რთული იყოს, გერმანული სამართალი ითვალისწინებს აგრეთვე ე. წ. განზრახი უზნეო ქმედებით (Sittenwidrigkeit) გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობას.<sup>383</sup> აღნიშნული გათვალისწინებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფით, მიმაჩნია რომ მსგავსი ნორმის არსებობა ქართულ სამართალშიც იქნებოდა სამართლიანი და ნაკლებ პრობლემებს წარმოშობდა წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. იგი გადაფარავდა იმ სივრცეებს, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფით არ არის მოწესრიგებული.<sup>384</sup>

### **3. წმინდა ეკონომიკური ზიანის დაანგარიშებისას წარმოშობილი პრობლემები და მისი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ეფექტები**

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასთან ერთად თავს იჩენს უამრავი სხვა სირთულეც, სწორედ ამიტომ

---

<sup>381</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 126;*

<sup>382</sup> *M. A. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 74.*

<sup>383</sup> *M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 149;*

<sup>384</sup> *C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83;*

არის მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანა აღნიშნულ მნიშვნელოვან ცვლილებებს შეხვდეს მომზადებული, როგორც სოციალურად ასევე ეკონომიკურად. წმინდა ეკონომიკური ზიანის დაანგარიშება საკმაოდ რთული პროცესია, რადგან ამ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის საკმაოდ ფერმკრთალია.<sup>385</sup>

ისეთ სახელმწიფოშიც კი, რომელიც დელიქტური სამართლის მიმართ ლიბერალური მიდგომის ფუძემდებლად ითვლება, საუბარი მაქვს საფრანგეთზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა.<sup>386</sup> უფრო მეტიც, ფრანგი მოსამართლისათვის მნიშვნელოვანია არა ის ფაქტი, თუ როგორმა ქმედებამ (მართლსაწინააღმდეგო თუ მართლზომიერი) გამოიწვია ზიანი, არამედ რამდენად არის ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის კავშირი.

სწორედ მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდგომ ხდება იმ ზიანის დაანგარიშება. წმინდა ეკონომიკური ზიანი წარმოადგენს იმ დანაკლისს, რომელიც მიადგა პირის მისი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე, შესაბამისად მისი ნივთი არ განადგურებული და სხეული/ჯანმრთელობა არ დაზიანებულა სწორედ ამიტომ დაანგარიშება პრობლემურია და მიზეზობრივი კავშირის უწყვეტი ჯაჭვის არსებობამ<sup>387</sup>, შესაძლოა გამოიწვიოს ის ფაქტი რომ პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისროს ისეთი დანაკლისისთვის რომელიც აბსოლუტურად განჭვრეტადი არ იყოს მისთვის.<sup>388</sup>

---

<sup>385</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 226;

<sup>386</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 65;

<sup>387</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, W.H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 307;

<sup>388</sup> *V. Harpwood*, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 31;

ცხადია ეს ე. წ. „გვერდითი ეფექტი“ წმინდა ეკონომიკურ ზიანს ნამდვილად გააჩნია, პირის მხრიდან განჭვრეტადობა საკმაოდ პრობლემურია.<sup>389</sup> შესაძლოა ნებისმიერ ჩვენს ქმედებას მოჰყვეს კატასტროფული შედეგის მსოფლიოს სხვა კუთხეში, რომელიც ჩვენთვის აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი იყოს.<sup>390</sup>

როგორ უნდა შეხვდეს სახელწმიფო წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების დანერგვას?! აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა იქნება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური, თუმცა მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამომავლო ნაბიჯების გადასადგმელად. წმინდა ეკონომიკური ზიანის გაანგარიშებისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რასაც იგი ჩვეულებრივი დანაკლისისას აფასებს, თუ რა მდგომარეობა იარსებებდა, რომ არა ზიანის მიმყენებელი პირის ქმედება.<sup>391</sup>

წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა საკმაოდ პრობლემურია არა მხოლოდ ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოსთვის, არამედ სუსტი სასამართლო სისტემისათვისაც. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიზეზობრივი კავშირის პოვნა და ქმედებასა და შედეგს შორის ჯაჭვის გაბმა სულ უფრო და უფრო რთული ხდება.<sup>392</sup> პირის ერთმა ქმედებამ კი შესაძლოა გამოუსწორებელი, თუმცა, მისთვის მოულოდნელი შედეგი გამოიწვიოს.<sup>393</sup> საფრანგეთის ლიბერალურ მიდგომას ზურგს უმაგრებს სოციალურად სამართლიანი გარემო და ძლიერი სასამართლო, რომელმაც

---

<sup>389</sup> *M. Bussani & V. Palmer* (eds.), *The case studies, Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241-254;

<sup>390</sup> *W. H. Van Boom*, *Pure Economic Loss - a Comparative Perspective*, *Pure Economic Loss*, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 17-18;

<sup>391</sup> იხ. გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 10 და *M. A. Egorova, B. G. Krylov, Romanov A. K.*, *Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие*, Юстициформ, Москва, 2017, 80.

<sup>392</sup> *J. Steele*, *Tort Law: Text, Cases, and Materials* third edition, Oxford University Press, 2014, P. 216;

<sup>393</sup> *M. Bussani & V. Palmer* (eds.), *The case studies, Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241-254;

შემლო სრულად აედო საკუთარ თავზე წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ შესული აურაცხელი დავების განხილვა.<sup>394</sup>

გერმანელ კანონმდებელს მიაჩნდა რომ დელიქტურ სამართალთან ლიბერალური მიდგომა გამოიწვევდა მათი სასამართლო სისტემის და ეკონომიკის პარალიზებას. სწორედ ამიტომ მათ მე-20 საუკუნის დასაწყისში ლიბერალურ მიდგომაზე და კონსერვატიული გზა აირჩიეს. სწორედ ეკონომიკის პარალიზების შიში არის გამომწვევი მიზეზი იმისა, თუ რატომ არიდებს თავს ამერიკელი და ბრიტანელი მოსამართლეები წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას თავს.<sup>395</sup>

გერმანიის უარი ლიბერალურ მიდგომაზე გამოწვეული იყო გაურკვევლობისგან თავის არიდების სურვილით. გერმანელ კანონმდებელს არ სურდა, რომ დავები წარმართულიყო აბსოლუტურად ყველა ზიანთან მიმართებით. მიაჩნდა რომ ასეთ დროს ეკონომიკა უკან იხევს და შესაბამისად მათი მიდგომა ნათელი და გასაგებია, იმდენად რამდენადაც ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რომაული სამართლის მნიშვნელოვანი ზეგავლენით.<sup>396</sup>

ქართველ კანონმდებელს აქვს არჩევანი ორ განსხვავებულ მიდგომას შორის აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ერთი მხრივ გერმანული, რომელიც თავს იკავებს წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებისგან იმ მოტივით, რომ არ მოხდეს სასამართლოებისა და ეკონომიკის პარალიზება, რადგან ნებისმიერი პირი შეიკავებს თავს რაიმე ქმედებისგან, რადგან არ იცის რა შედეგი ელის წინ და მეორე მხრივ ფრანგული მიდგომა, რომელიც სრულად ანაზღაურებს ნებისმიერ დანაკლისს, მას შემდეგ რაც შეაფასებს მიზეზობრივ კავშირსა და ბრალს.

ფრანგული მაგალითი ცხადყოფს, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანისადმი ლიბერალურმა მიდგომამ არათუ შეაფერხა ეკონომიკა ან პარალიზება მოახდინა

---

<sup>394</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 350;

<sup>395</sup> *ob. P. Bowal*, Pure Economic Loss Claims, LawNow, vol. 25, no. 5, 2001, 30.

<sup>396</sup> *G. Mousourakis*, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 144;

სასამართლოების, არამედ ყველაზე მაღალი ნდობაა სასამართლოს მიმართ და პირს აქვს აბსოლუტური იმედი რომ მას როგორც დაზარალებულს სახელმწიფო დაიცავს ნებისმიერი შემთხვევაში, ამიტომ უფრო მეტად სურს ასეთ ეკონომიკაში შესვლა. დიას მესამე პირისთვის შესაძლოა სარისკო იყოს რაიმე ქმედების განხორციელება, ვინაიდან არ იცის რა შედეგით დასრულდება მისი ნებისმიერი ნაბიჯი, თუმცა, სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ საფრანგეთში აქტიურად არის განვითარებული სადაზღვეო სამართალი და ბიზნესი.<sup>397</sup> ფრანგებმა შეძლეს რომ დაეცვათ ოქროს შუალედი, დაზარალებული მხარის უფლებების აღდგენასა და ეკონომიკის განვითარებას შორის.

ფრანგული გამოცდილება ცხადყოფს, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანისადმი კანონმდებლობისა და მოსამართლეების ლიბერალური მიდგომა არათუ შეაფერხებს ეკონომიკას ან სამართლებრივ პროცესებს, არამედ ხელს შეუწყობს შედარებით განუვითარებელი დარგების წინსვლასა (დაზღვევა, საბანკო გარანტიები, სახელშეკრულებო სამართალი და სხვა) და ეკონომიკის გაჯანსაღებას. სწორედ სადაზღვეო სამართლის განვითარება განპირობებული წმინდა ეკონომიკური ზიანისადმი და ზოგადად დელიქტისადმი ასეთი ლიბერალური მიდგომით საფრანგეთში, ვინაიდან პირმა არ იცის თუ რა სახის ზიანი შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას და ურჩევნია თავიდანვე დააზღვიოს გამოწვეული დანაკლისი.<sup>398</sup>

---

<sup>397</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 352.

<sup>398</sup> *V. Harpwood*, PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000, p. 7;



## X. მსჯელობის შეჯამება და დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიდგომა დელიქტურ სამართალთან და შესაბამისად დელიქტურ გენერალურ დათქმასთან განსხვავდება, არა მხოლოდ სამართლის სისტემებს შორის, არამედ თავად აღნიშნული სამართლის სისტემაში შემავალი სახელმწიფოების შემთხვევაშიც. ზოგადად დელიქტური გენერალური დათქმა დამახასიათებელია არა ანგლო-ამერიკული სამართლისთვის, არამედ კონტინენტური ევროპის სამართლისათვის, თუმცა, ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც ყველაფერი ასე ცალსახად არ არის. როგორც ნაშრომიდან ცალსახად გამოიკვეთა ფრანგული და გერმანული სამოქალაქო სამართალი სხვადასხვაგვარად არეგულირებს დელიქტთან მიმართებით საკითხებს. მაშინ როდესაც ფრანგულ სამართალში გვაქვს ტიპური დელიქტური გენერალური დათქმა, გერმანელი კანონმდებელი უარს ამბობს გენერალურ დელიქტზე, რადგან მას სასამართლო სისტემის გადატვირთვას და გარკვეულ პრობლემებს უკავშირებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ თავში მსჯელობების შეჯამებისას გადმოცემული დასკვნების ნაწილი ჩემ მიერ გამოქვეყნებულია სტატიების სახით ქართულ-გერმანულ ჟურნალში.<sup>399</sup>

ნაშრომში ცალსახად გაესვა ხაზი იმ საკითხს, რომ დელიქტური გენერალური დათქმა, ზოგადად დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლისათვის, თუმცა, მისი არ არსებობა პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს არ უშლის ხელს, რომ მოსამართლემ დელიქტურ დავებში გარდამტეხი და რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღოს.

სწორედ რომ ინგლისურმა სასამართლომ განმარტა და იმსჯელა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში წმინდა ეკონომიკური ზიანიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობაზე. ინგლისელი და ამერიკელი მოსამართლეები დელიქტური დავებისას მხედველობაში იღებენ მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ საქმიან და პირად

---

<sup>399</sup> იხ. *ო. სვანაძე*, ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დელიქტური გენერალური დათქმის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4, ქ. თბილისი, 2022, გვ. 27-35 და ასევე, *ო. სვანაძე*, წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2022, გვ. 39-48;

ურთიერთობას. დავის გადაწყვეტისას მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ჰქონდა, ან უნდა ჰქონოდა ზიანის მიმყენებელ პირს დაზარალებულის მიმართ ე. წ. ზრუნვის ვალდებულება (Duty of Care).<sup>400</sup> ამერიკელი და ბრიტანელი მოსამართლეები დელიქტური დავის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ მხედველობაში იღებენ აგრეთვე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებელი პირის სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობას.<sup>401</sup>

ქართული დელიქტური სამართლის ჭრილში მნიშვნელოვანი იყო განგვეხილა გერმანული და ფრანგული მიდგომა. როგორც ნაშრომში ვახსენეთ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 1804 წელს ნაპოლეონის ეპოქაშია მიღებული და მას დღესაც, როგორც ნაპოლეონის კოდექსს ასე მოიხსენიებენ. შესაბამისად, 1804 წელს თავად ნაპოლეონი, ფრანგული საზოგადოება და შესაბამისად კოდექსიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განიცდის რევოლუციური, ფილოსოფიური და თანასწორობაზე დამყარებული იდეების ზეგავლენას.<sup>402</sup> ფრანგული გენერალური დელიქტური დათქმა წარმოადგენს მის უზოგადეს და ყოვლისმომცველ ფორმას, მაშინ როდესაც თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ მიღებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სრულად უარს ამბობს დელიქტურ გენერალურ დათქმაზე და ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომელიც კანონმდებლობას დაცვის „ღირსად“ მიაჩნია. ცხადია, რომ ფრანგული მიდგომა განპირობებულია მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენით.<sup>403</sup>

ქართული სამოქალაქო კოდექსი მე-20 საუკუნის ბოლოს გერმანული სამართლის ცალსახა ზეგავლენითა და სულისკვეთებით არის მიღებული. გარკვეულწილად ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გერმანელი მეცნიერები, რომლებიც კანონის

---

<sup>400</sup> *M. Bussani & V. Palmer (eds.), The case studies, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 277;*

<sup>401</sup> *Y. Kwon, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 218-219;*

<sup>402</sup> *C. V. Dam, European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 51.*

<sup>403</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 354;*

შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ცდილობდნენ აესახათ სამუშაო პროცესში მათი ქვეყნის კანონმდებლობის ასწლიანი პერიოდის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება. ქართულმა კანონმდებლობამ უარი თქვა სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალზე და აირჩია გენერალური დელიქტური დათქმის გზა. ანალოგიური მიდგომა ჰქონდა მე-20 საუკუნეში გერმანული სამართლის ჯგუფის კიდევ ორ წევრ სახელმწიფოს: ავსტრიასა და შვეიცარიას. ორივე სახელმწიფომ გარკვეულწილად გადაუხვია გერმანულ მიდგომას და აირჩია დელიქტური გენერალური დათქმის გზა.<sup>404</sup>

მართალია ქართული კანონმდებლობა იცნობს დელიქტურ გენერალურ დათქმას, თუმცა, მასში არსებული 5 ელემენტის და განსაკუთრებით მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმების აუცილებლობა, იგი მნიშვნელოვანწილად აშორებს მას მისი ფრანგული ანალოგისაგან და ხდის ვიწრო მიდგომის მქონე გერმანული კანონმდებლობის მსგავსს. მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობა 1 მუხლში არეგულირებს დელიქტურ საკითხებს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში სამ ცალკეულ ნორმაში არის გადანაწილებული მსგავსი შინაარსისა და შედეგის მქონე დათქმა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფის რეგულირების სფერო, ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით მეტად ფართოა და შესაძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასაც კი, თუ საქმე გვაქვს განზრახ „უზნეო“ ქმედებასთან.<sup>405</sup>

ცალკე აღებული დელიქტი საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან მის მიმართ მიდგომა განსხვავებულია მთელს იურიდიულ სამყაროში. როგორც ვახსენეთ, ქართული სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამართლის გავლენის ქვეშ არის შექმნილი და ეს მას როგორც დელიქტურ სამართალში, ასევე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში ეტყობა. თუმცა, ცხადია, რომ ქართული კოდექსი და სამართალი გარკვეული საკითხების მიმართ გვთავაზობს განსხვავებულ მიდგომას,

---

<sup>404</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236;

<sup>405</sup> W. H. Van Boom, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W.H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting, (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9.

ორივე სამართლის მიმართ. მაგალითად დელიქტურ სამართალში ჩვენ ვხვდებით გენერალურ დელიქტურ დათქმას, რომელი 992-ე მუხლშია ჩამოყალიბებული,<sup>406</sup> მსგავსს კი გერმანული სამართალი არ იცნობს და იგი 823.1 პარაგრაფში პირდაპირ ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს რომელთაც დაცვის ღირსად მიიჩნევს. მეორე მხრივ კი უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში გერმანულ სამართალში 812-ე პარაგრაფში ვხვდებით გენერალურ დათქმას და მათ არ აქვთ დაკონკრეტებული კონდიციები, ქართულ სამართალში კი კონდიციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და აგრეთვე 991-ე მუხლით განსაზღვრული გენერალური დათქმა სხვა ყველა დარჩენილი შემთხვევისთვის. რა თქმა უნდა ცხადია, რომ ამ ორ კოდექს შორის ეს მცირედი განსხვავებები, მათი შემუშავების წელთა სხვაობითაა გამოწვეული.

ხელყოფის კონდიციასა და დელიქტურ სამართალს შორის კონკურენცია გამოწვეული იმ ფაქტორით, რომ მათ ხშირად საკმაოდ ბევრი გადაკვეთის წერტილი აქვთ.<sup>407</sup> ორივე შემთხვევაში კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს დაიცვას სამართლებრივი სიკეთე პოტენციური ხელყოფისაგან.<sup>408</sup> უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ნაშრომში არაერთხელ ვახსენეთ, ხშირად არის გადმოცემული მთავარი მიდგომა, რომ როდესაც სახეზე არის სხვა პირის გამდიდრების ფაქტი და არა რეალურად დამდგარი დანაკლისი, „დაზარალებულმა“ უნდა მიმართოს სასამართლოს არა დელიქტური მოთხოვნით, არამედ, მოთხოვოს ხელყოფის კონდიციის გზით გამდიდრების გათანაბრება.

საინტერესოა საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეებმა განმარტეს, რომ როდესაც სახეზე არ არის

---

<sup>406</sup> მსგავსი მიდგომა საქართველოს გარდა აგრეთვე ავსტრიასა და შვეიცარიას ახასიათებს. ორივე მათგანი გერმანული სამართლებრივი ოჯახის წევრებად ითვლებიან საქართველოსთან ერთად. დამატებით იხ. გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 236;

<sup>407</sup> *Д. В. Новак*, неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва 2010, 91-92;

<sup>408</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, ქ. თბილისი, 2016, 96;

ფაქტობრივი დანაკლისი და არის მხოლოდ სხვის ხარჯზე გამდიდრებული პირი, ასეთ შემთხვევაში გამოსაყენებელი უნდა იყოს უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი. ეს გადაწყვეტილება აგრეთვე მნიშვნელოვანია, რადგან, ვინაიდან სასამართლომ დავის განხილვა წარმართა არა დელიქტური სამართლით, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით, ხანდაზმულობის ვადად შესაბამისად განისაზღვრა არა 3 წელი, როგორც ეს დელიქტურ სამართალშია, არამედ 10 წელი, შესაბამისად დავა არ იქნა მიჩნეული ხანდაზმულად.<sup>409</sup>

აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული მიდგომა მსოფლიოში, რაც იძლევა უამრავი პრეცედენტული გადაწყვეტილების საშუალებას და შესაბამისად ქართული სასამართლოს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად მსგავსი პრობლემური საკითხები მეტად დაიხვეწება და სამართლებრივად გაიმართება. აღნიშნულ საკითხში კი გადამწყვეტი როლი ქართულ სასამართლოს მიუძღვის.<sup>410</sup> რაც შეეხება უშუალოდ ჩვენი თემის ძირითად საკითხს, დელიქტური გენერალური დათქმისა და უსაფუძვლო გამდიდრების განხილვა, სწორედ საჭირო იყო, რადგან საბოლოოდ წმინდა ეკონომიკურ ზიანზე სწორი დასკვნები გაგვეკეთებინა. Pure Economic Loss საკმაოდ მნიშვნელოვან, თუმცა, დღემდე საქართველოში შეუსწავლელ საკითხად რჩება. მაშინ როდესაც ამერიკელი, ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი იურისტები აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა პერიოდში მსჯელობდნენ,<sup>411</sup> საქართველოში დღემდე წმინდა ეკონომიკური ზიანის აღრევა ხდება სხვა სახის დანაკლისებთან.

აღნიშნული ნაშრომის მიზანი იყო, რომ განგვხილა სხვადასხვა მიდგომები დელიქტურ სამართალთან და კონკრეტულად წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით მსოფლიოს მასშტაბით. ერთი შეხედვით, ქართული მიდგომა მნიშვნელოვნად უნდა ემსგავსებოდეს ფრანგულ მიდგომას, რადგან ორივე

---

<sup>409</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1442-2018;

<sup>410</sup> *Y. Kwon*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 226;

<sup>411</sup> *D. Marshall*, *Liability for Pure Economic Loss Negligently Caused: French and English Law Compared*, Cambridge University Press on behalf of the British Institute of International and Comparative Law, 1975, pp. 748-790;

სამართლის შემთხვევაში სახეზე გვაქვს დელიქტური გენერალური დათქმა, თუმცა, მისი სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგად ვხვდებით, რომ ქართულ რეალობაში წმინდა ეკონომიკურ ზიანთან მიმართებით მოქმედებს მკაცრი შეზღუდვები, მართლწინააღმდეგობის ელემენტის სახით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გენერალური დათქმის არსებობისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში, ქართულ რეალობაში, სადაც მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმება აუცილებელია, იგი მნიშვნელოვნად ემსგავსება სწორედ რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის მეორე ნაწილს, შესაბამისად, გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური დანაკლისის შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.<sup>412</sup>

წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს საერთაშორისო სამეცნიერო სამყაროში, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი დანაკლისი არ არსებობს და მოსამართლეებმა, მეცნიერებმა და კანონმდებლებმა თვალი უნდა დახუჭონ მის რეგულაციაზე. გერმანიის მაგალითი ცხადჰყოფს, რომ იმ საკითხს რასაც სახელმწიფო არ აწესრიგებს თავად მოქალაქეები იწყებენ მის დარეგულირებას. ხელშეკრულებებით ბუფერული სივრცეების შევსება არის გერმანული გამოსავალი წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების დანერგვის ქრილში.<sup>413</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მხოლოდ მხარეებს, რომლებიც გააფორმებენ ხელშეკრულებას, არამედ, თავად მოსამართლეებსაც, რათა მოხდეს ხელშეკრულების კონფიდენციალურობის დონის დაწვევა და მათი მესამე მხარისათვის ჩვენება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა რომ აინაზღაუროს მიყენებული ზიანი.

---

<sup>412</sup> გ. რუსიაშვილი, კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, ქ. თბილისი, 2019, 87;

<sup>413</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150.

გერმანული მიდგომისაგან სრულიად განსხვავდება ფრანგული მიდგომა, რომლის ლიბერალური კანონმდებლობისა და აბსოლუტური გენერალური დათქმის პირობებში სასამართლოებს საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა მიადგათ, თუმცა, ფრანგული ეკონომიკა და სამართალი გაუმკლავდა ამ გამოწვევას. 2009 წლის მონაცემების თანახმად მხოლოდ წმინდა ეკონომიკურ ზიანზე დავები საფრანგეთში შეადგენდა 45 000-ს, რაც მზარდი იყო.<sup>414</sup> ფრანგი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ პირს რომელსაც მიადგა ზიანი არ უნდა დარჩეს დაჩაგრული. „neminem laedere“-ს პრინციპი („ნუ ავნებ სხვას“) შესაძლებელს ხდის წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებასაც კი.<sup>415</sup> გარდა ამ საკითხისა საფრანგეთში აქტიურად განვითარდა სადაზღვეო სამართალი და შესაბამისად მხარეები დაცულნი იყვნენ გაუთვალისწინებელი ხარჯისაგან.<sup>416</sup>

ქართულ რეალობაში წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია თუ მოსამართლეები გადადგამენ პრეცედენტულ ნაბიჯებს. ფრთხილი და სწორი შეფასება არ ნიშნავს, რომ მოსამართლეებმა მთლიანად უარი უნდა თქვან წმინდა ეკონომიკური ზიანის არსებობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებები<sup>417</sup> ნათლად მიუთითებს, რომ მოსამართლეებს ამ ეტაპზე არ აქვთ სწორი აღქმა, თუ რას ნიშნავს Pure Economic Loss, როდესაც მას მიუღებელ შემოსავალს უწოდებენ. თუმცა, გარდა ამისა ხშირი ხარვეზია სამეცნიერო ნაშრომებშიც და გასაკვირი არ არის სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

მიმაჩნია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი მოითხოვს საკმაოდ დიდ ყურადღებას, რა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება მისი სწორად ანაზღაურების პრაქტიკის დანერგვა.

---

<sup>414</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 350;

<sup>415</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 126;

<sup>416</sup> *М. А. Егорова, В. Г. Крылов, А. К. Романов*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 352;

<sup>417</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-910-876-2016, 2016 წლის 30 ნოემბერი, საქმეზე № ას-153-2019, 2019 წლის 8 მაისი და სხვ.;

პრაქტიკა შესაძლებელია დაინერგოს, როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში, ხელშეკრულებით დაცული ბუფერული სივრცეების შევსების სახით. ისე, როგორც ეს კონსერვატიული გერმანიის პირობებშია, სადაც კანონმდებელი არ ტოვებს სხვა არჩევანს გარდა ხელშეკრულებებისა.<sup>418</sup>

ასევე შესაძლებელი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ცვლილება შეიძლება იყოს ორი სახის. პირველი მოხდეს სრულად ლიბერალურ მიდგომაზე გადასვლა, ისევე როგორც ეს არის საფრანგეთში, შესაბამისად გენერალური დელიქტური დათქმა გახდეს ზოგადი.<sup>419</sup> თუმცა, აქვე სამართლიანობა მოთხოვს, რომ აღინიშნოს, რომ მოცემულ შესაძლო ცვლილებას არ ვემხრობი, რადგან იგი საკმაოდ ზოგადია და შესაძლებელს ხდის ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებას, რაც ნამდვილად შეიძლება გახდეს გარდამავალი განვითარების მქონე სახელმწიფოში სამართლებრივი და ეკონომიკური პარალიზების ან/და ქაოსის საფუძველი. უცხოელი მეცნიერები თანხმდებიან რომ თუ რაიმე შეიძლება გახდეს გაუფრთხილებლობით გამოწვეული წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებისათვის შემაფერხებელი, ეს არის სასამართლოს გადაწყვეტილების ხარისხი. არც ერთ მხარეს არ უნდა შეჰქონდეს ეჭვი სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორეში, რაც განსაკუთრებით რთულდება მიზეზობრივი კავშირის დადგენისას სირთულეების წარმოშობისას.<sup>420</sup>

საკანონმდებლო ცვლილების მიმართულებით მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს გერმანული სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის მსგავსი ჩანაწერის შექმნა. აღნიშნული ჩანაწერი გერმანელმა კანონმდებელმა შექმნა იმ მოტივით, თავიდანვე თვლიდა და აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ გსკ-ის 823-ე პარაგრაფი არ იყო

---

<sup>418</sup> *W. H. Van Boom*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, W. H. van Boom, H. Koziol & C. A. Witting (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7.

<sup>419</sup> *M. Bussani & V. Palmer*, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, M. Bussani & V. Palmer, (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123.

<sup>420</sup> *J. Cooke*, LAW OF TORT Twelfth Edition, foundations series, PEARSON, Harlow, UK, 2015, p. 48;



სრულყოფილი და მას შეესება სჭირდებოდა.<sup>421</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფის თანახმად მოსამართლეს მიეცემა შესაძლებლობა რომ პირს ზიანის ანაზღაურება დააკისროს, მაშინაც, როდესაც იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, თუმცა, უზნეოდ და განზრახ. აქვე აღსანიშნია, რომ ეს არ ეხება გაუფრთხილებლობით გამოწვეულ წმინდა ეკონომიკურ ზიანს, არამედ მხოლოდ განზრახ „უზნეო“ ქმედებით გამოწვეულ ზიანს (Sittenwidrigkeit).<sup>422</sup>

საბოლოოდ დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს დელიქტურ გენერალურ დათქმას, ისევე, როგორც ეს საფრანგეთშია. მართლწინააღმდეგობის ელემენტის აუცილებელი შემოწმების არსებობა, მნიშვნელოვნად აახლოებს მას გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფთან. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში როდესაც საქმე გვაქვს წმინდა ეკონომიკურ ზიანთან, გერმანელმა იურისტებმა გარდა გსკ-ის 826-ე პარაგრაფისა ასევე შეიმუშავეს სახელშეკრულებო დავის საშუალებები.

მიმაჩნია, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად დაახლოებს საქართველოს ევროპული, განვითარებული სახელმწიფოების კანონმდებლობასა და ეკონომიკას. წმინდა ეკონომიკური ზიანი არის ის სფერო, რომლის შესწავლა დღემდე არ დასრულებულა არათუ საქართველოში, არამედ ანგლო-ამერიკული სამართლისა და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში შემავალ სახელმწიფოებში.

---

<sup>421</sup> C. V. Dam , European tort law, second edition, Oxford University Press, Oxford, 2013, pp. 84-85;

<sup>422</sup> M. Bussani & V. Palmer, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe M. Bussani & V. Palmer (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 149;

## ბიბლიოგრაფია

### ლიტერატურა ქართულ ენაზე

- ავტორთა კოლექტივი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, (ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ. და ხეცურიანი ჯ. რედ.) ქ. თბილისი, 2001 წ.
- ავტორთა კოლექტივი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, (ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ. და ხეცურიანი ჯ. რედ.) ქ. თბილისი, 2001 წ.
- მ. ახალაძე* უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, ქ. თბილისი, 2019 წ.
- გ. ბათლიძე* ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, ქ. თბილისი, 2015 წ.
- მ. დუნდუა* დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, ქ. თბილისი, 2009 წ.
- გ. ვაშაკიძე* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316

- მ. თოდუა, ჰ. ვილჰელმსი* ვალდებულებითი სამართალი, ქ. თბილისი, 2006 წ.
- კროპჰოლერი ი.* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, ქ. თბილისი, 2014 წ.
- მაისურაძე დ.* სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შეზღუდვის დოგმატური დასაბუთება, შედარებითი-სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2020 წ.
- ა. ნეიმანი* ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ქ. თბილისი, 1978 წ.
- გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, ქ. თბილისი, 2016 წ.
- გ. რუსიაშვილი* „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4, ქ. თბილისი, 2019 წ.
- გ. რუსიაშვილი* უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, GIZ, ქ. თბილისი, 2020 წ.

- გ. რუსიაშვილი* კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, ქ. თბილისი, 2019 წ.
- გ. რუსიაშვილი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408
- გ. რუსიაშვილი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 412
- გ. რუსიაშვილი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413
- ი. სვანაძე* ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დელიქტური გენერალური დათქმის მიხედვით, შედარებითი - სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი N4, ქ. თბილისი, 2022
- ი. სვანაძე* წმინდა ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი - სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი N6, ქ. თბილისი, 2022
- მ. ტურავა* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-8 გამოცემა, ქ. თბილისი, 2010 წ.

- ჰ. შნიტგერი, ლ. შატბერაშვილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 15/06/2018, მუხლი 976
- ს. ჩაჩავა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 24/12/2017, მუხლი 115
- თ. ჩიტოშვილი დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, ქ. თბილისი, 2008 წ.
- ს. ჩხაიძე ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N2(41), ქ. თბილისი 2014 წ.
- ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, ო. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, მერიდიანი, ქ. თბილისი, 2014 წ.  
ლ. ჯანაშია

### ლიტერატურა უცხო ენაზე

- Collective work* The case studies, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge, 2003
- T. A. Baloch* Unjust Enrichment and Contract, Oxford, 2009

- E. K. Banakas* Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, *Hellenic Review of International Law* 45, 1992
- K. Barker & R. Grantham* Unjust Enrichment second Edition, LexisNexis Butterwoths, Australia, 2018
- P. Benson* The Problem with Pure Economic Loss, 60 *S. C. L. REV.* 823, 2009
- P. Birks* The Roman Law of Obligations, Oxford University Press, 2014
- P. Bowal* Pure Economic Loss Claims, *LawNow*, vol. 25, no. 5, 2001
- M. Bussani & V. Palmer* Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law, London, 2008
- M. Bussani & V. Palmer* The liability regimes of Europe – their façades and interiors, *Pure Economic Loss in Europe*, Cambridge, 2003
- M. Bussani & V. Palmer* The notion of pure economic loss and its setting, *Pure Economic Loss in Europe*, Cambridge, 2003

- J. Cooke* LAW OF TORT Twelfth Edition, foundations series, PEARSON, Harlow, UK, 2015
- C. V. Dam* European tort law, second edition, Oxford, 2013
- G. Dari-Mattiacci & H. B. Schafer* International Review of Law and Economics 27, The core of pure economic loss, 2007
- C. Deliyanni-Dimitrakou* Pure Economic Loss under Greek Law, Hellenic Review of International Law 59, 2006
- J. P. B. De Mot* Pure Economic Loss, Encyclopedia of Law and Economics, second edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Cheltenham/Northampton, 2009
- C. Elliott & F. Quinn* Tort Law, seventh edition, Harlow, 2009
- P. Gauch & J. Sweet* Deliktshaftung für reinen Vermögensschaden, Zürich, 1989
- J. Gordley* The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, Pure Economic Loss in Europe, Cambridge, 2003
- C. Gosnell* English Courts: The Restoration of a Common Law of Pure Economic Loss, The University of Toronto Law Journal, Vol. 50, No. 2, 2000

- V. Harpwood* PRINCIPLES OF TORT LAW fourth Edition, Cavendish Publishing Limited, The Glass House, Wharton Street, London WC1X 9PX, United Kingdom, 2000
- B. Herbert* Civil Liability for Pure Economic Loss Under American Tort Law, American Journal of Comparative Law Supplement 46, 1998
- A. Kramer* THE LAW OF CONTRACT DAMAGES second Edition, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2017
- Y. Kwon* Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011
- M. MacGrath* The Recovery of Pure Economic Loss in Negligence - An Emerging Dichotomy, Oxford Journal of Legal Studies 5, Oxford, 1985
- M. S. Madden* EXPLORING TORT LAW, TORT LAW THROUGH TIME AND CULTURE: THEMES OF ECONOMIC EFFICIENCY, Cambridge University Press, 2005
- B. S. Markesinis & H. Unberath* The German Law of Torts: A Comparative Treatise, fourth edition, Oxford and Portland, 2002



- D. Marshall* Liability for Pure Economic Loss Negligently Caused: French and English Law Compared, Cambridge University Press on behalf of the British Institute of International and Comparative Law, 1975
- N. J. McBride & R. Bagshaw* Tort Law, sixth edition, Harlow, 2018
- P. Mitchell* A History of Tort Law 1900–1950, Edited by J. H. Baker Cambridge University Press, Cambridge, 2015
- G. Mousourakis* Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Cham, 2015
- J. Steele* Tort Law: Text, Cases, and Materials third edition, Oxford University Press, 2014
- B. C. Steininger* European Tort Law 2005, Vienna/ New York, 2005
- W. H. Van Boom* Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, Vienna/New York, 2004
- H. J. Wieling* Bereicherungsrecht, Springer, Berlin, 2004
- C. Witting* Distinguishing between property damage and pure economic loss in negligence: a personality thesis, vol. 21, 2001

*X. B. Zhang*

Legislation of Tort Liability Law in china, Springer, Singapore, 2018

*М. А. Егорова, В. Г. Крылов,  
А. К. Романов*

Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Москва, 2017

*Д. В. Новак*

неосновательное обогащение в гражданском праве, статус, Москва, 2010.

### გამოყენებული ნორმატიული მასალა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
- საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი;
- ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი;
- საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი;
- კორეის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი;
- შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი.

### საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-456-805-07;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-643-973-07;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-542-514-2015;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-838-796-2013;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-881-843-2014;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-979-940-2014;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-459-438-2015;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1224-1149-2015;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-664-635-2016;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1247-1167-2017;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1442-2018;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1004-2018;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1426-2018;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-310-2019.

### უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები

- გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1932 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Donoghue v. Stevenson*, [1932] UKHL 100;
- გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1963 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hedley Byrne & Company Limited v. Heller & Partners Limited*, [1963] UKHL 4;
- გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება BGH, 1970, II ZR 133/68;
- ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1972 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3;
- კანადის უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hercules Managements Ltd. v. Ernst & Young*, [1997] 2 S.C.R. 165, № 24882
- ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - OGH 24.11.1998 1 Ob 184/98k;
- დასავლეთ ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *LAMPSON (AUSTRALIA) PTY LTD -v- FORTESCUE METALS GROUP LTD* [No 3] [2014] WASC 162.

## ინტერნეტ წყაროები

- <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>
- <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701>
- <https://www.ris.bka.gv.at>
- <https://www.bailii.org>
- <http://www.austlii.edu.au>
- <https://scc-csc.lexum.com>